

# სიყვარულის წიგნი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1981

Г+Г1
823·962·1—1+398·2 (47·922)
ხ 551

შ ე მ დ გ ე ნ ლ ე ბ ი:

გივი გეგეჭკორი
ემზარ კვიტაიშვილი
ტარიელ ჭანტურია

მ ხ ა ტ ვ ა რ ი

ვოგი წერეთელი

С $\frac{70301-030}{М\ 601\ (08)\cdot 81}$ 257—81

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1981

# ხალხური პოეზია

## შემომეყარა ყივჩალი

შემომეყარა ყივჩალი
სამზღვარსა მუხრანისასა.
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ეურჩევდი თავთუხისასა,
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ეურჩევდი ხოხობისასა.
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ეურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყავდა სიდედრისასა, —
ან კი ცოლს როგორ მივცემდი,
შვილსა გაზრდილსა სხვისასა,
ხელი მოჰკიდა, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა.
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი ცოლს ცუდი ყმისასა“.

მეც გულმა ვეღარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა, —
ახლა მე შემოვუქნიე,
ვენდევ მადლს ლაშრის ჯვრისასა.
გავჭერი ცხენი და კაცი,
წვერიმც ვუწვდინე ქვიშასა, —
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა.
აქეთ მე ვკვდები, იქით ის,
ქალი წავიდა სხვისასა.

## შენ, ჩემო დიდო იმედო

შენ, ჩემო დიდო იმედო,
კოშკო, ნაგებო კირითა,
კახეთს მოჭრილო ისარო,
ქალაქს ნაღებო ინითა!
წითელო მოვის პერანგო,
შვიდგან შეკრულო ღილითა,
ცავ, წმინდავ ვარსკვლავიანო,
მზევ, დაფენილო დილითა,
უკვდავებისა წყაროო,
ნადენო ოქროს მილითა,
შენთანამც ყოფნით გამაძღო,
შენთანამც წოლა-ძილითა.

## მენაცვალე

— დედავ, დედავ დედშვილობას,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
— მე შენ არას გენაცვლები,
მამა გყავს და ინაცვალე.
— მამავ, მამავ, მამშვილობას,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
— მე შენ არას გენაცვლები,
დაი გყავს და ინაცვალე.
— დაო, დაო, დაძმობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
— მე შენ არას გენაცვლები,
ძმაი გყავს და ინაცვალე.
— ძმაო, ძმაო, ძმათძმობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე,
— მე შენ არას გენაცვლები,
ცოლი გყავს და ინაცვალე.
— ცოლო, ცოლო, ცოლქმრობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე,
— მე შენ არას გენაცვლები,
საყვარელ გყავს, ინაცვალე.
— საყვარელო, საყვრობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე,
— გენაცვლები შენსა მზესა,
გზა საით არს, გამასწავლე.

## ქალი ვარ

ქალი ვარ ბაგრატიონისა,
განჯას თათარსა ვყევარო.
დღისით მიყრიან ბორკილსა,
ღამით თათართან ვწევარო.
ჯერ რჯულ არ გადამიგდია,
თავის რჯულზედვე ვდგევარო.
ქალო და რძალო ლამაზო,
სუ ჩემო მოსადევარო,
შაკრიფეთ თითო შაური,
მიხსენით, თქვენი ტყვე ვარო!
სირცხვილი თქვენთვის, ვაქებო,
თორო მე კარგად ვყევარო,
ტანთა მცვავ სიასამური,
წულა-ქოშებზე ვდგევარო...
ნეტარ ვეღარა განახავა,
შე საქართველოს მძლევარო!*

* მ ძ ლ ე ვ ა რ ი — მერცხალი, გუგული, ოფოფი და სხვა, რაიც ზამთრით მიდის და გაზაფხულზე მოდის, ფრინველი (თედო რაზიკაშვილის შენიშვნა).

## ხვარამზეს ლექსი[4]

ვერცხლის თასადამც მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდი,
დაფერილი მქნა წითლადა,
შამსვამდი, შაგერგებოდი.
ანა მქნა ვერცხლის სათითე,
რო ხელზე ჩაგედებოდი;
ანა მქნა ოქროს ბურთვაი,
კალთაში ჩაგეშლებოდი;
ან ვერცხლის ფულად მაქცია,
ჯიბეში ჩაგეყრებოდი!
ან შენი ნამგლის ყანა მქნა,
რო ფხაზე შაგეჭრებოდი;
ანა მქნა ვარდი ყოილი,
რო პირზე დაგეყრებოდი;
ანა მქნა მოის პერანგი,
რო გულზე დაგადნებოდი!
ან შენი ძმა მქნა მოწილე,
აროდის გაგეყრებოდი;
ან შენი ნანდაური მქნა,
გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი!
ძალიან დაწუხებული
გზაზედამც შაგეყრებოდი!

## მინიატურები

* * *

მინდორთ რო სისხლის ტბა ბრუნავს,
გადასაგდები სად არი?
შიგა წევს გველი წითელი,
თავსა სძრავს, ბოლო სად არი?
ბევრსა ჰკლავს ბევრის სურვილი,
მაგრამ გაგება სად არი?

* * *

ა ის ღრუბელნი მიყვარან,
ბოროლაზედ რო დიანო,
ერთი მეორის შაყრასა
ხარობენ, მეელიანო.
შაიყრებიან ერთადა,
მანანას ჩამაყრიანო,
რაც უნდა ბევრი ეცადნენ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო.

## შირაქის გზაზე

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო,

წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო,
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჯვარიო.

* * *

ინდი მინდი, ფერად შინდი,
ფრთა გაშალე, გამოფრინდი,
გამოყევი, გამობრწყინდი,
განმინათლე თვალთა ბინდი,
შენთვის სიკვდილს არ შევშინდი,
უკვდავების წყაროდ მინდი.

## ნუ შევხედავთ ერთმანეთსა

ნუ შევხედავთ ერთმანეთსა,
ჩაგვაჭორი-ჭორებენო,
შეგვიტყობენ სიყვარულსა,
დაგვაშორი-შორებენო.
— ნუ ჩაჰყვები ქვეყნის ჭორსა,
ჩაგრეხილი წნელიაო,
ვვაძულებენ ერთმანეთსა,
ყველა ჩვენი მტერიაო.

* * *

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჭიანურიაო,
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო.

## ნეტავი შემატყობინა

ნეტავი შემატყობინა,
მამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარული ცოლ-ქმარნი
უდროოდ რისთვის გაყრილან;
დაცლილან ნასახლარები,
ზოგნი სულ წმინდად აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მკვიდრნი შაქმნილან.

* * *

ისე არის კაცის გული,
ვით მორევი შავი ზღვისა,
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც მოუნდება სხვისა.

## ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲣᲚᲘ

წასვლა სჯობს წარმავალისა,
არ დახანება ხანისა,
კოცნა სჯობს თეთრი ქალისა,
ჩახვევა — შავგვრემანისა.

* * *

გზა სიარულმა დალია,
სიპი ქვა — წყლისა დენამა,
ლამაზი გოგო და ბიჭი —
ერთმანეთისა ცქერამა.

## ᲒᲐᲕᲮᲔᲓᲔ ᲧᲐᲠᲐᲘᲐᲖᲔ

გავხედე ყარაიაზე,
ორი ირემი სძოვდაო,
მე დიდი გამოვარჩიე,
თურმე პატარა სჯობდაო.

* * *

აქ მოდი, მანდა რასა იქ?
მარტო რას აქნევ ძილსაო!
ამაღამ გაგახსნეინებ
ჩემის პერანგის ღილსაო,
შაგიხვევ ბროლის უბესა,
გაგაფრთხობინებ ძილსაო.

* * *

სადაური ხარ, სად მიხვალ,
შენი სახელი მითხარო,
ბარი-ნიჩაბი მათხოვე,
საფლავი ამოვითხარო,
შენგნით მოკლული შიგ ჩავწვე,
თავ მიწა წამოვიყარო.

* * *

მოხევის ქალო თინაო,
რა ღმერთმა გაგაჩინაო,
ნეტაი ერთას ღამიას
შენთან მქონიყო ბინაო!
შენი საბანი დამხურა
და ტკბილად დამაძინაო,
შენი სწორები გათხოვდნენ,
შენ რას აკეთებ შინაო.

* * *

ლამაზი ცოლის პატრონსა,
ძაღლი უნდა ჰყავდეს ფრთხილი:
ან ძაღლი უნდა ფრთხილობდეს
ანდა ქალის დედამთილი.

* * *

დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,
ძმა ხომ ყველას მირჩევნია,
ერთი ვინმე სხვისი შვილი,
მთელ ქვეყანას მირჩევნია.

* * *

ყველა ფრინველი ხეზე ზის,
მწყერი მიწაზე გოგდება:
ქალი რად გინდა უცხო მხრის?
დასნეულდება, მოკვდება.

## რა ვქნა, რა ვუყო

რა ვქნა, რა ვუყო თავსაო,
ამ ჩემ პატარა ქმარსაო,
არცა აქვს შენახვის თავი,
არცა მანებებს თავსაო.
ნეტავი დამიწუნებდეს,
დამანებებდეს თავსაო;
ვივლიდი ლაშარ ღელესა,
ვაქებს ვავლებდი თვალსაო, —
მაშინ ხომ შავეყრებოდი
ჩემის გუნების ქმარსაო,

* * *

თიანეთს ოქროს ლოგინი,
შიგ სამნი დანი წვანანო,
რა ვქნა, რომელ ერთს ვაკოცო,
სამნივ ერთმანეთ გვანანო.

* * *

ლომო, შე ლომის მოკლულო,
ხადხეორხაის ძირსაო!
ვინ შაგიღება მხარ-ბეჭი,
წითელი პერანგისაო?!
ვინ ამოგტეხა კბილები,
თეთრები ბროლივითაო?!
ლამაზად დაგიტირებდი,
ხათრი არ მქონდეს ქმრისაო!

* * *

დაბნეულ ფეტვის მარცვალსა
რა მოკრეფს წიწილის მეტი?
მე და შენსა სიყვარულსა
რა გაპყრის სიკვდილის მეტი?

* * *

წითელ ღვინოს მიგაგვანე
ჭიქაში მდგომიარესა...
სასუფეველი რად უნდა
შენს მკლავზე მწოლიარესა.

* * *

სიყვარულსა მალვა უნდა,
როგორც ცხენსა ნაპარევსა;
თუ გამოჩნდა, გლოვა უნდა,
როგორც გულის საყვარელსა!

* * *

ტურფა ბაღი და წალკოტი
ეკლითა ვინმემ შენარა!
რკინისა კარი შეაბა,
კლიტე მე მომცა, შენ არა!
სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ,
თავსა მე მივცემ, შენ არა,
ვაჰ, თუ ზედ ისიც დამერთოს,
მე მიყვარდე და შენ არა!

# ქართული კლასიკური პოეზია

შოთა რუსთაველი

## წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი

აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი, მტირალი,
მისმანვე ცრემლმან დაუვსის, ვის ედებოდა ვის ალი!
დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,
ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი.

„ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნავღელსა ამონაწები,
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები,
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!

„ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია.

ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია;
უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაშე, რა დიდი ძნელია!

„ხედავ, ჩემო, ვით გაგვყარნა სოფელმან და ყამმან კრულმან?
ვეღარ განახე საყვარელი მხიარული მხიარულმან,
ნეტარ, რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან!
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

„შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;
ჩემი მეთქვა: გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
ჩემი ყველა აქამდისი ჭირი ლხინსა შევაწონე.

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;
ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად.

„სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების:
ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.
ფატმან წამგვარა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების!
აწ კვლა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

„აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მომისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალ-გვართა.
კვლაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;
ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა!

„ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან,
გზა გვირაბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
ღღისით და ღამით მოყვენი ნობათსა არ დასცდებიან,
მათთა შემბმელთა დახოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.

„ნუთუ ესენი გეგონნენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ-მკვდარსა განახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!

„შენ, საყვარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქვა: სხვათა მიხვდაო იგი ალვისა ტანითა.
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა.

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი.

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა
შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდომასა,
ღღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიმცა მქონდა ტკბილი!

„მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

„წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოვლგნით ხელ-აღუპყრობელსა,
გულსა ალხინე ჩემისა მოშორვებისა მთმობელსა,
მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუშრობელსა!

„რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.
შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად,
ვირე ცოცხალ ვარ, გეყოფი სატირლად და სატკივარად.

„აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა!
გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“.

ესე წიგნი, საყვარელსა მისსა თანა მინაწერი,
რა დაწერა, გარდაჰკვეთა მათ რიდეთა ერთი წვერი.

თავ-მოხდილსა დაუშვენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი,
ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი.

იგი მონა წამოვიდა, გულანშაროს მიმავალი,
წამ-ერთ მიხდა ფატმანისსა, დღე იარა არ-მრავალი.
რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი,
ხელ-აპყრობით ღმერთსა მადლობს ცნობა-სრული, არა
მთვრალი,

ფატმანს უთხრა: „გამისრულდა ჟამად საქმე საწადელი,
დიდი შენი მოჭირვება ჩემგან არის გარდუხდელი,
წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრულა შარშანდელი,
ფიცხლა ქაჯეთს მოვიყვანო მათი მომსპობ-ამწყვედელი".

ხათუნმან უთხრა: „ჰე ლომო, ცეცხლი აწ უფრო ცხელდების,
მოეშორვების ნათელსა, გული ამისთვის ბნელდების;
ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა, ხელი ეგრეცა ხელდების, —
თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდების".

ყმამან ფრიდონის მონანი უხმნა, მასთანა ხლებულნი,
უბრძანა: „მკვდარნი აქამდის აწყა ვართ დაცოცხლებულნი,
რაცა გვინდოდა, მისითა სმენითა გაახლებულნი,
ჩვენთა მტერთანი გიჩვენნე წყლულნი მით, ვაგლახ, ლებულნი!

„მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არ-ნაცქაფავი;
მე ვერა ვნახავ, ვისწრაფი, გზა ჩემი არს ნასწრაფავი.

მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი,
თქვენ მოგცე ლარი ყველაი მე, ჩემი ნაალაფავი.

„ჩემსა ზედა დიდი არის ვალი, თქვენგან დანადები;
ᲫᲐᲓᲚᲡᲐ ᲡᲮᲕᲐᲔᲑᲠ ᲒᲐᲠᲓᲐᲕᲘᲮᲓᲘ, ᲗᲣᲦᲐ ᲤᲠᲘᲓᲝᲜᲡ ᲨᲔᲕᲔᲧᲠᲔᲑᲘ;
აწ წაიღეთ ყველაკაი, მეკობრეთა წანაღები,
ᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲢᲡᲐ ᲕᲔᲠᲐᲡ ᲛᲝᲒᲪᲔᲛ, ᲕᲘᲪᲘ, ᲐᲛᲐᲓ ᲒᲔᲫᲣᲜᲬᲔᲑᲘ.

„სახლი არ მახლავს, არ ძალ-მაქვს გაცემა საბოძვარისა“.
მისცა მათ სავსე ხომალდი, რიცხვი ტურფათა ჯარისა,
უბრძანა: „წადით, წაიღეთ, გზა წავლეთ მისვე არისა,
ფრიდონს მიართვით უსტარი ჩემგან, ძმად-ნაფიცარისა“.

## თეიმურაზ I

### ტურფა ხარ შვენიერებით

ტურფა ხარ შვენიერებით, ტანი მიგიგავს საროსა,
ვა, შენისთანა მიჯნურსა ვერვინ ეღირსოს არასა,
კაცი ხამს შენთვის გაიჭრას და ლხინი გაიმწაროსა,
ტარიელს ქვაბსა ესტუმროს, მაჯნუნთან დაემყაროსა.

მისგან გახდეს სულ ციერნი, არ იცნობის დანაცარად,
მან დამიჭრა გული წამწმით, მოიხმარა დანაც არად,
სრულად დამწვა სხივთა ცეცხლმან, ლამის ვიქმნე დანაცარად,
დამეგრიხა ბედი მრუდად, არ ვეჭვ, იქმნეს დანაცარად.

იაგუნდისა ბაგემან ყირმიზი-ლალი ღვინო სვა,
თუ ფერად ბაგემ აჯობოს, ამისთვის მართებს ღვინოს ვა,
მე ჩემსა სისხლსა ვამზგავსე, თურმე მინამან ღვინო სვა,
კარგს კაცთან ბრძენთა სიტყვასა ვერა სჯობს, იგ სალხინო
სვა.

ნადიმად მსხდომთა სალხინოდ საქმე გავსინჯოთ სურისა,
თავის სისხლს გვასმევს სალხინოდ, ესოდენ ჩვენთვის სურისა,
კაშკაშით გვეტყვის: „მაშ თუ არ იგ ჩემი სისხლი, ჰსუ რისა?
შემამკობელი ლხინისა და ძალი უსუსურისა“.

უწყის ღმერთმან, ვერა ვხედავ ქვეყნად შენსა დანამგზევსა,
დაუწვივარ იგ უწყალოდ ცეცხლსა შენგან დანაგზევსა,
გულისათვის დასალახვრად ჩემკენ წამწამ დანაგზევსა.
ხამს მივმართო მაჯნუნისა წანავალსა და ნაგზევსა.

მოიგონე სიყვარული შენთვის სულთა განაწირ, ვა,
კაცს აცხოვნებს სამართლის ქნა, უსამართლო განა წირვა?
გლახ, ლახვარი სიშორისა ათასი მკრა, განაწი რვა,
სჯობს დააგზნა სიყვარული დავსებული, და ნამწირ, ვა.

გულსა გულზედ მით არ მიცვლი, გინდა რომე მოგცე სართად,
სულთაც გიძღვნი, უმჯობესი რაღა მოგცე ზედან წართვად?
არ დამიჭერ ვჰფიცავ ღმერთსა, ცეცხლზედ მივსცე ზედან
დართვად,
უწყალოდ სვამ სისხლსა ჩემსა, ღვინის ნაცვლად ჰზისარ
წართვად,

მარგალიტისა სადაფსა იაგუნდი სცავს და ლალა,
მას გული ჩემი მიჰყიდა ვინღაც, ვინ იყო დალალა,
მომკლეს, ტირილის სანაცვლოდ სისხლი აქვს ჩემზედ ალალა,
ჩემის ლხინისა ყვავილი უმზეობამან დალალა.

ბროლ მინაზედან გიშერი, ვარდმანცა თავი მუნ არა,
სრულ შვენებისა ყვავილი არ დარჩა, შეკრბა მუნ არა,
ვერსით, შეუველ საკრეფლად, ეკალნი დამხვდეს მუნ, ნარა,
ზენათ ნათელთა მფლობელმან ამისთვის დაიმუნარა.

გულო, ცეცხლი სურვილისა არ დაავსე, შეუკეთე,
მე მუნ დამწვი, აწ ლახვარი, მგონი, მოგხვდეს შენ უმკვეთე,
გნახე ეგრე შენ უთმობლად, თავსა ხელქმნა შენ უკეთე,
ყველა მით ჰქენ, ნახე ვინმე მნათობთაგან შენ უკეთე?

გული წამართვი ცნობითურთ, მითხარ, ნაცვალი მამე რა?
ვეღარა გპოვე საჩემოდ, გაყრისა სევდა მამერა,
უვარდოდ წალკოტისათვის თვალნი რასთვისღა მამერა?
დამწვი და წყალი არ მასვი, დამწვარსა გულსა მამე რა?!

ბულბულთა შექმნეს ძახილი, აგრე ჰგავს — ვარდმან იშალა,
გულსა გაჭრა და ხელობა უშალე, არ დაიშალა,
ხამს, თუ მიჯნურმან ტანსაცმლად სტავრისა ნაცვლად იშალა,
გლახ, შენმან შუქმან მნათობნი არავინ არ აიშალა.

ვარდი დაჭკნა, მზემან შუქი აღარ მისკენ მოაწურვა!
ცრემლთა ღვარი გაუწყვეტლად, ერთხელ არსად მოაწურვა,
არ ვეწყალვი მას გულქვასა, სულნი პირსა მოაწურვა,
მოეშორა რადგან ლხინი, — სევდა, ზრუნვა, მო აწ ურვა!

## ᲐᲠᲩᲘᲚᲘ

### ᲡᲐᲛᲘᲯᲜᲣᲠᲝᲜᲘ

**ლექსნი აქა-იქ ნათქვამი**

ეშხმან იპყრას გული ასე, ველარ სადით გარდეხვეწოს,
თვალთა ცრემლი მუდამ სჩქეფდეს, მკერდი ცემით დაელეწოს;
ვისგან სიტყვა ვერ იშოვნოს, უნდა კიდევ მას ეხვეწოს.
იქნება, რომ მხნე, ძლიერი ერთს ნაზს ვისმე დაეხვეწოს.

ვნახე ედემს ალვა რგული, რომე მზეებრ შუქსა შუქდა,
აძვირებდა სხიესა მისსა, არ იეფად არვის სჩუქდა:
არ მიმიშვა ახლოს შეყრად, გული ამად ამიჩუქდა,
წამოველ და ყოვლი ღონე იქავ დამრჩა, ჩამიქუქდა.

დილის ნიავმა მახარა ამოსვლა მუნ მთიებისა,
უთხარ მუხლთ-დაყრით: „მიჩვენე, სად ნათობს, სად
ენთებისა?“
მან მითხრა: „ვაჟო, ძნელია ნახვა მის სათუთებისა,
სხვანი მნათობნი მონად ჰყავს, მას ჰყმობენ, მას ეთნები სა?

თუ ნახავ, ვიცი უცილოდ გული მსწრაფლ დაგიდნებისა,
შენსა საწადსა ვერ შოებ, სიკვდილი მოგინდებისა;
გასწყრების, გამოგაძებენ, არ ხელში დაგიდნებისა,
არ დამიჯერებ, მეჯნუნებრ საქმე სამ გაგიხდებისა".

ერთს სანახავად კარგია, ღვინო დგეს თეთრსა მინებსა,
ბაგები უჩნდეს თეთრ-ყირმიზ, ნეტარ მას ვინ არ ინებსა?
რა თასზედ გადმოესხმოდეს, კაშკაშით გაიცინებსა,
ვირემ ცნობა აქვსთ შემსმელთა, არავინ დაიძინებსა.

რა დანაკლულდეს, გამოჩნდეს ვარდისა მსგავსი ბაგები,
შუქი დადგეს და დამშვენდეს ქვეშ მისი რამე საგები;
სხვაგან ჯდეს ლაღი განკრძალვით მიჯნურთა ლახვარ-საგები,
ვინ მიხვალ მისაყურებლად, უცილოდ დაიდაგები.

## ვახტანგ VI

## სატრფიალონი

მოვიუბნე შენი ქება არცა ერთი საკადრისი,
შენ სხვათ აძლევ შესაქებსა, ღირსი არ ვინცა რისი,
მაგრამ კაცნი უძლურნი ვართ უმაღლესის რასმე თქმისი,
შენ სხვა ხარ და ქება სხვაა, უშვერია ზრახვა მისი.

მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა,
სიყვარულითა მისითა გული, გონება კარითა,
მისისა მიახლებითა ეშყსა სურვილი კარითა,
ეგება რომე გეღირსოს შესვლა სამოთხის კარითა.

თუცა მოვკვდე ნეტარ შენთვის, რა სახელში ჩამეგდება?
ცეცხლი მწველი მედებოდეს, რად მეწყინოს მისი დება?
სხვა სასჯელსა რად დავზარდე, უფრო გული დამედება?
შემემთხვიოს შენთა სხივთა სანახავად გარდ მოდება.

გულს მისცემს უცხოდ შვებასა, ოდეს ვისმე შეეყრების,
თვალს ის უნდა, სხვათ სპეკალი ცუდად რასმე შეეყრების,
სამუდამოდ ვერ მიმხდომთა თვალთა ცრემლი შეეყრების,
ვინ არ მისდევს სადევარსა, მას ლახვარი შეეყრების.

თუცა არა ვარ საფერი შენისა ტრფიალებისა,
მონად მიყოლე ნაფრდილად, მდიდრობაზედან კლებისა,
მომიტკბი რაც რამ გაწყინე, მემწე რაც მომეელებისა,
ნუ მიმცემ მტერთა საყვედრად, მყავ ღირსი ახლო ხლებისა.

როს მეტრფისა ტრფიალება გულსა ჩემსა დამაჯერა,
მშლელი მიშლის უცხო რიგად, ლამის კიდეც დამაჯერა,
მეუბნების: „ყმაწვილი ხარ, არ იციო დამა ჯერა".
მაგრამ მისმა სიყვარულმა ისევ მასვე დამაჯერა.

გაბრწყინვებისთვის სანთელი ერთს ფერხზედა დგას, ტირისა,
ცეცხლის წვით არის მიმღები საწადლის განაპირისა,
მიხამს, მეც ვიდგე, ვიწოდე, დამბანი ცრემლით პირისა,
ეგებ რომ მნახოს, შემიტკბოს ტრფიალმან გამძლე ჭირისა.

ნუ მიმცემ ცეცხლსა საწვავად, მიყავ ამისი ვსებანი,
შენს წინ მამყოფე ულირსი, რომ აღმისრულდეს ნებანი,
შენის ქებითა ვიშვებდე, მქონდეს გულისა დებანი,
ნათლად გამოჩნდე ნათლითა, მტერთ რა ყონ იშნის გებანი.

ჩემსა საქმესა უგბილი სანთლისა მსგავსად მოველი,
თავისა მტერსა ძალს აძლევს თავისა დამაწვეველი,
შენს წინაშე ვარ მცოდველი ცოდვისა ძალის მძლეველი,
ვა, თუ დავიწვა, შევიქნა შენგანცა დასაწყეველი.

თუ დაიმარხავ შენ ჩემსა სიტყვასა, სწავლა-თქმულებსა,
საყურებრ ყურად გაიყრი და დაიმკვიდრებ გულებსა,
დღეთა შეგძინებს ამ სოფელს, ზეცას აღაფრენს სულებსა,
აქ მოგეცემა კეთილი, იქაც მორჩები წყლულებსა".

## დავით გურამიშვილი

### სიმღერა დავითისა: ზუბოვკა რომელ არს რუსულად ამისი ხმა: კაზაკ დუშა პრავდივაია

ზუბოვკიდამ მომავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, შეენიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.

ვკითხე: მზეო, სიდამ მოხვალ, ხარ სად წამავალი?
გეაჯები, მაცოდინე შენი გზა და კვალი;
შენთვის გული ქვათ გარდმექცა, გახდა, ვით კლდე სალი,
მასხი წყალი, დამიშრიტე, მე შენი მწვავს ალი.

ხმა გამომცა, გაგულისდა, სიტყვა მითხრა ავი:
„ავო კაცო, ვით გაბედე, შენ მე მთხოვე თავი?
ბულბულთ ნაცვლად ვარდ-კოკობმან რად დაგისვა ყვავი!“
მით ავსტირდი, ცრემლი ვღვარე ზღვათა შესართავი.

ასე მითხრა: „ჩამომეხსენ, გამეცალე, მარი,
არ მინდიხარ, არ მიყვარხარ, სხვა მყავს კარგი მყვარი, —
შენგან თვალად უკეთესი, ვაჟი-კაცი, ქმარი“.
რა ეს მესმა, ჯავრით ცხვირსა წამედინა ძმარი.

მითხრა: „შენგნით ნუმცა მსმია სიტყვა მაგის მეტი“.
აიღო და დამიშინა თავში დიდი კეტი.
დავრეცრეცდი, გარდავიქეც, დამეხვია რეტი;
შავებრალდი, თავს დამადგა, ვით ბნელს, ნათლის სვეტი.

რა მოვბრუნდი, დაიხარა, ხელს მომკიდა ხელი;
ამაყენა, ასე მითხრა: „რად შექნილხარ ხელი?“
მე მიუთხარ: შენთვის გავსდი ასე ჭკვაზე თხელი,
შენ რომ მწუნობ, მით მედების გულსა ცეცხლი ცხელი!

მერმე ტკბილად დამიყოვა, კიდეც გამიცინა;
ასე მითხრა: „აქ ნუ ვსხედვართ, გვნახოს არავინა.
ახლა ავდგეთ, ჩვენ წავიდეთ თავთავისთვის შინა;
კულავ სადმე ამოიცლი, მე დაგვხვდები წინა“.

სად წავიდა, ვერა ვნახე, ჩემი საყვარელი,
მან დამიგდო საიმედო სიტყვა სახარელი.
მე მის მონას ნუმც ამხდია მისგან საფარველი!
სად მიჭირდეს, მამეშველოს, სხვას აღარას ველი.

დამპირდა, თქვა: „კიდევ მოვალ“. აწ მე იმას ველი:
მისთვის ვსტირი, ცრემლითა მაქვს უბე, კალთა სველი.
სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მყავს მშველი,
მან გამიღოს სამყოფისა კარი შესასვლელი.

იმ ჩემისა საყვარლისა სამსახური მსურსა,
აჰა, მისთვის გამიჯნურდა, გული მისთვის ხურსა,
იმედი მაქვს, რასაცა ვსთხოვ, მომცემს, არა შურსა,
უკვდავების წყალს მიბოძებს, ცხოვრებისა პურსა.

ღვთისგან ვითხოვ, არ გამყაროს მე მის სიყვარულსა,
სხვას უკეთესს ვის ვიშოვნი სილამაზით სრულსა?
ჩემის სიყვარულისათვის სცემეს ხელშეკრულსა,
სახით ვხედავ ჩემთვის მკვდარსა სისხლით გაბასრულსა.

აწ, შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?
ქვეყნად შენგან უკეთესი მე არავინ მყვანდა.
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ, მეგულვები ცადა,
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!

ქვესკნელსა ვარ, ვერა ვხედავ, მეგულვები ცადა,
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე მანდა!

## ბ ე ს ი კ ი

### სევდის ბაღს შეველ

სევდის ბაღს შეველ შენაღონები:
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები.
ვარდმან შემრისხა თავმომწონები,
ისარი მტყორცნა დასამონები,
სრულად მიმიღო ყოვლი ღონები,
მითხრა: „იფიქრე გულს ნაქონები,
მისთვის იქმნები დასაყოვნები“.
ვერ მივხვდი მახვილგანაწონები,
მისთვის შევიქმენ ცრემლთა ფონები.

იასა ვჰკითხე (მუნ იდგა ნაზი):
„ვარდსა რად უქმენ კართა სარაზი?“
ამაყად მწყრალი ვნახე ლამაზი.
მანცა განმაგდო: „გარეგან გაზი!
შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი.
სიხარულიდამ დაბლა კერძ დაზი!
შენს გულსა ჰკითხე, მიაპყარ გაზი!
შენის გონებით იქნები რაზი:
ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები!“

რა ია გაწყრა, ნარგიზს მივმართე,
სისხლის ცრემლითა სიტყვანი ღავრთე,
ვეუბნებოდი: „შენ წარმიმართე
იწროს გზის პოვნად, — გზები გაქვს ფართე,
ჩემსა ნუგეშსა ხელი შემართე,
ეარდს მამუდარე, ალერსი ჩართე,
შავ გულსა ლხინი შენ მოუსართე!
შემომითვალოს: რა უკუღმართე?
რად მომიგონა მოუგონები?!"

ნარგიზი ვნახე შებრალებითა,
ცრემლსა სცვარვიდა მორიდებითა:
მითხრა: „ყარიბო!" — მონაზებითა —
„ვარდი მით არის გულდაკლებითა,
რომ შენი იყო თავდადებითა,
თავი მოსწონდა, ჰყვანდი ნებითა,
შენ რისთვის დასთმე სხვისა ხლებითა?
რად გიკვირს, გასწყრეს ცეცხლმოდებითა?
ნაცვალი მოგხვდა დანახსოვნები!"

დავბრუნდი ყოვლგნით შეუბრალები,
ბაღის კარს დავჯექ შენაძალები,
ცრემლით აღმევსნეს მწირნი თვალები,
ვიყავ ბედისა დამაბრალები.
ვინცა მნახვიდენ დამაშვრალები,

შეიქმნებოდნენ ჭირნაკრძალები,
მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭყალები:
ბესიკი სიკვდილს არ ვემალები,
თავი მაქვს მისთვის შენაწონები!

## ტანო ტატანო

ტანო ტატანო, გულწამტანო, უცხოდ მარებო!
ზილფო-კა

ბაგემდუმრიად გიალერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა სურიან ხილვა შენი, კეკელა მარდო!
გულსა სწყურიან დამაშვრალსა, რას შეგაფარდო?
თუმცა შენ დაგთმო, ვინღა ვჰპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არვისი მსურს, შევიზარებო.

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვაი, სიცოცხლეო უკუღმართო, დანაცარებო!

## დედოფალს ანაზედ

ვარ უცხო ვინმე ყარიბი
ამა სიტყვისა მხმობელი,
ამა მუხთლისა სოფლისა
მაგინებელი, მგმობელი,
მონა ვარ მისი მუდამ ჟამ
და მისი შემამკობელი, —
იგია ჩემი ხელმწიფე
და ჩემი დამადნობელი!

ვფუცავ, მე არვინ მიხილავს,
რომ არს შვენებით ა ნ ა ო.
მთვარესა ეზრახებოდა:
„შენ ვერ ხარ ჩემისთ ა ნ ა ო!“

ვარსკვლავნი მისდა სამონოდ
ყარს უდგენ თანისთ ა ნ ა ო!"
მხილველნო, დამემოწმებით:
კარგი ყოფილა გ ა ნ ა ო?

ცნობა მიმიღო და გული
ხედვით შემზღუდა ა ნ ა მ ა ნ,
კვლავ მომკლა მისმა ციალმან
და წელთა მიმოტ ა ნ ა მ ა ნ;
კოკობსა ვარდსა ნარგიზმან
აპკურა ცრემლი, ა ნ ა მ ა.
ჯობს, რომ არ ჰყავდეს მიჯნური,
ან მოკლას ამისთ ა ნ ა მ ა ნ!

ალექსანდრე ჭავჭავაძე

## როს არშიყი

როს არშიყი საყვარლისა ხილვას ეშურებოდეს,
რაკი ნახოს მეყვსეულად გრძნობით ეუბნებოდეს:
მიყვარხარ!

არა ვგონებ ორთაშუა მოხდეს იქაც ღალატი,
ოდეს სული გულსა ტრფობით ეუბნებოდეს:
მიყვარხარ!

რაყიფნი განფიცულას, ვცან მათნი განზრახვანი,
ვვედრებ, არ დაიჯერო მათნი ცუდნი თქმანი:
მიყვარხარ!

ვიცი, ჩემო სიცოცხლევ, მრავალნი შემოგტრფიან,
მაგრამ ჩემებრ ეშხითა ვერ გეტყვიან:
მიყვარხარ!

როცა მოვკვდე შენთვისა, მომიგონე სულითა,
ჩემსა შემდეგ გვედრებ, არვის უთხრა გულითა:
მიყვარხარ!

თუ დრო შეგხვდეს ფიქრისა და მკვდარი მომიგონო,
მოდი ნახე საფლავი, რომ იქაც გაიგონო:
მიყვარხარ!

## მშვენიერთა ხელმწიფავ

მშვენიერთა ხელმწიფავ,
მკლავს სიშორე შენითა.
ჰკვნესის გული საკვდავათ
ესწრაფულ მჩივარის ენითა.

შენ განმშორდი მკურნალო,
ვითარ მექმნას შვებანი;
ნაცელად შენსა ვინ ვპოვო,
მომცეს ჭმუნვის ვსებანი.

თუმცა მომკლავს ტრფიალსა,
და ჰხმობს ეშხით მწყაზარსა,
უმჯობეს არს მომვაჭრო,
ჩემებრ ოხვრით ბაზარსა.

შორის მჭვრეტელ მოსწრაფე
სული შენკენ მფრინვალებს.
ოდეს თვალი შენ განახავს,
ყოვლად გაგვაბრწყინვალებს.

შენთან ყოფნა მცირეს ხანს
მომცემს რასმე ლხენასა;
შენ მტანჯავ და მე გაქებ,
რისთვის იხშავ სმენასა?!

## სიყვარულო, ძალსა შენსა

სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს რომე გულსა ტახტად, ოხრვას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ეყმოს, შენგან ბრძენი ხელად რებდეს,
და ბულბულსა რად ეძრახვის, რომ შენგამო ვარდს
შეჰყეფდეს!

სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა,
სჯულსა შენსა ყველა ერჩის: ბერი, ერი, მეფე, ყმაცა;
ხელმწიფე ხარ თვითმპყრობელი, ტახტი მზა გაქვს, ჰგიებ
საცა,
გულები გყავს ქვეშევრდომად, ამას მეც ვგრძნობ და თვით
სხვაცა.

შენის ულლისგან გამოსვლა ნეტა უნდოდეს რადმე ვის!
თუ შენ ხარ ვნების მიზეზი, ლხენაც შენგან არ გვეძლევის?
ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც-ოდეს გველევის,
მაშა ცუდია, თუ მაში სიბნელეც არსით ერევის!

## ეღეგის კარი გაზაფხულისა

ეღეგის კარი გაზაფხულისა,
დროთა ცვალებით დანერგულისა.
მოგივალსთ ჟამი სიხარულისა,
თვისთანა მქონე შვება სრულისა:

ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!

ეჰა, ჩვეულნო ყოფნას დიდებით,
აწ რად ხართ ბურვილ ჭმუნვის რიდებით?
ნუ ჰგონებთ თავთა ბედ-განკიდებით...
ნიავმან ყვავილთ სუნთ მოზიდებით
გახაროსთ მოსვლა ფერად მკულისა —
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

თუმცა ზამთარი აზრობს ყვავილთა,
და აგდებს ხეთა მწარედ განძრცვილთა,
გარნა ჟამთ ცნობით მათგანვე ხილთა
ჯერ არს ველოდეთ პირველებრ ტკბილთა:
ეს არს ზნე დროთა სიარულისა!
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

უწყოდეთ ესე ცნობა მყარითა,
რომ დრო მოგივალსთ კეთილ დარითა:
იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა!
თუ არ შეჰკრთებით მისის ნარითა,
სიმხნეს მოიგებთ წამლად წყლულისა,
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

ჰოი, ვინც არებთ თავისუფლებით,
ნუ ეტრფით ვარდსა გარშემოვლებით.
მიეახლენით გულისა ხლებით!
და თუ არ მოჰკვდეთ უდროდ დღე-კლებით,
იხილოთ განხსნა ბედ-შეკრულისა.
ვისაც ხელთ გქონდესთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა!

## გრიგოლ ორბელიანი

### მუხამბაზი

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო.
ჩ ა მ ჩ ი-მ ე ლ ქ ო

ვინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ,
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ!
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: „რა ლამაზი ხარ“!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

რტო ალვისა შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია.
ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია.
როს მეღირსოს, ვსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ!“

ვინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვჰსთქვა — შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“

ვინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლის, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლობიანა ვინ არის?
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი, სულით ნაზი ხარ!

ვინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“

ვინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

## ეკატერინა ჭავჭავაძისას

წინანდლის ვარდო,
სულითა ტრედო,
გულითა წმინდავ, ვით მთისა წყარო!

ვითა ცისკარი,
ხარ მოცინარი,
რომე მხილველის გული ახარო.

იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენივრებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი;

ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის, ვით მზე,
სიჭაბუკისა ნათელ ვარსკვლავი!

ჭმუნვის ღრუბელი,
გულ-დამაბნელი,
ვიდრე მხიარულს არ შეგხებია;

ვიდრე ამ სოფლის
დაუდგრომელის
ვარდნი ეკლადა არ გარდაგცვლია!

## ნიკოლოზ ბარათაშვილი

* * *

შევიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი!

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჭი ქვეყნად
და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად!

* * *

შენნი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!

ოდეს ნიავი ლამაზს დალალებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
ნაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური
და, გლახ, ჩემს გულსა ის ავალალებს!

* * *

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტრფოდი.

და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაცივებული,
ვფიცავ მე, არ ვეტრფო
არ ოდეს ფერსა სხვას.

თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
ბოსრული იგი ცით
გამოკრთის სიამით.

ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.

მოვკვდები, ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს,
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!

სამარეს ჩემსა როს
გარს ნისლი მოეცვას,
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

* * *

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ღიმილით გევხარ მაისის დღესა,
მე შენს თვალებში ვსჭვრეტ სამოთხესა
და მათი მჭვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

როს უბედურ მყოფს მე მოშორება
გონებამტაცის მშვენიერების,
ესთვლი მოწყინებით ჟამთ მჭმუნვარების
და სევდა გლახ-გულს დამეფარება!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,
ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,
ხან სიკვდილს იწვევს, ხან შორით ოცნებს,
ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

* * *

არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო;

მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.

მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო შავარნო, მდელო, სიცხითა დამჭკნარი,

რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს,
და ერთად შესხივებულნი შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს,

არეს ავსებდენ სიამით, მცენარეთ განმაცხოვლებლად,
იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად!

ნუ თუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული სხვათაებრ?
მაშინ მზეც უსხივ-უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას
ვარსკვლავებრ;

მაშინ ვარდიცა განთიადს ვერღარა გარდაიშალოს
და ცისა ცვარმან მღელოი არღარა გააბიბინოს.

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავსები!
მაშ, რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?..

მაგრამა მშვენიერება გვაქვს, ცისიერო, უხრწნელი
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდვან კაცთა სახელი.

## საყურე ✓

ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ასრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიო-მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

ჰოდ. საყურეო,
გრძნებით ამრეო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?

## ილია ჭავჭავაძე

### ხმა გულისა

ჩუმ მაღნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი,
და საიდღამაც ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

დიდხანს და დიდხანს ვუგდებდი მე ყურს
იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნეულს;
ვგრძნობდი ჩემ სულის მშვიდ აღმაფრენას
და გულის ჩემის სულ სხვა-რიგ ცემას.

დიდხანს ვატარე, დავღალე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი;
თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

### ს...ჩ...სას

სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქ ფრთითა,
ვითომც მე შენ მოგხვევივარ
სავსეს ეშხის სიამითა.

„დასტკბი, გიჟო! — მეუბნები, —
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგე ბაგეს ჩავაკონოთ
და ჩავართათ სულთან სული!“

თუმც ეს, ტურფავ, სიზმარია,
მითაც ტკბება გული კრული...
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული!..

* * *

ვახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!

შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!“

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული დასჭკნებოდა!..

გახსოვს, ტურფავ, იმავ ბაღში
აყრდნობდი ჩემს მხარზე თავსა,
შენ ჩემს სუნთქვას ჰგუშაგობდი
და მე შენსა წრფელ სუნთქვასა;

დაგყურებდი, ვეღარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე;
შენ შეჰკრთი და ლამაზ თითით
ღიმილით დამემუქარე.

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიჟმა რა იცოდა,
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად
შენის გმობით შემეცვლოდა.

## აკაკი წერეთელი

### საიდუმლო ბარათი

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: „ექმენ მარადო
სიხარულის მიმნიჭედ
და სევდისა ფარადო“.

მისთვის გიდებ უბეში,
გალბობ ცრემლის გუბეში,
ამისრულო, რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში!

ვერა მხედავ მდუმარეს,
ცრემლებს რო ვღვრი მდუღარეს?
რად არ მეტყვი მის ამბავს,
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?

როცა მისი მარჯვენა
გრძნობით გხატავდა შენა,
თვალთ ცრემლი ვერ შენიშნე?
ვერც სახეზე მოწყენა?

როცა ამ სიტყვებს სწერდა,
გული ხშირად უძგერდა?
და თან ტკბილის გრძნობითა
სიყვარულსა დაგმღერდა?

ან, როს ფარულად მანა
შენ ჩემთან გამოგგზავნა,
ანგელოზი სუფევდა
მის გულში, თუ სატანა?

არა! ამ გრძნობას განა
მიჰბედავდა სატანა?!
მაშინ უკუღმა ბრუნვას
იწყებდა თვით ქვეყანა!

საიდუმლო ბარათო!
მექმენ... მექმენ მარადო
სიხარულის მომნიჭედ
და სევდისა ფარადო.

## ციცინათელა

ჩემო ციცინათელა!
რად მიჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!

ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას მარგიხარ!..
ჩემი იყო, ის მინდა,
შენ კი სხვისი ბარგი ხარ!..

აბრეშუმის პეპელა,
ფუტკარი და წურბელა,
შენზედ სარგებლიანი
შენ გენაცვალოს ყველა!..

წურბელა მკურნალია,
მაგრამ ცოტა მყრალია...
მშიერი — სისხლის მტერი,
რომ გაძღება — მთვრალია!..

მაშ რად მინდა წურბელა?
მან გული დამიბნელა!
ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ციცინათელა!..

მეორე თაფლს და სანთელს
ვვიკეთებს და სარგებელს
მით გვაძლევს, მაგრამ კბენით
გვისივებს ცხვირ-პირს და ხელს!

მაშ, რად მინდა ფუტკარი,
მკბენარი, მოისარი?
ისევ ციცინათელა,
უწყინარი ის არი!

მესამე ტანს გვიმოსავს,
წყნარია და არ იქმს ავს,
მაგრამ უგნურებითა
პარკში იღრჩობს თავის თავს!

მაშ, რად მინდა პეპელი,
უგნურად თავის მკვლელი,
და როგორ არ მერჩიოს
მასაც ციცინათელი?

ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელა-ნელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატყუებს ყველა.

მებრალები, კარგი ხარ!
და, ვაი, სხვის ბარგი ხარ!
სხვებს ბნელშიაც უნათებ,
მე კი დღეც არ მარგიხარ.

ნეტავ რისა გაქვს რიდი?
ჩემსკენაც გამოფრინდი,
ნათელი მომაფინე,
მეც გამინათე ბინდი!

კმა, რაც დღემდის ვიწამე;
აწ საყვარლად მიწამე
და მაშინ შენს სიყვარულს
დამავიწყებს მიწა მე!..

ჩემო ციცინათელა,
სადღა ჰფრენ ნელა-ნელა?
შენმა შორ-შორ ნათებამ
უდროოდ დამანელა!..

* * *

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!
თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ
და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ,
რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანაც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს,
ჩემს შარბათში ნაღველს ვსჭვრეტ და
ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

რაღას ველი, დრო არს გაქრეს იმედი;
გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი,
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
ახა, ღმერთო, რა უდროოდ დავბერდი:
საფლავისკენ ფეხი გამიშვერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

დავუძლურდი, გაქრა გიჟი ოცნება...
ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება,
და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო, მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!..
სჯობს, სულ გაჰქრეს კაცი, რადგანც მტვერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

## იმერული სიმღერა

პატარა საყვარელო,
რისთვის მომიკალ გული?
გალიაში გაგზარდე,
ვით მაისის ბულბული,

შაქრით მყავდი გაზრდილი,
შენთვის ვლე კიდის-კიდე!
პატარა საყვარელო,
ცეცხლი რად მომიკიდე?

გული შენ მოგიძღვენი,
სულიც შენ შემოგწირე!

პატარა საყვარელო,
შენ რაღად დამამცირე?

რომ დამგმე უმიზეზოდ
და გამცვალე სხვაშია,
მიჯობს დამწვა ცეცხლითა,
ან ჩამაგდო ზღვაშია!

პატარა საყვარელო,
ჩემო მკვლელო, უგულო,
გალიაში გაზრდილო,
გაზაფხულის ბულბულო!

## მუხამბაზი

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ტურფავ, შეგიყვარდები!

ცაზედ მზეა, ქვეყანაზედ შენა ხარ!
შეცდომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ.
შაქრის გულო, ბულბულისა ენა ხარ!
სიხარულო, ჩემის ცრემლის დენა ხარ!
ეკლით ნუ მჩხვლეტ... დამიბრუნე ვარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია.
საუკუნო მეგობრობის მცველია!
ახალი კი დროებითად მწველია
და ყმაწვილთა მხოლოდ სანატრელია.
შენ ერიდე!.. მოიფარე ფარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ქალო, შეგიყვარდები!

ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?
ვინ გაღმერთოს ციურად მომცინარი,
თუ არ მევე?.. გინდა ვიყო მძინარი,
შენი სახე მაინც ჩემ თვალთ-წინ არი;
თუ გამიქრა, კლდეზედ გადავვარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

აწ რაღა ვარ, შენგან ტრფობას ჩვეული?
ვეხეტები გზა-და-კვალდაბნეული!
ლხინს ვშორდები, ჭირისაგან წვეული!
გაყრის წამი ჩვენი იყოს წყეული!..
სჯობს, შევრიგდეთ! ფეხ-ქვეშ დაგივარდები!
რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
გეფიცები, ისევ შეგიყვარდები!

## კინტოს სიმღერა

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია! ..

მისმა შუქმა დამადნო,
სიცოცხლეც დამწვარია,
დღე-დღეობით მზე არის,
ღამ-ღამობით მთვარეა!

მისი ცეცხლი ამ გულსა
აროდეს არ ნელდება:
თუ იმას არ ვუყურებ,
დღე ნათელი ბნელდება.

მაშინ ვკვდები სევდითა,
სისხლის ცრემლით ვსტირი მე,
სანამ არ მანუგეშებს,
იმისი კი ჭირიმე!..

საყვარლისა ეშხზედა
ღვინო დამილევია,
მის ხსოვნა-სიყვარულში
სულიც დამილევია!..

## სიყვარული

- სიყვარულო, ნიჭო სრულო,
წამ ტკბილო და ხანგრძლივ მწარე,
ჯერ აკვანო ნეტარების,
მერმე კუბოვ და სამარე!

დღეს ჩემი ხარ, ხვალ სხვისი ხარ,
უგზო-უკვლოდ მოარული!
სად არს შენი დასაბამი?
ან სადა გაქვს დასასრული?

ზოგი გყვედრის, ზოგი გვედრის,
ყველას კი ჰსურს, რომ გემონოს!..
ვინ არის, რომ შენსა სიტკბოს
სიცოცხლე არ შეუწონოს?

დიდის ხნობით... მაღალ გრძნობით
თუმც არავის არ ახარებ
და წამიერ სიტკბოებას
საუკუნოდ წაამწარებ,

მაგრამ მაინც ყველა გეძებს!..
ცოცხალმა ვით დაგიწუნოს?
ვინ არის, რომ იმ ერთს წამში
არ გასწირავს საუკუნოს?!

## ჯარისკაცი

პატარა ბიჭი ვიყავი,
პატარა ბიჭუკელაო,
„დაურჩი დედას, კარგი ხარ!“
შემომნატროდა ყველაო.

პატარა გოგო მიყვარდა,
პატარა გოგუცანაო,
ცაზე ვარსკვლავიც არ ბრწყინავს
ლამაზი იმისთანაო.

თავი მოგვწონდა ორივეს,
გულს კარი მქონდა ღიაო,
შიგ ჭიკჭიკობდა ბულბული,
ვარდი ჰყვაოდა, იაო.

გვეგონა, დაბლა ქვეყანა
მაღლა ცით დათაფლულაო,
შიგ სიყვარული ნათესი
ჩვენს კარზე ამოსულაო...

თავზე დავიდგით გვირგვინი,
მივდექით საყდრის კარსაო,
მამასახლისმა დაგვჩხავლა:
— „მღვდელო, ნუ დასწერ ჯვარსაო!

„ნეფეს სალდათად იწვევენ
უნდა მოხადონ ვალიო,
სამ წლამდის ქვრივად დარჩება
ხემწიფის პატარძალიო“.

დავღონდი პატარა ბიჭი,
პატარა ბიჭუკელაო,
„ვაი შენს დედას, საბრალოვ!“
შემომტიროდა ყველაო.

პატარა გოგოც ატირდა,
პატარა გოგუცანაო,
მაგრამ ჩემს დაბრუნებამდი
სხვა ნახა ჩემისთანაო.

## სატრფოს

მშვენიერო, შენ გეტრფი
შენი მონა, ერთგული!
შენთვის სულდგმულს, შენგანვე,
შენთვის მიძგერს ეს გული!

მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე...
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

ტკბილად გაჭმევს, ტკბილს გასმევს,
შეზავებულს ბანგითა,
დედის ხმაზედ გიმღერებს
დედინაცვლის ჩანგითა.

გაუფრთხილდი! ნუ გჯერა
მაგის ტკბილი ნანინა,
შენზე წინათ სხვაც ბევრი
მოხიბლა, შეაცდინა!

გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯნის
მაგალითი... მზეობა.

ტარიელი დაგეძებს,
გავარდნილი დღეს ველად,
ავთანდილიც ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად!..

რომ სისხლი და ცრემლები
მსხვერპლად შენ წინ დაღვაროს!..
აქ ცოცხლებს სცეს ნუგეში
და იქ მკვდრები ახაროს.

* * *

სანამ ვიყავ ახალგაზრდა
და სიამით ძგერდა გული,
ენატრობდი და არ მეღირსა
ბედუკუღმართს სიყვარული.

რომ დავბერდი, დავუძლურდი,
სახე დაჭკნა, დამეღარა, —
სიყვარული რაღად მინდა,
გინდ იყოს და გინდა არა!

სიღარიბე კვალში მდევდა,
კარის-კარზედ დამატარა,
აწ სიმდიდრე რაღად მინდა,
გინდ იყოს და გინდა არა!

ვინც მინდოდა სამეგობროდ,
ყველამ გვერდი ამიარა:
დღეის იქით მეგობარი
გინდ მყავდეს და გინდა არა!

უსამართლოდ დაცინებამ
ჩვენში ბევრჯერ გამამწარა,
ცხრა მთას იქით, რაღად მინდა,
გინდ მაქონ და გინდა არა!

ვისაც ვთხოვდი შემწეობას,
ჩემთვის წყალიც არ დაღვარა,
რომ მოვკვდები, რაღად მინდა,
გინდ მიტირონ, გინდა არა!

სული კრული, გული წყლული,
სახე მჭკნარი, თმა ჭაღარა,
ამისთანა სიცოცხლეც კი
გინდ იყოს და გინდა არა!

## ს უ ლ ი კ ო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო!..
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!

ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო,
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.

სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს სთქვა: „დიახ, დიახო!“

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შეეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“

დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

„ეგ არის რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!

„სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდადო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამქვეყნად შეგიყვარდათო“.

შენიშნა!.. აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
აღარ ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!..

ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!

ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდე რომ მწარედ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

## ნ ა ტ ვ რ ა

როტშილდის ქონება მე,
შექსპირის გონება მე,
ყველაზედ უფროსობა,
შენი კი მონება მე.

შევარდნისა ფრენა მე,
ბულბულისა ენა მე
და შენგამო, შენგან მე
ტკბილი ცრემლის დენა მე.

სხვა ვინატრო რაღა მე?
რაღა დღე და რა ღამე?
როცა შენმა სიშორემ
გული დამიდაღა მე!

## ყმაწვილ ქალს

ყოველ სნეულებაზედ
სიყვარული ძნელია;
შეყვარებულისათვის
ნათელიც კი ბნელია:

თვალით ვეღარას ხედავს,
ყურში არ ეყურება
და ყურმოჭრილ ყმასავით
მის კერპს ემსახურება.

რაც უნახავს საყვარლის,
ან რაც გაუგონია,
გინდ საძაგლობაც იყოს,
მაინც კარგი ჰგონია!

ეს ბუნების კანონი
ყველასათვის ვალია:
გაურჩევლად იმონებს,
კაცია თუ ქალია.

და შენც უნდა ელოდე,
რაც ვალი და წესია!..
თუმცა ტრფობას შენს გულზედ
ჯერ არ დაუკვესია,

მაგრამ ერთხელ უეცრად
დაგკრავს, მოგიდებს ალსა,
გაგრძნობინებს უცნაურს
რაღაც ციურსა ძალსა.

ის ბიჯი მიითვალე
სიკვდილ-სიცოცხლის სწორად:
ან ავად და ან კარგად
გარდაგქმნის ერთი-ორად.

მაშინ შენს სათაყვანოს
თუ შეხვდი ღირსეულსა,
გაგიმტკიცებს გონებას,
აგიმაღლებს მით სულსა.

რაც ბუნებითად კარგი
შენში კი იპოება,
აყვავდება, იხარებს,
ვითა უმანკოება.

მაგრამ თუ შეხვდი ულირსს,
ზნეობითად დაცემულს,
ვაი, შენს სიცოცხლესა,
საფლავამდე დაშხამულს!

დრო რომ გამოგაფხიზლებს,
ნახავ თავს მოტყუებულს,
მაშინ სულდაჩაგრული
ნაღვლით აივსებ მაგ გულს

და გაბოროტებული
აქეთ-იქით ეცემი;
მაგრამ საითაც წახვალ,
იქითვე დაეცემი.

აი, ამას უფრთხილდი,
ცუდად არ წაჰკრა ფეხი,
რომ თავზე არ დაგატყდეს
ის სასიკვდინო მეხი!

ბევრი დაუჭერიათ,
ვით ჩიტები მახითა.
არ მოტყუვდე შენ მაინც
გარეგანის სახითა!

ნუ გაიჩენ ცუდს წრეში
შენ ტოლ-ამხანაგებსა,
და თავიდან აიცდენ
მახეს, შენთვის ნაგებსა.

ერიდე გარეგნობით,
შემთხვევით ამაღლებულს!
სხვა კანონი და გზა აქვს
მის სულს, ჭკუასა და გულს.

შავს ენას და შავსა გულს
აფარებენ თეთრს კბილებს.
არა! გიჯობს, რომ მიჰყვე
შენ იმ მამულიშვილებს,

ქვეყნისთვის რომ ყოველდღე
ოფლში იწურებიან
და, ვით ბნელში ვარსკვლავი,
ისე ჩუმად ჰქრებიან!..

## ლადო ჯაფარიძე

* * *

ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ტურფა, ლამაზო,
ყველა შენ გენაცვალოს,
მოციმციმე ალმასო!

მიყვარდი და მიყვარხარ,
სულთქმამდინ მეყვარები;
მსურდა შენის ხელებით
დამსუჭოდა თვალები!

თუმცა მე შენმა გულმა
ახლოს არ მიმიკარა
და შენ, ჩემო ლამაზო,
არც „ჰო“ მითხარ, არც „არა!“

გინდა ჯვარზედაც მაცვან,
მე სხვას ვერ შევიყვარებ,
შენ კი გძულვარ, მაგრამა
მე შენ თავს განაცვალებ!..

## გრიგოლ ვოლსკი (უმწიფარიძე)

* * *

ოდეს მეწეევა სევდა დამწველი
და გულღვიძლს მიღრღნის, ვით მგესლი გველი,
შენი სახე მყავს მაშინ მხსნელ ფარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად...
რა წამსაც მეტყვი საქმეს საგმიროს,
თუნდ მტრის ლახვარმაც მომკლას, გამგმიროს,
შენთვის სიკვდილსაც მივიჩნევ არად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!...
სიკვდილის ჟამსაც მექნება ნატვრად
რომ შენი ცრემლი ციურ საჩუქრად
ჩემს ობოლ საფლავს დაეცეს ცვარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!...
ჭირსა თუ ლხინში, ყველგან, ყოველთვის
გული, გონება შენსკენ მომელტვის,
მარტო შენ მწამხარ ხატად და ჯვარად...
შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!..

## ვაჟა-ფშაველა

### რამ გაგაჩინა, ქალაო

(სიმღერა)

რამ გაგაჩინა, ქალაო,
ლერწმად აჭრილო წელშია?
ნეტავინ, ხელით შემახო,
შენ რო ვარდი გქონ მკერდშია!
რომ დავიხოცნეთ, იქაცა
კიდევ გიპოვნი მკვდრებშია.
შენს იქით, ვინ სთქვა, რო იყოს
ქალი, კაცი და ქვეყანა?
ოღომც კი შენთან მამყოფე,
თუნდ ბინას დავსცდე თემთანა;
მოვკვდე შენს დაუტირებლად,
თუ შეგადარო მზესთანა!

თუნდ სრულად გასწყდენ ვარსკვლავნი,
მზემ ტანთ ჩაიცვას შავები,
ისეც მზეობას მიზამენ
შენი ფოფინა თვალები!

## სამეფოს სიმღერა

ქალო, გნახე ფეხშიშველა,
გამაჰგოგდი ეზოშია;
გენაცვალე, კაკაბს ჰგვანდი
მოსეირნეს ფერდოშია.
ვისი ძუძუ გიწოვნია,
ითსა თუ ვარდისაო?
გენაცვალე, შავთვალწარბავ,
გულო ჩემის დარდისაო!
გამიგონე, სად მირბიხარ,
შე უჯიშოს გვარისაო?!
შენ თუნდ ფრჩხილიც ნუ აგტკივა,
სიკვდილს მივცემ სიცოცხლესა;
ერთხელ კიდევ დამენახვე,
ღმერთი დედას გიცოცხლებსა!..

## გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ √

(სიმღერა)

გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ,
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე.

მინდა გაკოცო, მაკოცო,
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოვედ
ამ სატიალოს მდინარეს.
მეც უნავო ვარ, შენაცა,
ცურვა არ ვიცით, ვტირითა;
მეშველიც არვინ გვიჩნდება
არც ციდან, აღარც ძირითა,
შენ მე მიმელი, მე — შენა
გაცინებული პირითა.
ველარც ხმას გაწვდენ, გითხრა რამ,
მდინარე ბრაზობს, ღრიალებს,
ჩემს ძახილსა ნთქავს მის ზვირთი,
როგორ შავადა ტრიალებს!..
რა უნუგეშო ყოფნაა,
წელთა სვლა მხოლოდ მზერაში,
რომ მოვკვდე, ბევრით ჰჯობია,
მაინც გარგივარ ვერრაში!..
არა, ის მინდა, გხედავდე,
ნუგეშსა ვპოვებ ცქერაში.

## სიყვარული

შენმა სურვილმა დამლია,
შენზე ფიქრმა და სევდამა,
შორს წასვლამ, ხშირად გაყრამა,
გულის თვალებით ხედვამა;

მაოცებს შენი გამზრდელი,
ვინც შენ გაგზარდა დედამა...
კარგი ხარ, აღარც კარგი ხარ,
მე გულს მაწევხარ ნისლადა,
მინდა, რომ მძულდე, მოგშორდე,
ვულზე მობმულო ღვიძლადა,
მაგრამ ტყუილად ვცოდვილობ:
ვერ ესძლევ შეჩვეულს გრძნობასა.
მთელის ხმელეთის სწორი ხარ,
ვინ მიზამს შენოდნობასა?
ვინა სთქვა: „ტრფობა ბერდება
და სატრფიალო საგანი,
ყინულის ეკალს დაისხამს
წამწმები ცრემლით ნაბანი,
ცრემლითა ნასურვილევით,
დრო რა გაივლის და ხანი?!“
ცოცხალი პირქვე დამმარხეთ,
დამხურეთ მიწის საბანი,
თუ ჩემს შენდამო სიყვარულს
დაეკლოს ერთი ცვარია.
თუმცა რაც პირველად გნახე,
მას შემდეგ კარგა ხანია;
ცოცხალს შენა მფენ გულზე ვარდს,
თუ ავდარი, თუ დარია,
საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,
შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია!

## გრიგოლ აბაშიძე

### სიმღერა

როდესაც გიცქერ — ტკბილად სძგერს გული,
შენდამი ტრფობით გატაცებული;
ოდეს გშორდები — მუდამ ვსტირი მე...
შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე!

შენ ხარ სიმღერა და სიყვარული,
ხარ უკვდავება და სიხარული...
ერთი მაჩვენე, მზეო, პირი მე...
შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე!

ბროლის თითებით როს სიმთ აჟღერებ, —
სირინოზის ხმით ტკბილად ამღერებ, —
ნეტარების ცრემლს ვაფრქვევ, ვსტირი მე
შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე!

შენ მომივლინე შვება, ნათელი,
შენ გამიქარწყლე კვნესა, ნაღველი,
ველარ მერევა ტანჯვა, ჭირი მე...
შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე!

შენი მონა ვარ, შენი ვარ მცველი,
შენი მგოსანი, შენზედ მლოცველი,
შენი ჩრდილი ვარ და თან გზირი მე...
შენ შემოგევლე, შენი ჭირიმე!

გემუდარები, ნაზო ბულბულო,
ოდესაც მოვკვდე, ვიქმნე უსულო
და დამაფარონ მიწის პირი მე,
ერთი მიტირე, შენი ჭირიმე!

# ამუღური პოეზია



## საიათნოვა

### მოდი, საყვარელო

მოდი, საყვარელო, ბაღში შავიდეთ,
ბაღი კარგი, ვარდი კარგი, ხე კარგი!
სიკვდილამდინ გარეთ აღარ გავიდეთ, —
სახე კარგი... მთვარე კარგი... მზე კარგი!

დავლიოთ ღვინო, — არაყი ჩვენია,
მეჯლის-საზანდარი, საღი ჩვენია!
გავაგდოთ მებაღე, ბაღი ჩვენია!
ლხინი კარგი... დრო კარგი... დღე კარგი!

მაილია ვარდი, — არსად აბია, —
ბულბული სწუხს, რომ ყვავილს უზის ჭია!
ხეივანში გადაშლილა სულ ია,
წყალი კარგი... კვალი კარგი... მწე კარგი!

ტანთ გიხდება საწვიმარი აისი,
ალვის ხესა გამოუსხამს ყაისი!
ყველა ჩივის, რომ დავკარგეთ მაისი,
სული კარგი... გული კარგი... თვე კარგი!

მე, საგათნოვას, ხმაში მაქვს ძალი!
დაბძანდი, დაგიგო ხორასნის ხალი!
მიჯნურმა ღობიდამ არა გკრას თვალი,
საზი კარგი... შენ კარგი... მე კარგი!..

## განა მე მშიერი ვიყავ

განა მე მშიერი ვიყავ, ჭამისათვის წამოვედი?
შენთან ლაპარაკი მსურდა და მისათვინ წამოვედი!..
მინდა დილა გავათენო, ღამისათვინ წამოვედი,
დამავიწყდა... ვეღარ ვამბობ... რამისათვინ წამოვედი!

შენ, სახელმწიფო გვირგვინო, ჩემი თავი არაშია,
დიახ, მეტად მორთული ხარ — დიბაშია, ხარაშია!..
ნათალო ბროლის ფიცარო, სანდალის ფანჯარაშია,
პირი ოქროს სარკეს გიგავს, ჯამისათვინ წამოვედი!

მისთვის გაძევს ძვირი ფასი, დიბაო, ზარბაბო, ზარო,
ხორასნისა ჯავარდენო, ინდოეთის ყალამქარო!..
შორის ქვეყნის ვაჭარი ვარ, შენ მარანდისა ბაზარო,
ზარბაბის ფასი არა მაქვს, ხამისათვინ წამოვედი!

მოდი, თვალო, დამავალე, სარგებელში ენას მოგცემ,
თავს — ბარათის ალაგასა, მეჯლისისა ლხენას მოგცემ!..
მუდამ შენს კარს ვეახლები, ჩემსა თავსა შენად მოგცემ —
ან მომკალ, ან დამარჩინე, ამისათვინ წამოვედი!

სულ ქვეყანა რო მოგროვდეს, ვერ ითქმევა შენი ქება,
რა ინდოეთს, რა ფრანგოეთს, შენისთანა სად იქნება!..
ეს საწყალი საჲათნოვა მთელ ქვეყანას ებრალება.
ალაბი გადმოვიარე, შამისათვინ წამოვედი.

## შუალამის ვარსკვლავივით

შუალამის ვარსკვლავივით ცაში ხარ,
ლალის ვარდო, ყანაში ხარ, მკაში ხარ,
გაზაფხულის იასავით მთაში ხარ,
სანთური ხარ, ქამანჩა ხარ, ტაში ხარ,
ზღვის პირველი ჯეირანი, რაში ხარ!

განა, შენა არ გყოლია მოძღვარი?
რაზედ მოჰკალ ჩემისთანა საპყარი,
წამლისათვის მითხრეს შენი ჯადვარი!
შენსა სახეს ვერ გადმოსწერს მხატვარი,
ინდოეთის ყალამის ნაყაში ხარ!..

ჩემი სიცოცხლე უშენოთ ძნელია,
რაზედ გამათავე, რისა მჭნელია?
შენი ეშხი ბორკილია, წნელია,
შენ მე მხედავ, მე ვერ განახამ — ბნელია,
ბროლის ყუთში და სარკის უჯრაში ხარ!

ჯიხვისავით თოვლიან მთას შაიცვლი,
ლრუბელსავით სავსე წვიმას ჩაიცლი,
ჯეირნივით მინდორში არ მაიცლი,
ერთ წუთაზედ ათას ფერად გაიცვლი,
ვინც რომ განახამს, ნაღველი ხარ, ვაში ხარ!

ინდის ხელმწიფისგან ოქმი მოუა,
რაც რომ გვიყოს, შეუძლიან, გაუა,
ოქროს ხანჯლიანი კარზედ დაუა,
ბროლის სინით მარგალიტი შაუა, —
შე საწყალო საჲათნოვავ, რაში ხარ?

## რა ზარბაბი

რა ზარბაბი, რა ატლასი, რა ზარი ვარ, იცი განა?
იას და ვარდს ვენატრები, რა ქარი ვარ, იცი განა?
ნიადაგ საზი ხელში მაქვს, ნოქარი ვარ, იცი განა?
შენს დედ-მამას შეუტყვია, თითონ კი არ იცი განა?
მაშ არ შეგიტყვია განა? მაშ არ შეგიტყვია განა?

ახლა მოდი, მოგახსენო, ქვეყანაზედ რა ვიარე:
ლეილუმ ტოლი დავკარგე, მეჯნუნივით დავიარე,
ბულბულივით ვარდს ვეძებდი, ავდეგ, ჭალას ჩავიარე,
ვარდის კვალი ვერ ვიპოვე, სულ უბრალოდ გავიარე,
მზესავით პირი მაჩვენე, დამწვარი ვარ, იცი განა?

ეს ჩემი გულის ნაღველი ვატყობინე ერანელთა,
მაშრიყელთა, მაღრიბელთა, ხელმწიფეთა, ერთა, ბერთა,
ამის მეტი რა ღონე მაქვს, თავს მოვიკლავ ტურფას გვერდთა!
ხვეწნაც ასეთი იქნება? ვამბობ: მე ვარ დედისერთა!
დამადნე და დამანავლე, შაქარი ვარ, იცი განა?

შემოდგომა შემოვიდა, მე რაღა უკან ვიქნები?..
მანდ შენი ვარდი ამოვა, ან მოვკვდები, ან ვიქნები,
შენი ნაღველი არ იყოს — ცოცხალი დიდხან ვიქნები!...
გამიგონე, მოგახსენებ, ამაღამ შენთან ვიქნები!..
მალმალ ამბობ: აღე, წადი! სტუმარი ვარ, იცი განა?

საჲათნოვა ამას ვჩივი, სამალი ვერ მიშოვია!
მინდა გული ზედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვია!
შენი უბის ბროწეულის ნამალი ვერ მიშოვია,
თავი მტკივა, გული მტკივა, წამალი ვერ მიშოვია,
მომაქვს ზარის ხელმანდილი, ხუმარი ვარ, იცი განა?

## დავით გივიშვილი

* * *

მითხარ, მითხარ, რას მემდური შენი სულისა,
აღარა მაქვს მოთმინება, მკვლელო გულისა!
კარგად იცი, ტყვე ვარ შენი სიყვარულისა,
ახსენ ბაგე, გამაგონე ხმა ბულბულისა!

ღმერთსა ვფიცავ, არას გარგებს ეგრე სინაზე,
ცეცხლს მიკიდებს შენი ეშხი და სილამაზე,
ერთი მითხარ, რა გაწყინე, მივიწყებ რაზე?
რად გადასდექ, შე უწყალოვ, იმ ჩვენს აღთქმაზე.

მაშ, თუ ჩემი სიჭაბუკე არ გენანება,
მოდი, მამკალ შენი ხელით, გაქვს სრული ნება,
ჩემთვის დიდი სიხარული იგი იქნება,
რომ ეს გული დადაგული მით განელდება!

ერთხელ მაინც მამიგონებ მკვდარსა სულითა,
იტყვი, მოკვდა ჩემის ეშხით, სიყვარულითა,
მხოლოდ მაშინ აივსები სინანულითა,
მაგრამ, სულო, სადღა მნახავ, გსურდე გულითა!...

სიჭაბუკე ისრე ჭკნება, ვითა ყვავილი,
დღენი ჩვენი მიდის, ქრება, როგორაც ჩრდილი,
მინამ დრო გაქვს, მოილხინე, სცან გივიშვილი,
ეს ხომ იცი, ბოლო ჩვენი არის სიკვდილი...

## გიორგი სკანდაროვა

* * *

ორთავ თვალის სინათლევ!
რაზედ მოგიწყენია?
ბნელს ვზივარ, განმინათლე, —
სინამ დრონი შენია.

ეარდო, შენ შლას მოველი,
სიტყვა მაქვს სათხოველი;
ეკალზედ ვარ მშთომელი,
ცხარე ცრემლი მდენია.

რა ვქნა? შენთან ყოფნა მსურს;
მშვილდთა წარბთა ტყორცნა მსურს,
დღე-ღამ შენი კოცნა მსურს,
სხვაფრივ ნურა გგონია...

გაჩენილხარ საწველად,
ჩემ გულის დასაწველად,
მთელ ღამის ათასჯერად, —
შენს კარს გამითენია.

ნუ მაძლევ ცუდსა ბედსა,
ნურც ტყუილსა იმედსა,
არას გთხოვ ამის მეტსა, —
მკმარის ესოდენია.

განახე, მწვავს ეშხის ალი,
არსით არის წამალი.
მითხარი, რა მაქვს ბრალი, —
შენთან ჩანადენია.

შენ დღე გშვენის, მე ღამე...
ეს ტანჯვა რისთვის მამე?
გამო, ერთი ხმა გამე, —
კვირით შვიდი დღენია.

სხვა რაც გითხრა, გამიგე,
მკვდარი გული მამიგე,
მახენი ნუ დამიგე,
გეაჯ თუ გწამს ზენია.

გავლით მომეც სალამი,
აწ განტრულობს ალამი;
ხელთ გიჭირავს კალამი,
ქება დაგიმშვენია.

შუქნი გფარავს მზისანი;
სიტყვა მომეც მტკიცენი,
სკანდარნოვა იცანი, —
სიმღერის გამჩენია.

* * *

ამ დროში საყვარელი სჯობს,
საუნჯეს ლერწამ-წელი სჯობს,
შაქრივით ბაგე სველი სჯობს,
სევდების უკუმყრელი სჯობს;
ძუნწის ფულს — გამხარელი სჯობს.

მიჯნური ერთგული უნდა.
არშიყსა — ჭკვა სრული უნდა,
კოკობ ვარდს — ბულბული უნდა,
გული-გულს გაბმული უნდა;
სურვილი — გაუყრელი სჯობს.
ამ დროში საყვარელი სჯობს.

კეკლუცი — ქვეყნის ფასად ღირს,
ნარნარი — დევნის ფასად ღირს,
ბულბული — სტვენის ფასად ღირს,
კეთილი — სმენის ფასად ღირს.
სიყვარულს სხვა რომელი სჯობს?
ამ დროში საყვარელი სჯობს.

არ ვარ შენებრის მნახველი,
ველად რბის შენი მსახველი;
ნუ დამსვამ, ახ, ვას მძახველი!
იყავ სიტყვის შემნახველი.
ორგულ ქალს — ისევ მწველი სჯობს,
ამ დროში საყვარელი სჯობს.

ვერა მჭვრეტ, მზეო, ცქერითა,
ვერცა ვსძლებ სხივის მზერითა,
ამას გთხოვ ტკბილის მღერითა;
ნუ დამწვავ „ეშხის ძგერითა!"
მაკმარე: „ტანჯვა-ძნელი", სჯობს!
ამ დროში საყვარელი სჯობს.

## ᲘᲔᲗᲘᲛ ᲒᲣᲠᲯᲘ

### ᲨᲣᲐ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲒᲓᲔ ᲜᲐᲕᲘᲓᲐᲜ

კარგი იყო, არ გამეცნე თავიდან,
შუა წყალში გადამაგდე ნავიდან,
ჩემი გული შენ დაკოდე, დახიე,
ხელებს ითბობ, ცეცხლის ალში გამხვიე.
დამიმონე, შენი შიშით ვკანკალებ,
მომერიე, გიხარიან, ხარხარებ...
როდემდისინ გქონდეს ქვისა გულია,
მე რომ ვტირი, შენთვის სიხარულია.
ფიქრობ, ტანჯვით შემაძულო თავია,
ცდები, შენ ხარ ჩემი სალოცავია.
თვალებს დამთხრი? — ფეხქვეშ ჩაგივარდები,
რა გინდ მტანჯო, უფრო შემიყვარდები!
სულ არ გესმის ჩემი წერა-კითხვები,
რად მიყვარხარ, რატომ არ მეკითხები?
რომელ მსაჯულს ვკითხო სამართალია,
ვის შევჩივლო, რუსთაველი მკვდარია!

## შენი სიყვარული მშივა

ზამთრის ყინვა ვერ მაშინებს,
შენ რომ გხედავ, მაშინ მცივა.
მე ჭამა-სმა აღარ მახსოვს,
შენი სიყვარული მშივა.

კარგად იცი, შენთვის ვიწვი,
ვით თონეში ხმელი თივა,
გაიცინე, თან მაცინე,
ეს ჭრილობა შენგან მტკივა.

შემოდგომა მოიგონე,
როს ფოთოლი ხეებს სცვივა,
სარკე არი თვით ბუნება,
დამერწმუნე, შენც მოგივა.

სილამაზეს თავის დრო აქვს,
ეგ სიმდიდრეც გადაგივა.
ეს სოფელი ვინ მოჭამა,
ყველა სამარეში მივა.

ყამი დაჰკრავს აღსასრულის,
ტკბილი სული ამოგივა,
მაგ შენ თვალებს მიწა შესჭამს,
ეგ წარბებიც ჩამოგივა.
ბოლოს შენ სულს ეკითხება,
შენგან იეთიმს რაც მომივა.

## ლამაზების პრეზიდენტო

ლალ-ზურმუხტი, ფირუზი ხარ,
ქვეყანას თვალად უზიხარ,
ედემის თაფლის ბუზი ხარ,
ლამაზებში ჯვრის ტუზი ხარ,
მთელი სამყაროს ფასი ხარ,
სხივით პლანეტა, მარსი ხარ,
ბულბულისთვის მაისი ხარ,
თუ არ ჩემი — მაშ, ვისი ხარ?
შენთვის ვგალობ, მიცან ხმაზე,
აღარა ვარ კაცი ჭკვაზე,
მარტო შენ ხარ მიწა-ცაზე,
მოჩვენება პლანეტაზე,
ჩემო ხატო, ჩემო ღმერთო,
შენ სურათზე სანთლად ვენთო,
გთხოვ წყალობა გაიმეტო,
ლამაზების პრეზიდენტო.
სანამ შენ სახესა ვმზერდე,
სულ იცოცხლე, არ დაბერდე,
მარტო შენ ქებასა ვწერდე,
იეთიმ-გურჯი შენთვის ვმღერდე.

## ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს

ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს,
რისთვის ვტირი მე,
მოწყალებას ვინ მაიღებს,
მისი ჭირიმე!
გაზაფხულის ვარდი შენ ხარ,
ედემს რგული ხარ,
ამ სოფელში მოჩვენების
თაიგული ხარ.
გულში სევდა ვერ დავტიე,
ველარ ვითმენ მე.
ქანდაკების ქვა გამხდარხარ,
აღარ მისმენ მე.
რბილი ენით გაგიცანი,
ბოლოს მაგრობ შენ,
ცეცხლის ალში გამახვიე,
აღარ მაქრობ შენ.
ეშვიდი, წყნარი გული გქონდა,
რად გახდა თუჯი,
ვისმა ენამ შეგაძულა
შენ იეთიმ-გურჯი?!

## დარდიანად დამიწყია მღერა

დარდიანად დამიწყია მღერა,
ცოცხალი ვარ, მე კი არა მჯერა —
იანა-იანა ესეც ბედისწერა.
ღმერთი ვიცან ცაზე, აღარ ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.
მე ახალი დარდი მიყიდნია,
წყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდია,
იანა-იანა ესეც ბედისწერა.
ღმერთი ვიცან ცაზე, აღარა ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.
სადღა არის კანონ-სამართალი,
გაარჩიოს მტყვანი და მართალი,
იანა-იანა ესეც ბედისწერა.
ღმერთი ვიცან ცაზე, აღარა ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.
ერთი მითხარ, ვისი ენით წახდი,
ჩემი იყავ, სხვისი რაღად გახდი,
იანა-იანა ესეც ბედისწერა.
ღმერთი ვიცან ცაზე, აღარა ვარ ჭკვაზე,
შენთვის ვგალობ, გამომიცან ხმაზე.

# XX საუკუნის ქართული პოეზია



## კოტე მაყაშვილი

### ROMANSI

დავრდომილი, სნეული
უნუგეშოდ ვტირი მე,
კვნესის, ოხრავს ეს გული...
რა ვქნა, შენი ჭირიმე?!
მანამ მქონდა ძალ-ღონე,
სევდას ვკლავდი მე მალე,
ახლა მას დავემონე...
რა ვქნა, შენ გენაცვალე?!
მწარე ნაღვლით აღსავსე
გული ცრემლით გავბანე,
მაგრამ აივსო ისევ...
რა ვქნა, შენ გეთაყვანე?!
სული კვნესის დამწვარი,
ვწყევლი მუდამ ბედსა მე.
რა ვქნა, რა ვქნა, მითხარი,
შენი ჭირი, კვნესა მე?!

## ვალერიან გაფრინდაშვილი

### სანტიმენტალური ტრიოლეტი

ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა.
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი.
შენს სილამაზეს ჩემი ტრფობა ესაფეხურა.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა.
მე განშორების ცივი თოვლი დიდხანს მეხურა.
ვტიროდი ხარბად — მარტოობით ნაალერსალი.
ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბეღურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერსალი

### თეთრი საცოლო

საფირონებს ატარებს
ჩემი თეთრი საცოლო.
ალტაცებით მადარებს
ამაყ კონკვისტადორებს,
ტრფობა რომ დავაცალო.

ნაზი, როგორც მარაო,
ნაზი, როგორც პეპელა,

ხშირად ამბობს — არაო,
ნეტა მანეტარაო
თეთრად და უვნებელად.

ნორჩ ქალბატონს სწყურია
ჩემთან გასეირნება.
ვით მამიას გურია,
იგი უცნაურია —
დავდივართ ჯეირნებად.

ჰყავს კოლიბრი, ფინია,
თუთიყუში ხნიერი:
ფრინველს დაუქინია,
რომ მე მიყვარს კინია —
ვიღაცა მშვენიერი.

სატრფო არ ჩამიკონებს,
მაგრამ ცეცხლი მეღება,
ჩემი ლექსის სტრიქონებს,
იგი ახლა იგონებს,
და მეც მეიმედება.

კანკალებენ ჩადრებად
შელამების ფერები;
მისთვის კოცნის კადრება,
და ჩვენც მოგვენატრება
ოეთრი ჯვარისწერები.

## იოსებ გრიშაშვილი

### რა კარგი ხარ, რა კარგი!

რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ზღვისფერთვალება,
თმებზე ღამე გიციინის, პირზე — დღის ბრწყინვალება.
რა კარგი ხარ, რა კარგი! შუშპარა და მჩქეფარე!
როცა მოვკვდე, გენაცვა, ძეგლად გადამეფარე.
სიომ ძლივს ინახულა, სადაც გძინავს, ის ბინა
და შენს ტუჩზე გულნარას ვარდი ააბიბინა;
სპილომ ძვლები დაიფშხვნა რამდენიმე წვრილ კბილად
და მარჯნებში ჩაგიბა მარმარილოს ბორკილად,
რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ცელქი, მჩქეფარე...
როცა მოვკვდე, გეთაყვა, ძეგლად გადამეფარე!
სუნთქავ — და მაგ სუნთქვისგან, რომ მიბრძანო შენს
მწერალს,
ფსალმუნს დავწერ, ღვთის ფსალმუნს, საგალობელ-
სამღერალს.
მზე შიშობს, რომ მასზე წინ იას არ შეეყაროს!
შენს სიარულს აჯავრებს დარხეული მთის წყარო;
რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ცელქი, მჩქეფარე,
როცა მოვკვდე, ლამაზო, ძეგლად გადამეფარე!
...თუმც ქალის სიყვარული, მთის წყალივით ჩანჩქარა,

ისე სწრაფად გაირბენს, ისე სწრაფად და ჩქარა:
ვით სარკეზე ნაორთქლი, ვით სრიალი ტყის გველის,
ან ვით თითი კლავიშზე რომელიმე დამკვრელის.
ვის არ ვხედავ შენს გვერდით, შენსა გარეშემოსა,
ეგ სიტურფე, მითხარი, ქებით ვინ არ შემოსა,
ვის არ უნდა, შენს გულში ადგილი დაიჩემოს,
ვის არ უნდა, მითხარი, შენი ტრფობა იგემოს?
მე კი რით გაგაკვირვო, რომელ ქათინაურით?
მე ჩუმი ვარ, გენაცვა, ვერ მოგხიბლავ ხმაურით,
ვერ მოგხიბლავ სიტყვებით, ვერ მოგხიბლავ და...მგონი,
სიტყვა ჯერ არ არსებობს შენთვის გამონაგონი!
და მიტომაც მე მინდა, რომ ეგ სახე, ლამაზო,
ჩემის ფრჩხილით დავკაწრო, ჩემის კალმით დავხაზო,
ლოყებზე დაგიჯღაბნო რაღაც უცნაურება,
რომ სარკეშიც შეგზარდეს შენი სახის ყურება,—
მაშინ ბრბო მყის დაგტოვებს, ბრბო წუთით ანათრთოლი,
გაგეცლება, როგორც ხეს შემოდგომის ფოთოლი,
და დამრჩები მხოლოდ მე, ვით სიცოცხლეს საწუთრო,
და შევიძლებ, რომ ერთმა ერთი დაგისაკუთრო.
მხოლოდ ჩემთვის იცოცხლებ, მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ,
და გახდები მგოსნისთვის გამოუცნობ სიმბოლოდ!
რა კარგი ხარ, რა კარგი! კოხტა, ზღვისფერთვალება,
თმებზე ღამე გიცინის, პირზე — დღის ბრწყინვალება.
რა კარგი ხარ, რა კარგი! შუშპარა და მჩქეფარე, —
როცა მოვკვდე, გენაცვა, ძეგლად გადამეფარე..

## შენი ყელი

შენი ყელი... ამბობენ, რომ შენი სწორი ყელი
ლერწამია შარბათისა ძველი, მაშრიყელი.
არა! უფრო ამსგავსებენ... რას? არ ვიცი, თუ რას:
მარმარილოს ცისარტყელას თუ სადაფის სურას?!
მე კი... მე კი გამოვძებნი სურათს ჯერ არყოფილს:
შენი ყელი მე მაგონებს გედის ათლილ პროფილს.

ორჯერ გნახე! და ორჯერვე ისე ავკეკლუცდი,
რომ ბუნებრივ სიკვდილს, ჩემო, რა ვქნა, აღარ ვუცდი.
მსურს გიმზირო და ამ მზერით გაგარჩიო სხვაში,
რომ გავქვავდე, როგორც ბუზი მარგალიტის ქვაში.

აი, ეხლაც თეატრში ხარ... და თეატრის სკამებს
შენი ყელის არემარე მორცხვად აკამკამებს!
ისე ნაზად აძლევ სალამს ყველას... ყველას ... ყველას...
რომ წარბების მათრახებით ჰხატავ ცისარტყელას:
და ლორნეტის ორი მინა ისე ხარბად მზვერავს,
რომ არ ვიცი, ვით გავუძლო მაგ ჯადოსნურ მზერას.
ისე გშვენის მძივ-გულქანდა ყელზე მონართავი,
რომ... ახ, ნეტა, მე შენს ყელზე ჩამოვიხრჩო თავი.

## ჟურდული ალერსი

გარეთ ყინვა სუფევდა, გულში — დავიდარაბა.
შემიყვანე ოთახში, ჩამიკეტე დარაბა,
მოიმარჯვე ალერსის მოჭედილი სიათა
და ამბორი ტუჩებზე დამაყარე ტყვიადა, —
თან ამბობდი: „კარგი ხარ, კარგი, გასახარელი,
როგორც ქმარი კი არა, როგორც სხვა.... საყვარელი!“

ერთხელ გითხარ: მომბეზრდა ეს ალერსი ჟურდული.
მსურს პირდაპირ მოვიქცე, ვით დავითის შურდული,
გამომყევი, გავიქცეთ, მიატოვე ქმარი და
შევქმნათ სულ სხვა მყობადი საოცნებო მხარიდან.
შენ ამბობდი: „კარგი ხარ, — თუმც ამ პასუხს არ ელი, —
როგორც ქმარი კი არა, როგორც სხვა... საყვარელი!“

წუხელ მაგრად დავითვერ. ღვინომ ვნება დათენთა.
დავდიოდი ქუჩებში. და, როდესაც გათენდა —
ცელქი, შეუშინარი შენს ბინაზე მოველი:
„ჩემი ქმარი შინ არი, მან გაიგო ყოველი!“
მითხარი და საჩქაროდ მომაჯახე დარაბა...
გარეთ ყინვა სუფევდა, გულში — დავიდარაბა.

## პატარას

შენ კი მეტრფი, პატარავ, მაგრამ აბა, რაღა დროს!
ლამის სევდამ ეს გული ამოსწვას და დაღადროს.
ლამის კუბოდ გადმექცეს ზეციური თავანი,
ლამის მზეც კი დავწყევლო, მთვარის ავანჩავანი.
აღარა მაქვს სიეშხე, აღარა მაქვს ხალისი
და ლოთი ვარ ლექსისა, ლოთი შესაბრალისი.
ჩემი ძველი ალერსი დრომ თან გადაიყოლა..
დამივიწყე, პატარავ! „იყო... არა იყო რა!"

და დღეს, როცა ეს გული, გამოზრდილი თაფლითა,
მტრის შხამიან ბარდებმა დაგლიჯა და დაფლითა;
როცა სევდამ შეგრაგნა რუკა ჩემი სახისა
და მაშინებს სიჩუმე ჩემივე ოთახისა;
როცა გამოვეთხოვე ძველ მეგობრებს, ძველ მიზნებს,
ეხლა ვის რად ვუნდივარ, ეხლა ვინ შემიხიზნებს?
ჩემი ძველი ალერსი დრომ თან გადაიყოლა,
დამივიწყე, პატარავ, „იყო... არა იყო რა!"

მაგონდება: ჩემს რითმებს როცა ვნება დაღლიდა —
ამქვეყნიურ სიყვარულს მოეუხმობდი მაღლიდან.
მაშინ თვალის ხავერდზე ნამი ჩუმად დნებოდა
და ქვებიც კი, ღმერთმანი, ვარდად მეჩვენებოდა.
საიდ იყავი შენ ამ დროს? საით იდუმალობდი?
ჩემს სიცილის ხეივანს რატომ არა სწყალობდი?
დღეს კი ჩემი ალერსი დრომ თან გადაიყოლა...
დამივიწყე, პატარავ! „იყო... არა იყო რა!"

# აპრილი თბილისში

მუნასიბი არქივიდან ამოსვლის შემდეგ, როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა.

რად ავიხირე არქივი
სულის და გულის მდაღველი
ან რადა ვშრომობ ამდენსა,
განა ცოტა მაქვს ნაღველი?
მინდა ავცელქდე, ვით უწინ,
მაგრამ რომ არა მცალია?
სოსო, რა კარგი დღე არის!
სოსო, რამდენი ქალია!

რად ვეჭიდები ამ გუჯრებს, —
ამ ცხრათავიან მდევებსა, —
ერთ კარგ რითმაში არ გავცელი
მე ამდენ გამოკვლევებსა!
ჰაერში ოქრო ლივლივებს,
შთებზე — ზურმუხტი, ლალია...
აფსუს, რა კარგი დღე არის!
აფსუს, რამდენი ქალია!

სადა ხართ, ლამაზმანებო,
მოდით, დამათვრეთ ბუნებით.
ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით.

თორემ ვბერდები... და გულმაც
ლოდინის შხამი დალია.
ჰაუ, რა კარგი დღე არის!
ჰაუ, რამდენი ქალია!

## საათის ისრები

ო, შეხამება სხვადასხვა ფერთა
პოეზიისთვის არის მისწრება.
ნეტავი ერთხელ ჩვენც შეგვაერთა
საათის ყდაზე შეკრულ ისრებად.

მინდა გფარავდე, მინდა მფარავდე,
ერთად ვიაროთ განუყრელ წყვილად.
მე შენს საყურეს კოცნას ვპარავდე,
შენ ჩემს ლოყაზე გეძინოს ტკბილად.

მსურს ერთად ვიყოთ შენაფიცარი,
როგორც ყვავილზე სუნთქვა ნამისა,
როგორც საათის ორი ისარი
შუადღისას და შუაღამისას.

## ჩემი ალმართი

ესლა შენ ჩემთან აღარ დადიხარ!
ამბობ: „შორს ცხოვრობ, ალმართი მღალავს!“
შენ რიოში ხარ, როგორც სადიხა,
და ჩვენს სიყვარულს არ უხდი ღალას!

როცა გიყვარდი, ვგავდი ია-ვარდს,
მე არ ვიცოდი, რა იყო დარდი!
ლექსად ვფანტავდი ფერთა ნიაღვარს,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...

როცა გიყვარდი, ჩემი ხარფუხი
შენს შესახვედრად ფეხზე დგებოდა
და სუბსარქისის მკაცრი ქარბუქი
უნაზეს სიოდ გეჩვენებოდა.

როცა გიყვარდი, ბევრჯერ შევაქეთ
ჩვენი ტუჩების შირაზის ვარდი;
ჩემი ალმართი მიგაჩნდა ვაკედ,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...

## მარიჯან

### დამნაშავე ძაღლის თვალებით

თავი დაიხრჩო სიმხიარულემ
ჩემს ბრინჯაოსფერ შიშველ მკლავებზე,
როცა შევნიშნე, რომ დაფარულად
შენი ღიმილი სხვას შესთავაზე.
ხომ იცი, ვგავარ ველურ წარმართებს
და სურვილები მძლავრად მერევა...
მაშ, როგორ ფიქრობ, მე ვინ წამართმევს
შენს თავს და შენთან ბედნიერებას?
მრავალ სიმებით გადამეხლართე
თერთმეტ ზაფხულის მზიან რკალებით...
და როცა სხვასთან ღამეს გაათევ,
მიცქერი ნაცემ ძაღლის თვალებით.
ო, მე ეგ ხედვა ძლიერ მაღონებს
და მაგონდება დრო შორეული:
ჩემთვის წირავდი ქართულ მადონებს
და მიცქეროდი წყალმორეული.
მე მახსოვს შენი სხვა გამოხედვა:
მშვიდი, მშიერი, მკაცრი და მწველი,
როს სიბრალულით ჩემს თვალებს ხევდა
ეგ გამოხედვა: დაჭრილი შველის.

გახსოვს, ლურჯ ზეცას ხმლები სერავდნენ,
ზღვაზე ვფიქრობდით მაშინ ნაკლებად,
ჩვენ ავდიოდით მთების სერამდე
დაუზარებლად... ტყის ასაკლებად...
გახსოვს, ნაძვებსაც მტვერი სცვიოდა
ჰაერში იდგა სუნი საკმევლის,
ხავსი. კარავი. ტყის ნოტიო და...
ეხ, რამდენია კიდევ სათქმელი.
ვგზავნიდი ლექსებს და ამანათებს,
დღეს კი ერთად ვართ ზღვის დავალებით
და ვიტანჯები, რომ მომანათებ
ნაცემი ძაღლის მუნჯი თვალებით.

## გალაკტიონ ტაბიძე

### მერი

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!

აფეთქებული და მოცახცახე
იწოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ გაფითრებული.

იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.

მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?

ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
ღღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.

ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაპქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.

ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ღონემიხდილი მივაწექ კედელს.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე — ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა —
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.

სთქვი, უეცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?

რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?

ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს?“

ქარი და წვიმის წკეთები ხშირი
წყდებოდენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი — ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

## თოვლი

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა.
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.
ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:
იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,

მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება
შენი თოვლივით მკრთალი ხელები.
ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,
უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.
იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს
შენი მანდილი ამ უდაბნოში...
ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის
ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,
მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის
და ზამბახების წყებად დაწვენა.
თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი
და დაღალული სიზმრით დამთოვა.
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!

## ცამეტი წლის ხარ

ცამეტი წლის ხარ და შენი ტყვეა
ჭაღარა გულის ზმანება ავი, —
ჩააწყვეთ რიგში ცამეტი ტყვია,
ცამეტჯერ უნდა მოვიკლა თავი!

გაივლის კიდევ ცამეტი წელი,
მოახლოვდება გზა ოცდაექვსი,
მოცელავს მაღალ ზამბახებს ცელი,
ატირდება დრო და ჩემი ლექსი.

ოჰ, როგორ მიდის ახალგაზრდობა —
დაუნდობელი სურვილი ლომის!
და ყოველივე როგორ ნაზდება,
როცა ახლოა მზე შემოდგომის.

## კაკლის ხე მთაწმინდაზე

თითქო დაეშვა შავი ფარდები,
ღამის წყვდიადში ისე მწარდები.
ცივია გული? არ შეუყვარდი?
არაფერია, შეუყვარდები.

თითქო რაიმეს ნიშნავს, რომ ბნელი
ღამით იმავე მეგობარს ელი,
არაფერია, არაფერია —
მოვა სხვა, უფრო დაუძლეველი.

წარსულზე ოხვრას რისთვის უნდება
ყოველი დღე და შებინდბუნდება?
თითქო ბერდები? არაფერია!
ათასი წლისაც არ დაბერდები.

## ღვინოს დააბრალებენ

სადაც უნდა მივდიოდე,
უცხო ქვეყნად მარები,
უკანასკნელ შვიდიოდე
წლის თან მომდევს ქარები.

სადაც უნდა შევიარო,
ღვინოს დამაძალებენ,
მწუხარება ვერ დავფარო:
ღვინოს დააბრალებენ!

ო, ძვირფასო! ჯვარზე მაგეს.
გაქრა გიჟი ოცნება.
ვკოცნი, ვკოცნი მე შენს ბაგეს,
მაგრამ რა მეკოცნება?

* * *

გაგონდება თუ არა
კარალეთის დღეები,
მთების ლურჯი კამარა —
უცხო სამოთხეები?
კიდევ შეგრჩა თუ არა
მხიარული თვალები?

თუ დრომ გადაუარა
და ჩაუქრო ალები?
მივდიოდით მხარდამხარ
და დრო გვეუარესა,
აწ არ ვიცი სადა ხარ
და რომელსა მხარესა.

## ვინ არის ეს ქალი?

მიმაფრენდა ნაპირებზე ლურჯა ცხენი,
გადვიჩეხე,
უკურნებლად დაჭრილი ვარ...
დამეხსენი!

შეკიდებიან მთვარეს — როგორც მძიმე მტევნები,
თეთრ-ვარდისფერი ალუჩები და შადრევნები.
ქანდაკებებმა ჩაიარეს მოხდენილ წყებად.

სადღაც შორს მუსიკა ქარივით კითხულობდა:
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?

ჩახმახის წუთი. ბნელ სივრცეში აშლილი ბოლი,
შავი ყვავილის სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი,
ლიუციფერი: —
ვინ არის ეს ქალი, ვინ არის ეს ქალი
ასეთი ცისფერი?

## მოვა... მაგრამ როდის?

შორეული ქალის ეშხი
მოვა... მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის!

ასეთია ნაზი ბედი,
ბედი რჩეულ ფერის;
სიცოცხლეში თეთრი გედი
მხოლოდ ერთხელ მღერის!

ყვავილები უხვად არის
დენდის... მეფე მონის.
ქარში ათრობს არემარეს
ოხვრა ტრიანონის.

და ლანდებად თეთრ სარკეზე
ჩნდება სახე მკრთალი
შუაზელი, ესტერგაზი
და თვით დედოფალი.

ზრდილი, ნაზი და მეფური,
ჩემი ძველისძველი
ლექსი არის უნებური
სიზმრით შემმოსველი.

მხოლოდ თეთრი შადრევნებით
მე ვერსალის ბროლი,
მაცდურ თვალის გადევნებით
მტანჯავს მსუბუქ-მქროლი.

დედოფალო! ლურჯა რაში
მიჰქრის საშიშ-ჩქარი
და ბილიკთა ლურჯ ქვიშაში
მიაქვს მძაფრი ქარი!

მიჰქრის დალალგადაყრილი:
დოვინ, დოვენ, დოვლი...
თოვლი, ფიფქი და აპრილი,
ვარდისფერი თოვლი.

* * *

წინანდალელი ნათელა
ულამაზესი ქალია.
ო, ჩემო ციცინათელა,
ჩემო ციხე და გალია.
მთელი საღამო შევჯერდი:
რა არის ქალის სინაზე,
მაგრამ უეცრად შევჩერდი
მშვენიერ თინათინაზე.

ბრწყინავდა საარაკო ცა, —
მთვარე დაბრუნდა ბინაზე,
როს შუქმა ღრუბელს აკოცა,
ყველა ქალების ჯინაზე.

## რა დროს რომანსეროა

გაცრეცილ და მტვერიან
ცას სინათლე კლებია.
ყვავილებზე მღერიან...
რა დროს ყვავილებია?
ცაზე ვხედავ წეროებს,
თითქო მწკრივი ღეროა.
მღერენ რომანსეროებს,
რა დროს რომანსეროა?
წყარო ხევში ვალალებს:
გაჰქრა გიჟი ოცნება,
ვკოცნი მე შენს დალალებს,
მაგრამ რა მეკოცნება?

## ქარი ჰქრის...

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..

როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

## სალხური მოტივებიდან

შენი თვალები — მაღლები —
სამხრეთის ზღვების ფერია,
კბილები — თეთრი ძაღლები —
მიღრენენ, არაფერია.

მოგონებებში წასული
შენს ბაგეს დავეხარბები,
ოცნების ორი ასული —
გადაწოლილან წარბები.

გადაუთიბავთ თივები,
რომ გითხრა — დამემდურები!
გულაღმა წევან ტივები
და მთები უდაბურები.

მთვარეს ჩვენი ხმა გაეგო,
თითქო შუქაკანკალებით,
ჩვენს აივანზე დაეგო
რჩეული ოქროს ხალები.

## წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“

მარად ისმის: მარადისი
სიყვარული ძნელია.
ვის ისარი მოხვდა მისი,
მუდამ ცრემლის მღვრელია.

ვარდთა კონის, ბნედა გონის,
ტაევრნების ნდომანი...
დე გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

ღღენი ევრის და პარიზის,
უდაბნოთა ჩვენება,
მწუსარება კიპარისის,
ყვავილთ შემოშენება.

ველად გაჭრას, ხელად რონინს
ცვლიან შემოდგომანი...
დე გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

ყველაფერი იგი გაჰქრა,
ვით სიზმარი გვიანი,
დრომ ახალი ძალით დაჰკრა:
სხვაა ადამიანი.

რუსოს ხანა, ოხვრა რონის,
ტრიანონის ცდომანი...
დე გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

მაგრამ წიგნი მაინც დარჩა
ვაჟისა და ასულის,.
როგორც სარკე, როგორც ფარჩა
დროის ფერგადასულის,

და იწონის წიგნთა დონეს
წიგნთა მრავალთ კვდომანი...
დე გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.

## უკანასკნელი მატარებელი

ცხოვრების ეტლის სადარებელი
საცაა გავა მატარებელი.
მიემგზავრება იმედი ჩემი
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.

ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, —
რა საჭიროა ეხლა გოდება.
მატარებლისგან როს მიმიღია
ან თანაგრძნობა ან შეცოდება?

მატარებელი თვლემს, როგორც ლავა.
მატარებელი ხუთ წუთში გავა,
ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა.

აპა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მივდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!

ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი, —
ყოველ ჟამს ვკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის
ნუთუ არვინ არს პოეტის მეტი?

## პაოლო იაშვილი

# ელენე დარიანის დღიურებიდან

### ძახილი

მარგალიტები მოვიხვიე ყელზე სამწყება,
მარგალიტები, იაგუნდები...
არ შემიძლია შენი სახის გადავიწყება!
არ დაბრუნდები?

თეთრშემოსილი ვწევარ მე შენს ნაცნობ საწოლზე,
სევდიანია ღამე მძინარი,
ნუთუ არ ფიქრობ, სანატრელო, შენ სათუთ ცოლზე...
არავინ არი...

ჩუმად ვკითხულობ შენს ძველ წერილს ყვითელს, დახეულს...
სხვა რა მაქვს შენი მე ამის გარდა?
მე თვითონ ვკოცნი ჩემს თეთრ მკლავებს,
ჩემს დამწვარ სხეულს,
შენ რომ გიყვარდა...

მაგიქებს სითბო, ვერ ვიგუე ფარჩის საბანი,
ჩემს ოთახს ავსებს შენი ლანდები.
დაღლილი არის, სანატრელო, დღეს ჩემი ტანი,
ნუ გვიანდები.

არ შემიძლია დავიწყება შენი სახისა...
დაკფარე ღამე ბნელ ნაწნავებით;
ვიხუტებ ვნებით მსუბუქ ჰაერს ჩემ ოთახისას
თეთრი მკლავებით.

## პირამიდებში ✓

იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
მზის ქორწილის დროს მე დავწვები მზისფერ სილაზე,
იქ, სადაც სდუმან პირამიდები,
შენ მომინდები,
შენი თვალები, შენი მკლავები, შენი სინაზე.

შენ მოგაფრენს ცხენი არაბული,
თვალებდანაბული.
საყვარელ ხელებს მივეცემი, როგორც ნაზ საწოლს,
და შენ დამკოცნი ვით დედოფალს, ვით მხევალს და ცოლს,
ტკბილი იქნება ცხელ სილაზე ჩვენი თამაში,
მზიურებს მაშინ,

არაფერი მოგვაგონდება...
პირამიდებში ატირდება ლოდინით რაში.
ლურჯ სფინქსთან მივა, უცქერს დიდხანს და დაღონდება,
სილიან ტანით მდინარისკენ გავეშურებით,
მწვანე ტალღებში დავამშვიდებთ ჩვენს ღელვას ალურს.
გამოფხიზლდება შენი რაში სფინქსის ყურებით,
დაუწყებს ძებნას უდაბნოში თავის სიყვარულს.

## ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად

ამაღამ მგონი იქნება ქარი...
ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი.
დაღონებული წავიდა ქმარი
და დაბრუნდება დილაზე მთვრალი.

დიდი ხანია ამ ბუხრის ალში
ტკივილით იწვის ჩემი ოცნება...
ქმარმა გასცვალა მომღერალ ქალში
ჩემი ცოდვილი პატიოსნება.

ალბათ მოჰყვება მას სავარცხელი
უფრო უბედურ ჩემი მეტოქის...
მეტყვის ბრძანებით: — მომეცი წყალი
ჩემი ფერადი სპარსული დოქის.

ცოლი ვარ მისთვის მე სასახელო
(მე ის მკოცნიდა სხივიან დღეში).
ღვინით გასვრილი მისი საყელო
ვადავარდება მყუდრო კუთხეში.

ქმრის სითამამე ჩემი ბრალია,
არ ვწუხვარ, ბევრჯერ რომ მოვეხათრე...
რადგან ძვირფასი მეტად მთვრალია...
დაეძინება მას ჩემზე ადრე.

## ᲓᲐᲠᲘᲐᲜᲣᲚᲘ

დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე
ჯაჭვის
ტარებით.
ბევრი ცრემლი
დამეხარჯა
ერთ ღამის
ნეტარებით.
დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის

მძიმე ჯაჭვის
ტარებით.
მე ლოყაზე
დამრჩა
ფარჩა
ცხელი პირის
მოკარებით.
დაიტანჯა
მაჯა
მარჯნის
მძიმე ჯაჭვის
ტარებით.
ჩემს დამტანჯველს
ღმერთი
დასჯის
ქაჯად
გადაგვარებით.

ტიციან ტაბიძე

## მე ყაჩალებმა მომკლეს არაგვზე

ჩამომრჩა უკან მე ჩერქეზეთი,
ვუახლოვდები ჩვენსკენ დარიალს,
დამშრალი თერგი ერთი წვეთია,
მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს.

წამექცა თავზე ცა გარღვეული
და ცაზე კიდევ — სხვა მყინვარის ცა,
და დარიალით გადარეული
თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს.

და გადავყურებ ალმას უფსკრულებს,
კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს,
ეხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს
და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს.

ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი,
და ისიც ვიცი, ჩემზე ახია,
ძვირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი,
ან თავის მოკვლა რა ტრაბახია.

მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით
ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი,
ვიცი, ქალი ხარ, ყველა ქალივით,
ვიცი, ამასაც ეჭვით უცქერი.

მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი,
საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბდღვნა,
ვარ ავსებული შენით გულამდე
და მოვარდნილი ცრემლების წარღვნა.

მინდა მოვიფრთხნა ამ შარაგზაზე,
მინდა გავიkსნა გული ალალი,
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდეკს ბრალი.

## ანანურთან

თამუნია წერეთელს

შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის
მომაგონდები ამ ანანურთან.
შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.

არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი.
ხარ დანგრეული შენ „მოდი-ნახე“,
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.

ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც ღემონის ფრთების შეხება,
სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა,
მოიბან შენი ირმის ფეხები.

ღე! გაიხარონ იმათ მგოსნებმაც,
მათი ცხოვრება ხვალე იწყება,
ჩვენს მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას
დაფარავს მიწა და დავიწყება.

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.

ასე კვდებოდა ალბათ ათასი
და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური,
ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი
და თვითმკვლელობის იავნანური.

## თამუნია წერეთელს

რა დამავიწყებს ამ შავ გაზაფხულს,
ბედი უბედურს სხვას რაღას უზამს,
ვსტირი სიცოცხლით კუბრს დამარხულს,
ვაუხარებელ დაფლეთილ მუზას.

რა საჭიროა კითხვა-პასუხი,
ეს უმისოდაც გახდა აშკარა,
არ იყო ბედი არასდროს უხვი,
მოდენის ნაღველს ახლა ლაშქარად.

ნულარ მეტყვიან — „მოდი, ნახეო",
უნახავადაც ეს მჯერა ერთ წამს,
გულის მაგიერ გული არ მოვა,
არ მოებმება არც ფეხი ლერწამს.

სხვები მოვლენ და სხვები ნახავენ
ამ ჯოჯოხეთის ავარდნილ ალმურს,
მე არ მინდოდა სხვა სიხარული,
ჩემთვის ლერწმიდან სჭრიან სალამურს.

მაწუხებს მხოლოდ, ვერ მოვასწარი
თავის დროს შენთვის მეთქვა, მეამბო,
ოუ როგორ არის დაუვიწყარი
სხვა პოეტებში უფეხო რემბო.

# სენტიმენტალური მოგზაურობა

ერთ დღეობაზე გაუგზავნელი ლექსი

მაისი ყველგან არის მაისი,
მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არი
და ვხედები ახლა, რომ სილამაზეს
აღარ პქონია ქვეყნად საზღვარი.

ზღვა ისე იყო მშვიდი და წყნარი,
რომ აღარც მახსოვს, იყო თუ არა!
ერთად გააღო ცამ მშვიდი კარი
და ზღვას სარტყელად გადაუარა.

თეთრ ზამბახების დგანან ფარდები,
გააქვთ შრიალი პალმების ქოლგებს
და ისე ყრია თეთრი ვარდები,
თითქო ათასი აქ გედი მოკლეს.

გაღებულია სამოთხის კარი
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ,
ალბათ ყოფილა წყეული ამგვარი:
მიეცეთ პოეტებს სამშობლო მხარე
ულამაზესი — ედემის დარი,
მხოლოდ ქალები გადავუშენოთ.
გაღებულია სამოთხის კარი
და მე მრცხვენია, რომ ვარ უშენოდ!..

## კონსტანტინე გამსახურდია

* * *

ზღვისფერი გაქვს თვალები და, თავათ ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და, მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს სიყვარულს — ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს...

ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას.

## კოლაუ ნადირაძე

### შენ ჩემში ცოცხლობ

შენ ჩემში ცოცხლობ, ო, ერთადერთო, ჩემი სიცოცხლის
უშრეტო წყაროვ,
შენ ჩემში ცოცხლობ, ჩემში არსებობ და იარსებებ,
დაუვიწყარო.
მე მისთვის დავრჩი, რომ ხსოვნას შენსას სიკვდილის ხელი არ
მივაკარო!
შენ ეს სამყარო დატოვე ჩუმად და მდუმარების ეწვიე ბაღებს...
მაგრამ ეს შენ ხარ, ნაზი ღიმილით სინათლის კარებს ჩემში
რომ აღებ!
ო, ეს შენა ხარ, სულის სიღრმეში უწმინდეს ფიქრთა ტაძარს
რომ აგებ!
მუდამ გაისმის შენი ხმა ჩემში, — უჭკნობ ყვავილად გულში
ჩარგულო!
ვიდრე ვარსებობ, შენ არ მომკვდარხარ და... არაფერი არ
დაკარგულა!
მე მასულდგმულებს ეს დიდი ტანჯვა და სიყვარულით ვარ
გათანგული.
აღარ ვაჩქარებ შეხვედრას შენთან: ჟამი ამისთვის არ
დაკარგულა!...

მე მინდა სიკვდილს ჯერ გავუმკლავდე და გულში მიზნად
მაქვს დასახული:
ცოტა ხანს დავრჩე, როგორც ჭურჭელი, სადაც შენ კიდევ
ხარ შენახული!

## ორი ქოჩორა

შალვა დემეტრაძეს

ორი ვარია, ორი ქოჩორა,
ერთი ნაცარა, მეორე ჭრელი
ვიყიდე ერთხელ, ცოლმა მოჭორა,
რომ იყვნენ ერთობ ძვირი და ხმელი.

შავთვალა გოგოს, სოფლიდან მოსულს
აღარ ვევაჭრე, — ფული არ მშურდა!
და ვუთხარ ჩემს ცოლს, ჩემზე გულმოსულს,
რომ არა ჰქონდა გამყიდველს ხურდა.

ორი ვარია ფეხებშეკრული
სხვებმაც გასინჯეს მუშტარის თვალით,
მე უჩვეულოდ მიცემდა გული
და ვთქვი: „წაიღეთ, ერთად დაჭკალით!“

პატარა სევდა, პატარა დარდი
დიდხანს ქუჩებში დამატარებდა
და არაფერი, იმ გოგოს გარდა,
მე იმ დღეებში არ მახარებდა!

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა,
ორი ქოჩორა დღეს ვიღას ახსოვს?!
მაგრამ ჩემს გულში ჩარჩა იარა
და მოგონება მოწყენას მაქსოვს.

და ყოველ კვირას, გულის ცახცახით
მე ნაცნობ ადგილს ვუახლოვდები,
მაგრამ ვერ ვხედავ სანატრელ სახეს
და უიმედოდ ისევ ვღონდები.

## ნიკოლო მიწიშვილი

### სიყვარულს

ეგვიპტიდან მოტანილი ყალამუს,
ატირება დავრდომილი რითმების,
ვიცი — ბედი ჩემზე არ დაითმების,
არც ნაღველი ეღირსება მალამოს.

დამავიწყდა ქვეყანაზე რაც არი —
მეგობრები, სიხარული, სიამე.
ჭრილობანი გულზე დამესია მე,
რაც ავაგე შენი ტრფობის ტაძარი.

შენ გნახულობ კარის ეკლესიაში,
სადაც სწირავს დეკანოზი დიანოს,
განმიკითხე შენს მონათა სიაში,
ან მივიღებ რჯულს სამაჰმადიანოს.

უშენობით ვინ მიხილოს მცინარი,
შენს გადაღმა ქვეყნად რა დამრჩენია —
საფლავშიაც ჩემი გული შენია,
შენ გეძახი ფხიზელი თუ მძინარი.

გეძახი და კი ვერ გაგემხილები,
მემატება საწყენი საწყენზედა.
მესიზმრება შენი ოქროს ღილები —
ღვთისმშობელო, მიმინოთი ცხენზედა.

## ილო მოსაშვილი

### არსენას ლექსი

ჩემი ნაბადივით დაეშვება საღამო შავად,
თითქო ქვეყანა ქოხია ჩალური,
ალგეთს გადაივლის და თრიალეთს ჩავა
მთვარე ჩვენებური და ბორჩალური.

ეხლა ამ ჭედებზე დამფრთხალი უგეშოდ
რამდენი ირემი და ნუკრია.
ჩვენს სოფელში გოგოა, უბეში
ვაშლები და ბუდეშური უყრია.

მარაბდაში ხმალი გამიჭედია,
დამაქროლებს არაბული უბელო,
ცის ქვეშ ვეგდო, — ვატყობ, ჩემი ბედია,
და მხრებზე შენ მეხვეოდე, ღრუბელო.

ავდრიანი, ნისლიანი ღამეა,
ეს თვეები და დღეები ცისმარე —
და თვალებში ცეცხლს მანათებს შხამიანს,
ყორანივით შემომჯდარი სიზმარი:

არსენ, გულში სიხარული რაც არი,
აბრეშუმის პერანგია ქალისა,
სიყვარული — ერთი მუჭა ნაცარი,
წაღებული იაღლუჯის ქარისა.

შეგობარი — მარტო გულში იარა,
მარტო ქვა და ერთი კუბოს ფიცარი,
საწამლავით ავსებული ფიალა
და ძვლებამდე ჩამტვრეული ისარი.

ეს ანდერძი მითქვამს ქვეყნის წინაშე,
სიყვარულით გავეყარე საწუთროს,
ვინც მაჯობოს ხელდახელ თუ რკინაში,
ჩემი ხმალი იმან დაისაკუთროს.

## ძველი რვეულიდან

ის გაზაფხული სხვა იყო, რადგან
ტკბილად მღეროდა გულიც, ბუნებაც,
ეხლა ჩვენს შორის ზამთარი ჩადგა
და აღარ ველი შენს დაბრუნებას.

ფუჭ ოცნებაში დღეებსა ვხარჯავ,
მარტო ვარ ქვეყნად, მარტო სრულებით,

ჩემს გზაზე შენი ჩრდილი რომ დარჩა,
იმ ჩრდილს დავდევ და ვეჩურჩულები.

მძინავს და სიზმრის ტახტზე მიზიხარ,
დედოფლად გრთავენ ქვეყნის მხატვრები.
მე ხომ უცხო ვარ, შენ ხომ სხვისი ხარ
და მაინც ასე რად მენატრები!

## ტერენტი გრანელი

### გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

სული საზღვარს გადასცდება ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.

ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ,

წინ მეშლება სხვა ოცნების არე.
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

## ქალის აგონია

თ. რ.

დაღონებული და მარად სუსტი,
სარკესთან ფიქრობ, როგორც დიანა.
დღესაც შორეულ მეგობარს ვუცდი,
მაგრამ მან მოსვლა დაიგვიანა.

მახსოვს, ცრემლები შენს თვალს უვლიდა,
ალბათ ფიქრებმა ასე დაგღალა.
და უცხო ბინის ყრუ სართულიდან
შენ ფრინველივით დაყურებ ქალაქს.

ხარ როიალთან და როგორც გიჟი
იწყებ კლავიშზე ხელების თამაშს.
შენ ძლიერ გინდა და რაღაც გიშლის,
რომ გყავდეს ბავშვი, რომ იყო „დამა“.

სარკესთან ზიხარ და ფიქრობ სხვაზე,
ხან, როგორც მტრედი თვალებს დანაბავ.
მიყვები ბედის უცნაურ ხაზებს
და ნატრობ ვიღაც არათანაბარს.

შენი ლოდინი სანამდე გასტანს,
ანდა სანამდე იქნები წმინდა?
რის მიზეზია ჯერ ახალგაზრდას,
რომ შენ ცხოვრება ასე მოგწყინდა?!

ოთახში ზიხარ შენ ავადმყოფი,
ხან, როგორც ბავშვი, ძილს მიეცემი.
შენ ეს ჰაერი თითქოს არ გყოფნის
და გინდა გლოვა და გინდა ცრემლი.

დაღონებული და მარად სუსტი
სარკესთან ფიქრობ, როგორც დიანა.
ახლაც შორეულ მეგობარს უცდი,
რომელმაც ასე დაიგვიანა!..

## ქალი მატარებელში

მესმის შრიალი იდუმალ ძალთა
და მოდის მთვარე ასე ბებერი.
და ორთქლმავალი კივის ვაგზალთან,
უკვე დაიძრა მატარებელი.

ეს თეთრი ღამე მე ისევ მიყვარს,
ღამეა თეთრი და ძილი არ მსურს.
და მატარებელს უთუოდ მიყავს
ქალი, რომელიც იგონებს წარსულს.

გაიხსნა თეთრი ფიქრების რკალი
და მოგონების წამები ქრიან.
და მატარებელს მწუხარე ქალის
თეთრი ხელები თოვლივით მიაქვს

ეს ღამე, ეს ცა მე ისევ მიყვარს,
იქ დუმილია შორეულ ბაღის
და მატარებელს უთუოდ მიყავს
უცნობი ქალი სევდიან სახით.

და ელავს მთვარე ასე ბებერი
და იდუმალი წამები ქრიან.
მიდის საჩქარო მატარებელი
და განშორების დარდები მიაქვს...

## გიორგი ლეონიძე

# ციცარი

„გადამაგდე და დამკარგე,
როგორც ჩერქეზმა ისარი“,
ასე გავარდა სამგორში,
ცას დაეხალა ციცარი.

ვაჲ, ნაგზაურო ციცარო,
გაზრდილო ჩემის ხელითა,
შენ სადღეგრძელოს აღარ ვსვამ
ქაფქაფა საწნახელიდან.

არც დაგიღებავ ფრჩხილებსა
ზაფრანა-დარიჩინითა,
წადი და იმას აკოცე,
ვინც მინდვრად გაგავჯირითა!

ის ბაზიერი გიყვარდეს,
გაჭმევდეს აღჯანაბადსა;
მე ჩემს გზას გამოვუდგები,
ცხენზე დავაკრავ ნაბადსა.

სათათრეთს გადავვარდები,
დამკვრელად ვივლი თარისა;
ჩოხა წვიმისა მეცმევა
და ყაბალახი მთვარისა...

## ნინოწმინდის ღამე

1926 წ. 26 მარტი. ღამე ნინოწმინდის გალავანში: სანდრო შანშიაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე.

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში — ჯამი აქაფებული;
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული...

სიზანდარმა ღამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...

წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

## მყვირალობა

ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი,
ტყეები გადიყირმიზა,
ენკენისთვეში მთებიდან
ისმის ყვირილი ირმისა.
— რასა ჰყვირიან ირმები
ყორან-მთას, ყარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი

გულში გაარტყავს ტყვიასა...
ხარი ირემი ფურს ეძებს,
მთაში ნასუქი ღიჭითა;
ქაფსა ჰყრის გადაკაწრული
ეკლებითა და ხიჭვითა.
თავი ანება ცალისთვის
იალაღების მწვანესა,
მოამტვრევს რქების ლაწანით
ჩალას, ტყეს, ლერწმოვანებსა.
დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი...
ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე — სიყვარულსა მყვირალი!
გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ზედ მივაფშვნა რქაზედა!
სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა,
შევყვირებ,
როგორც ირმები
ჰყვირიან ყარაიასა!

## ყივჩალის პაემანი

„...ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...“

მუხრანული

ყორღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხბობას გნახე,
მოწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოშხივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...

მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

## მაშ, რა ვუყოთ პოეტებო...

გადეყარა ნარიყალას
ნაცრიანი ბური...
ხაში,
ხილი
და თონიდან ამოყრილი პური,
თაბახი და საზანდარი,
მზე შინა და გარეთ —
ეგებება მზეს თბილისი
თავის ექვსი კარით...

მიეგებეთ,
ვინც დამწვარა,
როგორც საათნავა!
განა გიცდის სიყვარული,
ადგება და წავა!
მაგრამ ისევ ილაპლაპებს
პტკვარის ლურჯი გავა,
ქაშუეთის ჩუქურთმები
ფასკუნჯების თავად!

განა გასძლებს სიჭაბუკე,
ვაი, შენი ბრალი!
ხელებშუა გაქანდება,
ვით ნიაღვრის წყალი,
ისევ ისე დამწიფდება
ვერის ბაღში ბალი,
აბანოდან ამაიელის
თვალციმციმა ქალი.

ვანა ლექსი ლექსი არი,
თუ დარჩება მუნჯი?
პოეტებო,
გულსაც უნდა
ბერტყვა, როგორც ხურჯინს!..
ჰკივის თათრულ სიმღერებით
მწველი იეთიმ-გურჯი,
სწვეთს ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი.

მიეგებეთ ოქროს მტვერში,
სიტყვა უნდა განდაგანა,
ბესიკსა და საათნავას
სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა ვეფხვის ძალი, —
სამაია სამთაგანა!

მაგრამ ლექსი გადურჩება
იმ ძველ ნაჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჭიანურს მტირალს,
მეტივეს და თივის ურმებს,
წყნეთურ მაწვნის ქილას? —

მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისის დილას?

## ტყუპი იაგუნდები

გაზაფხული მახარა
ნიალვარის ყვირილმა,
გულს ია დამახალა,
დასტა-დასტა გვირილა!

შავ ღრუბლებმა გაჰყარეს
ტყუპად იაგუნდები,
ჩემს ლამაზს და საყვარელს
ისევ მოგაგონდები!

მე შენ მინდა გახარო
ჩვენი ახალგაზრდობა,
ჩემო ქორის ბახალო,
დღეს რაც გალამაზდება!

დავძრათ ბედაურები,
გავჰყვეთ მზის ნაკვალევსა,
ქარებს გავჰყვეთ ნიაღვრებს,
ცისარტყელის მკლავებსა!

ყველაფერი ჩავთვალოთ
სიყვარულში ნარგებად, —
ვაშლის თეთრი ყვავილით
ქვეყნის მოპერანგება;

ოქროში გადამდნარი
გაზაფხულის დილები
და ფრთებით პეპელისა
გზები ნააჩრდილევი;

მთებზე მთვარის ნამქერი,
ზედ ზოლები მკრთალები
და შენი, მშვენიერო,
დასათხრელი თვალები!

შე ეს მინდა გახარო,
ჩემო თეთრო ნარჩიტა,
ყველაფერი ჩახჩახებს
სიყვარულის ხარჯითა!

დაე, ფერფლმა ნუშისა
ჩვენი მხრები მოთოვლოს;
გაზაფხულო,
აპრილო,
დაწვიმულო ფოთოლო!..

## ნინა ჭავჭავაძეს

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება!

შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაჟრჟოლება მათი გულისა,
თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!

შენს სილამაზის იქით — ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი:

შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი.

ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება;
შენ, სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან არასდროს მომესვენება.

## დავით გაჩეჩილაძე

* * *

შენი სიყვარულით გულნათენები,
ძირს მიწას
და მაღლა ცას ვეფერები.
მიწას მისთვის, — რომ ასეთი შენ ხარ
მარტო,
შენი პოვნაც ამ მიწაზე შევძელ...
და ეს ზეცა რომ არ იყოს ასე ფართო,
სად დავტიო ოცნებები შენზე?!
შენ რომ გიცქერ, თითქოს ზღვა ვარ
ღელვით სავსე,
ჩემშიც ღვივის ამ ლაჟვარდის ეშხი...
და სიმღერით ცისფერთვალა სილამაზე,
ხელგაშლილი შემოცურდა ჩემში.
შენი თვალთმაქცობით გულნაღამები,
წარსულ დროს
და ცისკარს ვეხმიანები:
წარსულს მისთვის, რომ იქ ვხედავ
კვლავ შენს ღიმილს...

რომ წარსულში ჩვენს სიყვარულს სძინავს
და შენს მკერდზე აწყვეტილი ბროლის ღილი
მიცისკროვნებს ჩაღამებულ ბინას.
ზღვაო, ზღვაო, აქაც როგორ დაგემსგავსე,—
მე ოხვრა ვარ, შენ ბუხუნი ზვირთის...
შენს ნაპირზეც ცისფერთვალა სილამაზე
ტანთ იცვამს და ნისლებს მიღმა მიდის.

## სიმონ ჩიქოვანი

### მგზავრის სიმღერა

მომგონებიხარ, მომგონებია
ლერწმად რხეული შენი სხეული.
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და სად მივყავარ შენი რჩეული.

შენ დარჩენილხარ მთების გადაღმა,
მიკვირს, რომ გული კიდევ მთელია.
გზამ დაგვაშორა, ტურფავ, ამაღამ
და ეს მანძილიც ჩვენი მტერია.

ვარსკვლავი თითქოს ცრემლის შხეფია,
ამგვარ ვარსკვლავით რვეულს ვეონავდი.
გულზე ხელები დამიკრეფია
და მიფიქრია ალიონამდი.

რით ავათრთოლებ გზაში ჭიანურს,
მინდორს დაჰკვრია გაცრილი ნისლი.
შენს სათნო სახეს, სახეს ჭკვიანურს,
ვინ შეურია მონგოლის სისხლი.

მომდომებიხარ, მომგონებია
ლერწმად რხეული შენი სხეული.
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და სად მივყავარ შენი რჩეული.

სად მიმაქროლებს გზა ანთებული,
მთები განვლილ და განვლილ ჭალები.
საით გავრბივარ შეშფოთებული,
მთით მომაშველ ფართო თვალები.

სადგურში მივალთ დანიშნულ დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა.
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?
გამხადე ღირსი ყურადღებისა.

აგერ მივყვები უცხო ვაგონებს,
შენზე მღერალი, ღამის მთევარი.
ახლა მთის იქით ირემს მაგონებ
და მე სად მივქრი შენი მდევარი.

ალბათ ვიქნები სადგურში დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა.
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?
გამხადე ღირსი ყურადღებისა.

## პირველი მიძღვნა

სინდისს ვფიცავარ,
                კურნავდი იარებს.
მიყვარდი, როგორც ზღვა ალბატროსს.
მე შენთან შორიშორს ვიარე
და ახლოს არ მოველ არასდროს.

შენს ტრფობას მერჩია მარილი მეჭამა,
ან მძევლად ვყოლოდი ტაიგებს.
მე ცუდი არა ვარ,
                იცოდეს ზეცამაც,
თუმც კაცი ზეცისგან ვერაფერს გაიგებს.

ეს გული ხომ შენკენ ქარივით ილტვოდა,
არ მსურდა სიწმინდის შელახვაც.
მე შენი ტრფიალიც მინდოდა,
და შენი ბავშვობის შენახვაც.

## მეორე მიძღვნა

თვრამეტი წელი და დასრულდა ბავშვის ასაკი:
ტანი ყვავილი, დახატული თითქოს გოგენის.
მე, როგორც ქისას, დავატარებ გრძნობას გასაკვირს
და არვინ იცის, რა ფიქრი და ეშხი მოგველის!

მსურს, მოვიდე და სიყვარულით მოგეალერსო,
ეგებ ამ გრძნობას სიჩუმეში შენაც მოელი.
მაგრამ რა გიყო,
შენ მძიმე ხარ ჩემი ლექსივით
და ამავე დროს
ტაიტივით მიუწვდომელი.

## გამოთხოვება და ომში ფასვლა

უეცარად ომში მიხმეს,
ტყეში იყავ, სოკოს კრეფდი, ვინანე.
მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,
ვერ გიპოვე, სიმძიმილი ვინანე!

ამხედრების შემხვდა ჯერი,
დაიფერე თაფლისფერი ბაია.
დამიქროლე დარაია ჭრელი,
ბალისფერი, როგორც ჭიამაია.

მე დავრახტე ჰუნე მალი,
დამეფუშა ჩრდილოვანი კარავი.
გადმომხედე, შეიფუთნე შალით,
განშორების ჟამია და ვარამი!

თუ დავიჭრე, მწვავდეს წყლული,
ვაი დედა, მეწილადოს ვაგლახი,
მომიტანე თვალით გაზაფხული,
შემირჩიე სამკურნალო ბალახი.

მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობელის ბაია.
შენი თვალი ღია სამარეა,
შენი კაბა — ჭრელი ჭიამაია.

სად მოვკვდები სადაური!
ვერ დავკრიფე დაშაქრული ყურძენი.
მე ვარ წიგნის მხოლოდ სათაური,
ჩემი ჟამი — დასაწერი ფურცელი.

გამაყოლე ტურფა ლანდი,
ყივჩაყივით თუ მეტოქემ ამკაფა,
გამონახე ჩემი მუზარადი,
ჩააწვეთე შენი ცრემლი კამკამა.

მოძმეს მიეც სასოებით,
მუზარადით შესვას ჩემი ვარამი.
გამაგონე მოთქმა განშორების,
დამაფარე ივერიის ალამი!

## ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად

ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად,
მთა და ბარში ხვეული და სწორი.
მთაში ბევრგზის შეგვხვდა დილა,
კართან ბევრგზის მოგვეწია თქორი,

მოგვაფრქვია სიხალისე,
ჩამოგვრეცხა მტრის შური და ჭორი,
და შენ შემრჩი ხელში ისე,
როგორც ვაზი ან ლამაზი ქორი.

ორი ფრთა გაქვს, ერთი კვამლი,
ორი ბეჭდის გადაწნილი ზოლი.
შენს თვალში ჩანს ცისკრის ჭავლი,
ჩემს თმაზე დევს გაზაფხულის თოვლი.

დრო მიჰქრის და მაიმედებ,
ცხენს მიკაზმავ თუ მიჭედავ ნალებს,
წლები ჰგვანან განვლილ ქედებს
და სახლი ჰგავს შენი ხელის ალერსს.

მეც არ მჯერა თუ მოვხუცდი,
არ ვისვენებ, არ დამედოს ქონი.
შენს ჭაღარას მე მოვუცდი
და მერე კი დავბერდები, მგონი.

მარგე სითბო და სინაზე,
ნასადილევს უსიზმრებო ძილი.
მტკვარი გვიზის აივანზე
და მამულში წყვილად შეგაქვს წვლილი.

რაც შეგვეძლო, გავისარჯეთ,
მე ლექსს ვწერდი, შენ გზავნიდი წერილს,
კიდევ ბევრჯერ გავალთ გზაზე,
რომ მეგობრებს არ ჩამოვრჩეთ მერმისს.

თუ დაგვჭირდა, შევმჭიდროვდეთ,
ხელისგულზე მოვთავსდებით მყისვე,
ღამე ვარსკვლავს ვეჭიდები
და შენს სუნთქვას, ვით წყაროს ხმას, ვისმენ.

მეც შემეძლო ჩეხვა შეშის,
მთაში ირმის შეპყრობა თუ ჯიხვის,
ცდა და ღელვა მოსახვევში,
ოფლის დაღვრა და გალხობა ჭირხლის.

დღეს შენ მიღებ სახლის კარებს,
ფანჯარასთან მე მიცდი თუ ქუხილს?
ვამკრავ ქარში მომეფარე,
არ შეუშვა შინ წვიმები მწუხრის.

არ მოედო სადმე ეკალს,
როცა გზაზე სწყვეტ ეკალს თუ ყვავილს.
ხანდაზმული გრძნობა რეკავს,
მწუხრი რეკავს და ცისკარი ხვალის.

## ალიო მირცხულავა

### ერთხელ ქალი მიმავალი

ერთხელ ქალი მიმავალი
დავინახე ველად,
მის ეშხიან სილამაზეს
გზას უთმობდა ყველა.

სწორედ ირმის აღნაგობა,
სწორედ ირმის ყელა,
ტანზე თმები გადმოეშვა,
როგორც ცისარტყელა.

ქალო, იქნებ, ყარიბ მგოსანს
გზები გაუკვალო,
დამანახო შენი ბინა,
სად ხარ, ვის უგალობ?

შენი ფეხით გალეწვინო
ჩემი გულის კალო,
გენაცვალოს ჩემი თავი,
შენ, კახეთის ქალო!

## ნატვრა

შენს ეზოში დავინახე
რამდენიმე ბატკანი,
მწვანე მოლზე გაუმართავთ
ხტუნვა და თამაშობა,

ნეტავ გულში ჩამაკონა
რომელიმე მათგანი:
შენს სიყვარულს მომაგონებს,
შენს უმანკო ბავშვობას!

## სამეჯნურო

ხემ იხარა, იხარა! ჯერ ყლორტები იყარა,
მერე ყვავილთ პეპლები თავზე გადაიყარა.

ვაშლის თეთრმა ასულმა კვლავ იხარა, იხარა,
აილეწა, ათქვირდა, ყელი გადაიხარა.

მომაგონდა მიჯნური! სხვაგან არის, იქ არა!
ჩვენი ბაღის ბილიკი იქცა ნაბილიკარად.

ვეძიე და მოვნახე, ახლოს არ გამიკარა,
როგორც ელვის მახვილი, გესლი გულს გამიყარა.

ცეცხლი არ გამინელა, დარდი არ გამიქარა,
მიჯნურს ვეძებ მეჯნუნი, დავდივარ კარიკარა.

## კონსტანტინე ლორთქიფანიძე

### მერის

წუთისოფელი რასაც მოგვცემდა,
ჩვენ გავიყოფდით თანაბრად მუდამ.
სიხარულს, ნაღველს, ლამაზ ოცნებას,
შვილის სიყვარულს და თოვლის გუნდას.

სადმე ჭალაში გაგონილ „აუ"-ს,
მთვარეს, თხილის გულს, მოწამლულ ისრებს,
და როცა ჩემზე გეტყოდნენ აუგს,
მოიღერებდი ამაყად კისერს.

ახლა მასწავლე, როგორ გავიყო
შენი ტკივილი და სნეულება!
როგორ გავიყო!
შენი თვალები
რატომ არაფერს არ მეუბნება.

შენ არ გივლია არასდროს კენტად
და თუ გოლგოთა საწოლზე დაგცემს —
იმ ყაჩაღივით ვიქნები შენთან,
იესოს გვერდით ჯვარზე რომ აცვეს.

## ნინო თარიშვილი

### ჩემს ტოლებს

ვიცი რომ მზითვად
არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“,
არც წასაღებად
დაჰკეცავენ ქირმანის შალებს,
არც ქართულ კაბას
ჩამაცმევენ ჯვარის საწერად,
არც ვერცხლის ქამარს
მომავლებენ დარდიან წელზე.
ცაში ოთახი განათდება იაპონურად,
ბედნიერებას მომილოცავთ უცხო კილოზე,
მრავალ წერილებს გამაყოლებთ გზის საპოვნელად,
მრავალ მოკითხვას დავუხვდები, ვით მკვდარ მიმოზებს.
დავიმალები
სიყვარულის ცისფერ სუნთქვაში,
დიდი იქნება აღტაცება მზეგამართული,
უხვი კოცნები, ვით კახეთში ღვინის მარნები,

და სადღეგრძელოს მოიტაცებს
სიტყვა ქართული.
ნამჯისფერ ფრჩხილებს დაამძიმებს მთვრალი ჰაერი,
გულის პასუხი ყარამფილებს ვეღარ დაყნოსავს
და მე ვიქნები სიკვდილივით გაუხარელი,
რადგან მზითევში არ მომცემენ „ვეფხისტყაოსანს“.

## კარლო კალაძე

### ჩემი გმირი

(სიმღერა)

ვისაც სურდა ჩვენი ტანჯვა ენახა,
ვინც თბილისის მყუდროება შელახა,
მისი გულის ორად გამაპობელი,
ვიცი, ჩემო შავო ბიჭო, შენა ხარ!

ჩემი გმირი გიწოდე,
ხელი გამოგიწოდე,
გაიმარჯვე, იცოდე,
ჩემო ვაჟკაცო!

ჩემმა ვარდმა უეკლოდ ვერ ივარდა,
დაშორება გულით არ გამიხარდა,
მაგრამ გულს მე კვნესას ვერ ვათქმევინებ—
შენ სიმღერით მკლავის გაშლა გიყვარდა!

ჩემი გმირი გიწოდე,
ხელი გამოგიწოდე,
გაიმარჯვე, იცოდე,
ჩემო ვაჟკაცო!

ეგ ხომ ჩემი სასასთუმლო მკლავია,
განა მტრისგან დანა დასაკრავია!
მტკიცედ იდექ... შორიდან რომ გიცქერის
ჩემი თვალი მუდამ ის ვარსკვლავია!

ჩემი გმირი გიწოდე,
ხელი გამოგიწოდე,
გაიმარჯვე, იცოდე,
ჩემო ვაჟკაცო!

ვისაც სურდა ჩვენი ტანჯვა ენახა,
ვინც თბილისის მყუდროება შელახა, —
მისი გულის ორად გამაპობელი
ვიცი, ჩემო შავო ბიჭო, შენა ხარ!

## დელი-დელა

ნუთუ არ განმეორდება გუშინდელი დილა! —
შენი ეზო მაგონდება, შენი დელი-დელა!
სიცილივით მიმალული ნაკადულის დენა
და იმ ტალღის სიყვარულით რტოდახრილი თელა.

ახლაც მოსალოდნელია შრიალებდეს ნელა:
აბა, დელი ოდელია, აბა, დელი-დელა!

ამ სიმღერით ომში წაველ და ვით მებრძოლს ძველად,
იგი, როგორც ფიქრი მწვავე, მახლდა ბრძოლის ველად,
როცა დამჭრეს, დაფლეთილი გულიც გამიმრთელა,
ამ სიმღერით ამოვიდგი წართმეული ენა...
ჩამოველ და, აი, თითქმის, ღამეც გამითენა...
ოდელიას ვინ არ იტყვის, აბა, დელი-დელა!

## მარიკა ბარათაშვილი

### საპოვნელა

ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს გაგივლია,
შეამჩნევდი მიმობნეულს მინდორ-ველად:
პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია,
იმერეთში ეძახიან „საპოვნელას“.

შევხედე და მიმიზიდა იმთავითვე.
თურმე ყველა სასოებით ანდობს იმედს,
ბედს დაეძებს თუ დანაკარგს — რამე ნივთებს,
ეეედრება: „საპოვნელა, მაპოვნინე!“

მეც სათუთად მივიბნიე იგი მკერდზე,
ჩემს გულშიაც მივუჩნიე მყუდრო ბინა.
ვენაცვალე! სხვა საუნჯეს აღარ ვეძებ,
რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა.

ირაკლი აბაშიძე

## პირველი თოვლის სიმღერა

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის ყვავილს.

დგას ბუჩქები ვერის ბაღში, შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!

რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა გაზაფხული.

მიხარია
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!

## ყველა სიმღერა

ყველა სიმღერა რასმე გაგონებს,
ყველა სიმღერას თავის წლები აქვს;
ყველა სიმღერა რასმე გაგონებს,
რაც ფიქრს ოდესღაც დავიწყებია.

ზოგში ვარდისთვე არის პირველი
და თან მიჰყვება სული მთავარი,
ან შორეული ქრის თებერვალი
და ფრთას ილეწავს სხვენში ყავარი.

ზოგში იხილავ ძველ წყალდიდობას,
ჩავლილს შენამდი, შენს არყოფნაში.
ზოგში სანთლები ბრწყინავს დიდუბის,
ნახული სიზმრად თუ ბალღობაში.

ზოგში ხან დედის თავსასთუმალი,
ხან გელანდება მამის სამოსი,
ზოგში იელვებს აბასთუმანი
ან შემოდგომა საგურამოსი.

ყველა სიმღერა რასმე გაგონებს,
ყველა სიმღერას თავის წლები აქვს,
ყველა სიმღერა ვისმე გაგონებს,
ვინც გულს ოდესღაც დავიწყებია.

მაგრამ, ძვირფასო, რაც შენ გიპოვნე,
რომ სიცოცხლეში წინ წაგიმძღვარო,
ყველა სიმღერა შენს თავს მაგონებს,
შენ, სიყვარულო დაუვიწყარო!

## რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში

— რამ გადმოგხვეწა
ამ მწველ ალძურში.
რამ აგიყარა მესხეთს კარავი?!
მტრობამ?
მტრად ვინმე გყავდა მამულში?
რუსთაველის ხმა:
— არა, არავინ.

— მაშ, იქნებ შურმა,
შენგვარ მოყმეთა
შურს არ ძალუძდა შუქი შეეცნო;
შურს, შურს შეეძლო შენი მოკვეთა...
რუსთაველის ხმა:
— შურს არ შეეძლო.

— იქნებ ღალატმა,
მოულოდნელმა
ღალატმა შავმა და მუხანათმა
გდევნა, გაწამა, შორს გადმოგდევნა...
რუსთაველის ხმა:
— არა ღალატმა.

— მაშ, ცბიერებამ?
ჭირმა, რომელსაც
ქვეყნად ყოველი ძაგს ძლიერება,

რაც ძლევს თვით გმირის გულს და
ღონესაც...
რუსთაველის ხმა:
— არც ცბიერებამ.

— მაშ, სიძულვილმა?
უსინანულო
მოთხრის, მოსპობის, აღგვის წყურვილმა?
მაშ, სიძულვილმა?
ვაი, მამულო!...
რუსთაველის ხმა:
— არც სიძულვილმა.

— მაშ, რამ?
შენს ფრენას ფრთა რამ მოკვეცა,
რა წვამ აშკარამ.
რა წვამ ფარულმა?
რამ დაგამარცხა, რამ გადმოგხვეწა?!
რუსთაველის ხმა:
— რამ?
სიყვარულმა.

## გიორგი შატბერაშვილი

### საკალმასო

გულმა როდის დაიყეფა
სულ პირველად,
ალარც მახსოვს,
მაგრამ გვიან გამოვედი
სიყვარულის საკალმასოდ!

სიჭაბუკემ რაც დამაკლო,
ბედმა ახლა მომიშვილდა,
მკრა ისარი, ამამღერა,
გულს ლექსები მომიშივდა.

აჰა, შენი საროჭიკო,
თავო ჩემო, შევერცხლილო,
მე რად მინდა სხვისი ვარდი,
ბულბულს რატომ შევეცილო?

აჰა, ჩემი საკალმასო,
ტრფობის კალო — საიგავო,
გული უნდა მოგაბარო,
ეგებ ლექსი გამიქარვო!

Შითხრა რამე სამეგობრო,
გულით ლექსი დამიოქრო,
მე ისეთი ლექსი მინდა
შენკენ გზები დამიმოკლოს!

მე ისეთი კვესი მინდა,
ლექსის ყანწი დამივერცხლოს,
სიჭაბუკე დამიბრუნოს,
გული ისევ გამიმერცხლოს.

მე იმ კვესით ცეცხლს გავაჩენ
ჩემი გულის ნაფოტებზე,
ᲔᲔᲢᲧᲕᲘ, ᲒᲔᲢᲧᲕᲘ, ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲒᲔᲢᲧᲕᲘ —
ღამით ძილში გაბოდებდეს.

მაგონდება შენი სახე,
მახსოვს, მახსოვს, აღარც მახსოვს...
ეს რა გვიან გამოვედი
სიყვარულის საკალმასოდ!

## ᲡᲐᲛᲐᲘᲐ

მყავდა ერთი სიყრმის სწორი
არჩეული სწორთაგანა,
სცადეს და ვერ გაგვარჩიეს
ერთი ძუძუსმწოვთაგანა.

სცადეს მტრობის ჩამოგდება,
ერთმანეთის შეძულება,
უფრო მეტად შეეიყვარეთ
ძმობის ეშხში შესულებმა.

ერთი ვინმე აგვემგზავრა,
უმჯობესი ქალთაგანა,
მიდიოდა, ღიღინებდა,
სამაია სამთაგანას:

„სამაია სამთაგანა,
არ იქნება ორთაგანა,
დამიტირონ თვალთა შენთა,
დავიმარხო სწორთაგანა“.

მოგვხედავდა, ცეცხლს გვიჩენდა,
ვვიღიმოდა ხანდახანა...
ოჰ, იმ ქალმა დაგვავიწყა
ძმობის ფიცი თანდათანა:
ერთმანეთი შევიჯავრეთ,
დავდიოდით განდაგანა.

სად ხარ, ჩემო სიყრმის სწორო,
არჩეული სწორთაგანა,
გახსოვს, რომ ვერ გაგვარჩიეს
ერთი ძუძუსმწოვთაგანა?

გაიხსენე ის წამები
უკეთესი წამთაგანა,
ნეტავ შენც თუ გახსენდება
ის გოგონა ხანდახანა,
ვის დაეცეს გულზე ცრემლი
მის მშვენიერ თვალთაგანა?

ან შენ სად ხარ, ერთო ქალო,
უმჯობესო ქალთაგანა,
რად გაგვყარე სიყრმის სწორნი,
რად გვატარე განდაგანა?

. . . . . .

სიყვარულის სამაია
არ იქნება სამთაგანა...

## ტივისხე

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდევ დაუდგომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარე მომეცა...

დროც მიდის, როგორც მდინარე...
თურმე შენ გადამივიწყე,
დაშლილა, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივისხე.

არ ვიცი, ბედი ავბედი
წამიღებს რომელ მხარესა,
მიმატივტივებს მდინარე
გულაღმა მწოლიარესა.

ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ეისსენებ შენსა ღიმილსა,
ხანდახან მომენატრები.

ხანდახან... გესმის? ხანდახან...
თურმე მეც გადაგივიწყე.
მზე ჩადის, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივისხე...

## ალექსანდრე გომიაშვილი

### გუდამაყარი

გადაუქროლა მაყრიონმა არაგვის ჭალებს,
მიწყდა სიმღერა, გზაზე მხოლოდ ნამქერი წივის...
და მაგონდება ამ ჭალების ქარბუქში მწარედ
გუდამაყარი... შემოდგომა... შენი ქორწილი...

ჩემო ლამაზო, ნეტავ ახლა მაინც სადა ხარ?
ვისი ერდოდან ამოაფრენ ამაყ არწივებს? —
ასი წლის შემდეგ დამიბრუნებს შენი დანახვა
ჩემი ბავშვობის სიყვარულსა და სიყმაწვილეს.

მე ისევ გსახავ გაზაფხულის პირიმზესავით,
არ მავიწყდება მაყრიონის ცხენთა ჭენება, —
ზათქით, ზრიალით მოვარდება მთებიდან ზვავი
და ბურსაჭირის ვიწროებში ჩაიჭედება.

შენ კი სადა ხარ? შენზე ფიქრობს შენი მაყარი,
შენმა მაყარმაც შეიყვარა გუდამაყარი.

ანდრო თევზაძე

## თბილისი და წაღვერი

ამ ლექსის მუსიკის ავტორს და პირველ
შემსრულებელს მარიხ გოძიაშვილს

გრძნობა როგორ დაგიამო
ან რა ლექსი გიმღერო?
ქალო, ალვისტანიანო,
ეარდისა და მზის ფერო!

ნუთუ აღარ გაგახსენდი,
რაც აქედან წახვედი?
ო, ნეტავი ერთად იყოს
თბილისი და წაღვერი...

თვალს გავახელ, წიგნს გადავშლი
თუ მიდამოს გავცქერი,
მომანათებს შენი სახე
და თვალების ჩანჩქერი.

შენზე ფიქრებს გადავურჩე
თუ თბილისის მზეწვიას?..
ვერ მოვუსწარ მატარებელს,
ეს რომ გამომეძია;
პევრი კოცნა დაგადევნე,
ერთიც ვერ მოგეწია!..

აგერ, თითქმის სამი თვეა,
რაც დატოვე ეს მხარე,
და წერილიც არ მომწერე,
ერთხელ არ გამახარე!

შენ ნაძვნარში დასეირნობ,
მე კი მადნობს ივლისი;
ო, ნეტავი ერთად იყოს
წალვერი და თბილისი!

იქნებ სხვაზე გადამცვალე,
სხვას აენთე კელაპტრად?!
არ გიყვარვარ? ჩემი ლექსი,
აბა, რად მოგენატრა?!

თუ გიყვარვარ, რად გამირბი,
რატომ თავაზიანობ?
თუ ჩემი ხარ, რატომ გინდა
ეჭვით დამაზიანო?

ჩემო ვარსკვლავთვალიანო,
მთვარის თანაზიარო!..

ჩემი გრძნობა წმინდა არის,
ვით ანკარა მთის წყარო,
და მგოსანზე უკეთესმა
ქვეყნად ვინ შეგიყვაროს?!
პოეზიის სურნელება
მსურს რომ გადმოგიღვარო,
სიხარულის დღეებია,
მოდი, ჩვენც გავიხაროთ!..

## გაბრიელ ჯაბუშანური

### ეშვიდობით

მშვიდობით, მივალ, დე, არხვატს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი,
მწამს: თავს გაიტანს და გაიმარჯვებს
ფხა ვაჟკაცური, მიზანი სწორი!

დაიქცნენ ძველი ადათის ბჭენი,
ბინდი არ ბოჭავს გულს მარწუხივით,
გამყვება ქალაქს სურვილი შენი
და დედაჩემის ჩემზე წუხილი!

შევხვდები ბარში ვაჟკაცებს ნარჩევს,
მოვალ და ნათელს მოვიტან შორით.
მშვიდობით, ქალავ, დე, არხვატს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი!

## ერთგულება

წამოდი ცაში!
მაგ სნეულ სხეულს
მე ვუდასტაქრებ შუქის ლექსებით;
მზეს მაცოცხლებელს გამოვთხოვ სხივებს,
მაინც გამოვთხოვ,
არ მოვეხსნები!
და თუ მნათობი მაინც გაკუშტდა,
არ გაიმეტა შენთვის წამალი,
გულს ამოვიგლეჯ, მზექალ, საკუთარს —
და შენ ჩაგიდგამ! —
დაე, ალალი
იყოს ის შენთვის
თუ ბედნიერი
იქნები მგოსნის ქალღმერთი ჯიქი;
ჩემთვის კი აბა, რა ბედენაა,
თუ რომელ მკერდქვეშ იბორგებს იგი!

## გრიგოლ აბაშიძე

### ზღვა და მერცხალი

აჩქარებული, ფრთამოქნეული,
უცებ დაეშვა მერცხალი ციდან,
ზღვას გაუსწორა მთელი სხეული,
ეაეკრა ზედ და... უცებ მოსცილდა.

არ სურდა ცურვა, ტანთ შავი ეცვა,
ტალღის შხეფს ფრთითაც არ შეხებია,
არ სწყურებია, წვეთიც არ შესვა.
მაშ, რაღა სურდა გაშლილფრთებიანს?

ნუ ჰკითხავ მერცხალს, ზღვისგან რა სურდა,
ნუ მკითხავ, შენგან რა მსურდა მაშინ,
როგორც ზღვისა და მერცხლის თამაში,
ჩვენი თამაშიც უცებ დასრულდა.

## ოცნება უფლისწულისა

საქართველოს მთა-გორების ხორუმი,
ვაზი ვაზზე ლერწებგადალასტული,
ალაგ თითა, ალაგ ალადასტური.
ჩემს მეფობას უნდა შენი დასტური,
შენ კი შორს ხარ, როგორც ყარაყორუმი.

არას ვაქნევ პირველობას, მეფობას,
ქვეყნად მხოლოდ უგულოთა მოსახმარს,
მე შენს ჩრდილად თავად მზემ გამომსახა.
უწყალო ხარ, უდაბნო ხარ, შორსა ხარ,
მაგრამ მაინც გული შენგან მეპობა.

მაგრამ მაინც შველას შენგან მოველი,
თუმც თხოვნას და შველას არ ვარ ჩვეული,
დამიგდია სტავრა და ფარჩეული;
მე, ხელმწიფედ საქართველოს რჩეული,
მხოლოდ შენი მონობის ვარ მთხოვნელი.

## ჯიგთახათუნი

...და შედგა ჩემი ბედის ბორბალი,
შეჩერდა შენი თმით დახლართული,
შენ ერთადერთი ხარ დედოფალი,
ჩემი ოცნების ჯიგთახათუნი

მე ერთადერთი მხიბლავს ოცნება,
წვრილი წარბები, წყვილად გართხმული,
რაღაც გულწრფელი, ვით გაოცება,
და რაღაც კიდევ უფრო ქართული.

სად წავალ, შენსკენ მომაფრენს ქარი,
ფრთად მექცა შენი ყრმობის ულელი.
ყველგან თანა გდევ ფიქრივით ჩქარი,
ჩრდილივით ჩუმი და განუყრელი.

დე, ჩემს ეტლს ქარმა ქროლვა უცვალოს,
შეჩერდეს შენი თმით დახლართული,
ვეფხზე უწყალოვ, ჯიქზე უწყალოვ,
შენა ხარ ჩემი ჯიგთახათუნი.

## ორი ისარი

ორი ისარი თუ ორი ტყვია,
შიგ გულში მომხვდა ისეც ნაღვლიანს,
ერთს სიყვარულის ისარი ჰქვია,
ერთს სიყვარულის შიშს ეძახიან.

ტიალ გულს ერთი სულ შენსკენ სწევდა,
არ გიშორებდა თოფის ნიშნიდან,
ძალას მართმევდა მეორის სევდა,
ფეხის გადმოდგმას შენსკენ მიშლიდა.

შენს აჩრდილს ვერსად ვერ ვიცილებდი,
შენ არც იცოდი ეს საოცრება,
შენ არ გესმოდა ჩემი მცირედიც,
უმარტივესი ჩემი ოცნებაც.

მაინც გელტვოდი სამოთხის ბაღჩას,
გაჩირაღდნებულს სვეტიცხოვლებად...
შენთვის აუხსნელ ქარაგმად დარჩა
ჩემი ლექსი და ჩემი ცხოვრება.

## ატენში

მე უკან აღარ გავტრიალდები.
პირველად ვნახე ორი ატენი,
ატმის ყვავილის განთიადები,
ვაშლის ყვავილის კორიანტელი.

არა, ამ ბაღებს არ მოეცილდები,
ყვავილთა ცვენას არ გავეცლები,
ცვივა პეპლები დახოცილები,
ცვივა ფერფლები და ნაპერწკლები.

და შენც აქა ხარ, ვით ნათლის სვეტი,
მე შენი ფრთებით უნდა ვიფრინო,
მე — ღრუბლის გედი,
შენ — ხატის მტრედი,
მე — გაკრძალული შენი მიმინო.

ედგავარ ამ მზეში, ამ შუქის თქეშში,
და თქვენგან შუქი მეც მემატება,
ოცნებაც შენში,
  სიწმინდეც შენში.
შემოვდგომივარ მე შენს ხატებას.

.

და ჩვენ არასდროს გავტიალდებით,
თუნდ ერთად ადგეს ორი ამდენი,
ატმის ყვავილის განთიადები,
ვაშლის ყვავილის კორიანტელი.

## ალექსანდრე საჯაია

* * *

განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს.
შენი ბაგენი ალუბლებს ჰგავდნენ,
მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ.

მჯერა: ნიავიც ამაოდ ქროდა,
არ მსურს ამაოდ ვარსკვლავი ვთვალო...
შენ ღვინისფერი თვალები გქონდა,
მეც შავი ღვინო მიყვარდა, ქალო.

ჩვენ თვითონ ვნახეთ ბავშვი მოცარტი,
ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში,
იღიმებოდა და საოცარი
მე ცისარტყელა მიყვარდა მაშინ.

ვინ იცის, მოვა კიდევ შხაპუნა?
ვიცი, ერთხელაც იქნება გვიან...
მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა,
მე უშენოდაც მიჯნური მქვია.

## სვანური მოტივებიდან

### 1

საღამოთი შველი გადამეღობა,
ას წელიწადს მაძებნია კვალი;
მთვარედ მექცა, ვარსკვლავებში შეტობა,
მივდევ ელვის მოგიზგიზე ხმალით.

სალოცავად ქართველობა მეყოფა,
საფიცავად — შენი თაფლის თვალი.

უშენობით გული დამიმიწდება,
დევის მკლავებს წაერთმევა ძალა;
კვალდაკარგულს ფეხი გადამიცდება,
გავტყდები და მომაშველებ დალალს;

მთის კაცი ვარ, ხელი ცამდე მიწვდება.
ქარის მუხლით მოგეწევი, ქალავ.

დავიწვი და ენგურსა ვთხოვ, მეგობარს,
მომასხუროს მკერდზე წმინდა წყალი.
შენი შუქი ბნელში გადამეღობა,
ღრუბელზედაც ვნახე შენი კვალი.

საამაყოდ ქართველობა მეყოფა,
საფიცავად— შენი თაფლის თვალი.

2

ქარს ღრუბლების ჯოგი მიჰყავს და
დაბრუნდება, იქნებ როდის.
შენ ღრუბელი ყოფილიყავ და,
მენაც ქარი ვიქნებოდი,

შენ უშბაზე დაიძინებ და,
მე ხევს ჩავალ ქარიშხლებით.
თუკი შევხვდით, ან ვიწვიმებთ და
ანდა სეტყვად დავიშლებით.

3

მზე მთის საფარს ეფარება,
ეზოს მწუხრი ეპარება,
და ჩრდილები ხეთა
ფერად ნისლში იძირება.
აივნიდან იმზირება
მოწყენილი დედა.

## რევაზ მარგიანი

### მე უბით ვატარებ პატარა ბარათს

მე უბით ვატარებ პატარა ბარათს —
შენგან რომ მივიღე წუხელ,
ისე ვით საუნჯე, ფარულად დამაქვს,
რატომღაც ვერავის ვუმხელ...

წუხელი ბიჭებმა გადმომცეს ქაღალდი,
იმ წამსვე გავხსენი თრთოლვით,
თოვდა და ჩემს მხრებზე დაფრინდნენ ფარფატით
ფიფქები პირველი თოვლის.

არ მახსოვს, რამდენჯერ გავშალე ღიმილით,
ჭაბუკი ოცნებად ვიქეცი,
უცხო რამ, ასე ვთქვათ, ვით გულისტკივილი,
დავხედე ბარათს და ვიგრძენ.

შენ როცა ამ ბარათს საჩემოდ წერდი,
მალავდი შენს წუხილს, ქალო.
დაწერილ ბარათის ორივე გვერდი
შეტყოდა, რომ კარგად ვარო!

არა ხარ მართალი! ბავშვურმა ცრემლებმა
ხომ გაგთქვეს, რას იტყვი ახლა?
ცრემლების წვეთები აქა-იქ ემჩნევა
საჩემოდ დაწერილ ქაღალდს.

არ ვიცი რას სწუხდი, უჩემოდ ყოფნა
ვიცი, რომ ძნელია შენთვის.
არ ვარგა: გულით სხვას ფიქრობდი თურმე,
ხელით კი სიხარულს წერდი.

ნუ სწუხარ, გაივლის ომი და ქარი.
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდად,
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის,
დიადი სამშობლო წმინდა!

...მე უბით ვატარებ პატარა ბარათს,
გაჩვენებ, როცა შინ მოვალ,
და გულში, იცოდე, ვარამის გვარად
ჩამრჩება ბარათის ხსოვნა.

მოსვლამდე, ვინ იცის... უბეში მექნება
და ხშირად დავხედავ ხვნეშით:
„საველე ფოსტა, 72,
მარგიანს საკუთარ ხელში“.

## დერეფანზე ხორბალი მაქვს...

დერეფანზე ხორბალი მაქვს
ფარდაგივით გაფენილი,
ოქროსფერად დახატული,
სუფრასავით გადაშლილი.
ნეტავ ბევრი ჩიტი ვნახო
ასაკენკად დაფრენილი!

კენკონ, კენკონ, ბევრი კენკონ,
ასაკენკი სხვებსაც ჰქონდეს,
ნეტავ ჩემი ხორბლისათვის
ერთი ვინმე გაჩნდებოდეს
და ჩემს მყუდრო დერეფანზე
სამუდამო ბინა ჰქონდეს!

— მოდით, ჩემო ჩიტუნებო!
მოუთმენლად გელოდებით,
დერეფანზე ხორბალი მაქვს —
გადმოლახეთ ლურჯი მთები,
ხელგაშლილი მასპინძელი
გულგახსნილი დაგიხვდებით...

... საყვარელო ჩემო ჩიტო,
შენ როდისღა მოფრინდები?

## მთის კალთაზე სახლი მედგას...

მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.
ბუხრის პირას მუხლმორთხმული
ვით ზღაპარში, ვიჯდე მწყრალი.
ჩემზე იყოს გულმოსული
ჩემი თეთრი დედოფალი.
ბუხარივით გუზგუზებდეს —
მხიარული მქონდეს გული,
ჩემს ბავშვობას მაგონებდეს
ცოლის ტკბილი ჩონგურული.
გასაზრდელი ბიჭი მყავდეს,
გოგო მყავდეს თაფლისთვალი,
შავგვრემანი მამას ჰგავდეს,
დედას — მისი თეთრი ქალი.
დამეზარდონ სანაქებოდ
და მათ დაჰყვეთ დედის გული,
მამასავით იოცნებონ
საქართველოს სიყვარული.
მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.

## ლადო ასათიანი

# ალბომიდან

*ნ. ვ-ს*

რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები!
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
ამ სიყვარულზე ვესაუბრები.

ვეტყვი, თუ როგორ გვიყვარდა ძველად
ჩვენ ტრფიალება წრეგადასული,
თუ როგორ გაქრა ოცნება ყველა
და მოგონება დარჩა წარსული.

ვეტყვი, თუ როგორ გვიყვარდა გულით
ფიროსმანი და თბილისის ღამე,
ლაჟვარდოვანი მტკვარის დუდუნი
და მარტოობის მკაცრი სიამე.

ვეტყვი: რა მწვავდა, რა სატკივარი,
მაღალ მთებს რისთვის გამოვექეცი,

როგორ გაგანდე, ძვირფასო, ჯავრი
და კაცი ლექსად როგორ ვიქეცი.

ან შენს სახელზე ბერდანის ტყვიით
როგორ დავკოდე ნადირი მხარში,
რომ არ ვიცოდი მაცდური ტყვილი,
რომ შეშლილივით მიყვარდი მაშინ.

ო... მასაც ვეტყვი, ვეტყვი ყველაფერს,
რა კარგი იყავ და რარიგ ნაზი,
რომ მხოლოდ შენთვის ავაფერადე
ჩემი სიმღერა და მუხამბაზი!

ო... მასაც ვეტყვი, ძვირფასო ცირა,
როგორ გვდევნიდა ბედი ტიალი,
როგორ გვიყვარდა შავი ზღვის პირას
გასეირნება და ხეტიალი.

. .

როგორ გვათრობდა ტალღების ნანა
და სიყვარულით როგორ ვიწოდით...
და ეს შარბათზე უტკბესი ხანი
რომ გაქრებოდა, რად არ ვიცოდით?!

რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
რამ დამავიწყოს ეს ალუბლები?..
იცოდე, როცა სხვას შევიყვარებ,
ამ სიყვარულზე ვესაუბრები!

## ოთხი უსათაურო

* * *

რად გაიფურჩქნე, წინანდლის ვარდო,
რად ააკვნესე ლერწამის ღერი!
დარდი ვარ მარტო, დავდივარ მარტო
და ეთიმ გურჯის ბაიათს ვმღერი:
— წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია!

* * *

გთხოვთ არ გაიგოთ სხვანაირ სახით
ეს გახუმრება და ეს ბარათი,
მე მინდა თქვენთან დავიდგა სახლი
და მთაწმინდაზე დავრჩე მარადის.

რომ შთაგონებით უსაზღვროდ ხელი
ვმღეროდე თქვენი ტრფობის თილისმით.
თქვენ მოიღეროთ ჯეირნის ყელი
და გიყურებდეთ მთელი თბილისი.

* * *

მიმატოვე და მალულად
ახლა ვეღარ გხვდები,
ნაფიქრალით დაფარულან
საქართველოს მთები.

როგორ სწრაფად წამიხვედი,
სიტყვაც კი ვერ გითხარ...
შენს უნაზეს ძახილს ველი,
ჩემო კარგო, დიდხანს!

ვუმზერ მეტეხს, ნარიყალას,
შენ კი ვეღარ გხედავ,
გაიღვიძე, ჩემო ყველავ,
ჩემო სულის ერთავ!

ძველებურად, ჩვენებურად
ჩავუაროთ ისანს.
კაცი ვარ და ქუდი მხურავს
ქართველს შეუშიშარს.

მიმატოვე და მალულად
ახლა ვეღარ  გხვდები,
ნაფიქრალით დაფარულან
საქართველოს მთები.

* * *

— ამისი ქმარი სარდაფში მოკვდა,
ასე იტყვიან შენზე ქალები,
და შენც  ასეთი ნაზი და კოხტა
სიყვარულს ვერსად დაემალები.

— ამისი ქმარი ღვინოში მოკვდა, —
ასე იტყვიან შენზე ლოთები,
და შენც ასეთი ნაზი და კოხტა
ახალ სიყვარულს დაელოდები.

— ამ კაცის ცოლმა სხვა შეიყვარა, —
ასე იტყვიან ჩემზე ბიჭები,
გამიხსენებენ, როგორც ნიკალას,
და თბილ სამარეს დააბიჯებენ.

## ყაყაჩო

ეთერ სვანიძეს

ძველად აქ ჯარებს უხმობდნენ
დაფდაფითა და ბუკითა,
ახლა ყაყაჩო შემომხვდა
ლამაზი ქალის შუქითა.

შემომხვდა, შემოეანათა,
ჩინჩხლები შემომაყარა,
ალუჩა-ტყემლის შემოსვლა
და გაზაფხული მახარა...

უცხო კაცად რომ შემიცნო,
შერცხვა და თავი დახარა;
შერცხვა და თავი დახარა,
სიწითლემ გადაუარა,
ალბათ, იმაზე დაფიქრდა,
მოვეწონეო თუ არა?!

## ᲐᲛ. ᲗᲘ.

მე ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას,
მე იმ ლოთიან მომღერალს ვგავარ,
ქართველი ქალის შნოსა და ჯავარს
და საქართველოს ლურჯი ცის თავანს
რომ უმღეროდა დაუღალავად!

მე ვეტრფი ძლიერ თბილისელ ხაბაზს,
დილით ადრე რომ ააფრენს ლავაშს,
ორბელიანის ძლიერ მუხამბაზს,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას!

მე ვეტრფი იმ თეთრჩოხიან მაყარს,
კრიმანჭულის დროს ცას რომ ახედავს,
და კახურ ამბოხს, შლეგსა და მაგარს,
შემოდგომაზე ქვევრს რომ გახეთქავს!

მე ვეტრფი მხოლოდ ლამაზის თვალებს,
ლამაზი არის თბილისში ყველა
და სიყვარულით უგონოდ მთვრალი
და შველა უნდათ ლამაზებს, შველა!

მე ვეტრფი მეტად რუსთველის სახელს,
ვით საქართველოს სინდისს და ნამუსს,
ყველა ღვინის მსმელს და ყველა კახელს,
ამ ჩემ პატარა ძველთაძველ მამულს,
ქართულ ჩონგურს და ქართულ სალამურს,
თბილისის ცას და თბილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას!

მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ,
მე შენს სიყვარულს ვერ გავექეცი,
ვერ იტყვი, ჩემზე გული არ აქვსო,
მე გული მქონდა და შენ მოგეცი,
მე დაჭრილი ვარ უიარაღოდ,
მე შენს სიყვარულს ვერ გავექეცი!

მე ვეტრფი მხოლოდ შენს ლამაზ თვალებს
და სურნელებას შენი ტანისას,
გაშლილო მზეო, გავსილო მთვარევ,
ღაჟღაჟა ვარდო წინანდალისა,
მე ვეტრფი მხოლოდ შენს ლამაზ თვალებს
და სურნელებას შენი ტანისას!

მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა,
ვისაც სახელი შორს გაუვარდა,
ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა,
მე იგი მიყვარს, ვისაც უყვარდა
თავისი ქვეყნის ხალხი და მიწა!

მე შენ მიყვარხარ და საქართველო,
უთქვენოდ, აბა, რამ გამახაროს!
მიწავ, მტერთაგან დაუთრგუნველო,
გთხოვ, შენი კალთა გადამაფარო!
მე შენ მიყვარხარ და საქართველო,
უთქვენოდ, აბა, რამ გამახაროს!

მე კარგად ვიცი, ვინა ვარ, რა ვარ,
საიდან მოველ ან საით წავალ, —
და ვეტრფი ძლიერ ტფილისის ჰავას,
ნიკო ფიროსმანს და საათნავას!

## მირზა გელოვანი

### განშორება

ყველა მოკლე და ქერა თმის ნახვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც გშორდები.

ასე თიშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარდში დამთენებია.

მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.

## ო, მ ა პ ა ტ ი ე თ

ბედმა უცნობი გზით გამაქანა,
თქვენ დარჩით შორი... ცაზედაც შორი...
და, როგორც კარტში აგურის ქალებს,
გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის.

მე გპირდებოდით, რომ დავბრუნდები,
რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ,
მაგრამ დღეები, როგორც ქურდები,
ჩემს შეპირებას ანადგურებენ.

და სადმე ტყვია თუ გააციებს
ვულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.

## ნუ მწერ...

თ. მ....ს

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,

რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.

... წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.

ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.

* * *

მე მინდოდა იავნანა,
როგორც ნაზი პოემა...
რაც ვერ მოკლა შენმა დანამ,
მოკლა სიმარტოვემა.
ოი, როგორ მედიდური
მქონდა გული ბავშვობის,
ოი, როგორ დაგემდურე,
ოი, როგორ დაგშორდი.

და არ ვიცი, იქნებ დაჭრილს
მომწვდეს შენი მარჯვენა
და ელირსოს უხმო აჩრდილს
ქვეყანაზე დარჩენა.

## დამშვიდება

რისი გეშინია?
შენი აჩრდილია,
დაგდევს და სურვილი აწვალებს.

შენი კოცნა უნდა?
არც გასაკვირია —
მას კოცნა აკვანში ასწავლეს.

## იოსებ ნონეშვილი

* * *

სად არ ვიყავ, სად არა,
ცხრა მთა გადამატარა
ეტლმა წუთისოფლისამ.
მაგრამ, კარგო, იცი რა?
გულმა ვერ მოიცილა
ნატვრა შენთან ყოფნისა.

უცხო ცაზეც მნათობნი
კიაფობენ ათობით,
მზესაც ოქროს ფერი სძევს...
მაგრამ სულ სხვა რამ არის
სხივებნათამამარი,
საქართველოს ცხელი მზე.

ვნახე მტერთა ციხენიც,
ჩვენი დარტყმით ფიცხელით
მათი ბჭე შეზრიალდა.
მაგრამ სულ სხვა რამ არის
ციხე-კოშკი თამარის,
მთაზე მდგარი ზვიადად.

და ლამაზი ქალებიც,
ვნებით ფერმიმქრალები,
თითქოს ვარსკვლავებია...
მაგრამ ტრფობა იმათი,
ავხორცი და კვიმატი,
გულს არ გაჰკარებია.

სად არ ვიყავ, სად არა,
შენი ლანდი პატარა
მუდამ გვერდით დამდევდა.
ჩემს სიხარულს იყოფდა
და თუ სევდა მიხმობდა,
ისიც დაიდარდებდა.

მოველ, შენთან მოველი,
განა რამეს მოველი,
სიყვარულის ზღაპარო?!
მინდა თვალებმზიანი,
გულის თანაზიარი,
ბედის ვარსკვლავს გადარო.

სად არ ვიყავ, სად არა,
ცხრა მთა გადამატარა
ეტლმა წუთისოფლისამ.
მაგრამ, კარგო, იცი რა?
გულმა ვერ მოიცილა
ნატვრა შენთან ყოფნისა.

## ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია

მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი,
ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას.
გაშლილი მქონდა ვარსკვლავთა წიგნი,
ლოდებს არ ედო ხავსი, ვით ფიქრი
და გული თითქოს ჩემებრ უხურდათ...
მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი,
ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას.

გვიმრის ფოთოლი თუ რტო ვაზისა,
ძელქვაზე ფრთხილად ასული სვია
ისე დავხატე ქვაზე ფაქიზად,
რომ ჩემს სუნთქვაზე იწყებდნენ შრიალს.

და როს დაადგა ღვთის თვალი ტაძარს,
ანგელოსებმაც მარჯვენა მიქეს,
მე ღმერთი ვიყავ და ვიქეც კაცად,
მე კაცი ვიყავ და ღმერთად ვიქეც.

მაგრამ, უცნობო, როს სანთლის შუქი
აგიჩირაღდნებს მწუხარე სახეს,
მე მადლობელი ვიქნები, თუკი
შენდობას ეტყვი ჩემს ცოდვილ სახელს.

რადგან მე — უღირსს, ცოდვა რამ მაძევს,
ო, ცოდვა მაძევს მე მეტად დიდი...
როცა ბოლნისის ვარდისფერ ქვაზე
ღვთისმშობლის წმინდა ხატებას ვჭრიდი,

მე თვით არ ვიცი, საიდან გაჩნდა
ჩემი მიჯნური შემართულ ისრით
და ღვთისმშობელის თვალების ნაცვლად
როგორ დავხატე თვალები მისი.

მე თვით არ ვიცი, რად დავამგვანე
ეს ჩუქურთმები მის დალალ-კავებს.
და ვგრძნობ: არა არს ქვეყნად თუ ცაში
გულთამხილავის მიუწვდომელი.
წარბს შეჰკრავს რისხვით და ალბათ მაშინ
განკითხვის მძიმე ჟამი მომელის...

და, ჰე... უცნობო, როს სანთლის შუქი
აგიჩირაღდნებს მწუხარე სახეს,
მე მადლობელი ვიქნები, თუკი
შენდობას ეტყვი ჩემს ცოდვილ სახელს.

* * *

შენ არა გაქვს მეფის გვარი,
ფრთაფარფატა თოლია,
მაშ, თვალები თამარ ქალის
როგორ გამოგყოლია?
არ მომეკრა შენთვის თვალი,
სიზმრად მაინც გნახავდი.
ხარ ყინწვისის ანგელოსი,
თეთრ ღრუბლებში ნახატი.
შენს სიყვარულს დავიფიცებ,
დაიჯერო იქნება,
ცისფერ კაბას ნუ ჩაიცმევ,
თეთრი უფრო გიხდება.
შენს სიყვარულს დავიფიცებ,
დაიჯერო იქნება,
წარბს ნუ შეჰკრავ, გენაცვალე,
გაღიმება გიხდება.
შენ არა გაქვს მეფის გვარი,
ფრთაფარფატა თოლია,
მაშ, თვალები თამარ ქალის
როგორ გამოგყოლია?..

## შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა...

შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა და რარიგად დაგშვენდებოდა.
შენს ერთ სიტყვაზე ქალაქები აშენდებოდა
და დაიწყებდა უდაბნოში შრიალს წალკოტი.
ერთი შეხედვით ვაჟკაცების გულებს დაპკოდდი
და მზის ათინათს დაჩრდილავდი თვალთა ციალით.
დალოცდი ლაშქარს და იმ ღვთიურ ლოცვის გამგონებს,
არ ექნებოდათ სპათა შენთა მტერთან ზიანი.

შენ ხატაური აბრეშუმი დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა და რარიგად დაგშვენდებოდა,
შენს ნატიფ სახეს ნიავიც რომ არ შეეხებოდა,
სპილოს ძვლისაგან ულამაზეს კოშკს აგიგებდნენ.
ცისკარზე, როცა ქაშუეთის ზარებს დარეკდნენ,
აღიგზნებოდა შენის ლოცვით წმინდა ტაძარი
და შენს გვირგვინთან მორჩილებით ქედს მოიდრეკდნენ
ორბელიანი და ამაყი ამილახვარი.

შენ რუსთაველის სიყვარული დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა და რარიგად დაგშვენდებოდა,
ბევრი თაობა გაივლიდა ჟამთა შარაგზას,
შენ კი ლექსებში იცოცხლებდი, კარგო, მარადჟამს...

დიდი პოეტი მიგიყვანდა ხალხის გულებთან,
ვარსკვლავებივით დაგვხედავდნენ შენი თვალები
და ვით დიდებას აწ გარდასულ საუკუნეთა,
სულ ერთი არის, მე შენ მაინც შეგიყვარებდი.

...შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა.

## ორი მუნასიბი

### 1.

მე მუდამ ვფიქრობ:
დღეს ჩემი ლექსი,
მკერდში რომ დიდხანს ბორგავს წვალებით,
როგორ გახდება
ხელიდან ხელში,
ხელიდან ხელში საგოგმანები...
როგორ გახდება
ასე ურიცხვი
ხალხის რჩეული ჰანგი ადვილად,
როცა პატარა
გოგოს გულიც კი
ვერ იქნა, ვეღარ მოინადირა.

2.

რას გიყურებ?..
სურთ ამ თვალებს უმეცართ,
შეგამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც,
თორემ, თუკი
შემიყვარდი უეცრად,
ყველაფერი კარგად მომეჩვენება.

## ზურაბ ლორთქიფანიძე

### ხმა ხმას დაეძებს სივრცეებში უადამიანოდ...

ხმამ ხმა მოიხმო,
ცაცხვებქვეშ თრთოდენ.
საღამო იყო...
ხმა ხმას უახლოვდებოდა,
ერთი გაბედულად, მეორე მორცხვად.
ეშხი მოსდებოდა
შემყურე მინდორსა და ბორცვსა.
მორცხვი ხმის მიღმა ქალი თრთოდა,
ისეთი სათნო და კოხტა,
გაბედულ ხმის იქით ვაჟი ტორტმანობდა
ისეთი ღიმილით და ტანით...
საჭირო არ არის, ვიცოდეთ სად არის
ახლა რომელი, რომელ ქუჩას შვენის,
თუ სქელი ჩრდილი ფარავს საყდრის...
ერთი ხმა
მეორე ხმას ეალერსებოდა.
ვაჟის ხმას ღელვით ქოჩორი უჯეჯილდებოდა.

მეორეს დალალი გაწეწოდა,
პატარა ტუჩები აპილპილებოდა,
და თხელი ტანით თრთოდა.
ხმა ხმას ეალერსებოდა,
ხმა ხმას შეადნა და შეაკვდა,
ვაჟი — ხმა აენთო
ქალი — ხმა შეფაკლდა...
ისევ მინდორ-ველი განვვლოთ;
ხმა ხმას დაეძებს სივრცეებში უადამიანოდ.

•

## ლადო სულაბერიძე

### სიზმარი

შენ ამერიდე დაფერებული
წინანდებურად ვარდის ფერითა,
ნუთუ ისე ვარ დაბერებული,
რომ ველარ მიცან და ამერიდე.

ჩამომიქროლე, წამოიხვეტე
ქარი და ქარში გაქრი ქარულად.
ერთხელ ირიბად გამოიხედე
და გაიღიმე თითქოს ფარულად.

და გაჰქრი... ქუჩას თოვლი აცვივა,
გარშემო თეთრი ფერის ყინია.
ნუთუ მე მართლა ბერიკაცი ვარ
და შენ ამ თეთრი თმის გეშინია?!

გიყვარდა თეთრი ფერი ყოველთვის,
ჩემთან ღამეებს თეთრად ათევდი.

თუმცა დამთრთვილა ცამ ჩრდილოეთის
და ადრეულად ოდნავ გავთეთრდი,

ნუ გეშინია, გულში არ ცივა,
ეს მხოლოდ თეთრი ფერის ჟინია.
მე ახალგაზრდა ბერიკაცი ვარ,
შენ ამ თეთრი თმის ნუ გეშინია.

## შალვა ფორჩხიძე

* * *

მე ვარ და ჩემი შრიალა ჩრდილი
და იმ თვალების ცისფერი სხივი, —
იქ, ტირიფებში, ცისმარე დილით
იმ სიყვარულის ცრემლების მძივით...

მე ვარ და ჩემი სამშობლოს მთები
და მთაწმინდაზე ის ლურჯი სურო, —
შენ რომ მოჰგავდი დაბურვილ თმებით
და შენთან ყოფნა მინდოდა უფრო...

მე ვარ და თეთრი ვაშლის ხის ფიფქი
და გულში არა მქონია ბინდი.
მე შენს თვალებზე მიყვარდა ფიქრი
და საქართველოს საღამო მშვიდი.

მე ვარ და მთებში თერგის სათავე —
ასე რომ ვშფოთავთ ცისმარე დილით...
და შენზე ფიქრში როცა გავთავდე,
გადამაფარე პატარა ჩრდილი!..

ვახტანგ გორგანელი

## გაზაფხულის მერცხალი ვარ

გაზაფხულის მერცხალი ვარ, შორი გზიდან
ნიავქარმა მატარა,
ნუ დამიშლი, შენს ლოყაზე ბუდე მინდა
გავიკეთო პატარა.
ხედავ, გაშლილ მთებს და ველებს
გაზაფხული ყვავილებით ქარგავს,
სხვა რა გითხრა, ჩემო კარგო, სიყვარულის
და სიმღერის გარდა.

## ზაქარია შერაზადიშვილი

### შენ რომ თუნგი ჩაგივარდა ჭაში

შენ რომ თუნგი ჩაგივარდა ჭაში,
ჭას რომ ჰქონდა უსაშველო სიღრმე,
ტოლებში რომ ამარჩიე მაშინ,
ამარჩიე და საშველად მიხმე.

მავთული რომ გადავღუნეთ ჩანგლად,
ჩანგალზე რომ თოკის ბოლო შევსკვენ...
ჭის უბეში შენი ლანდი ჩანდა,
დავიხარე ლანდისა თუ შენსკენ.

მე, მანამდე უზრუნველს და ანგალს,
სიყვარულის არაფერი მჭირდა,
მაგრამ მაშინ იმ ბედნიერ ჩანგალს
შენი ლანდიც თან ამოჰყვა ჭიდან.

და მე შემრჩა, ეს რა საქმე მიყავ,
ჯადოა, თუ საზღაური შრომის,
რომ მას შემდეგ ყველაფერი მიყვარს
ამ ცასა და დედამიწას შორის!..

## მარი აბრამიშვილი

### აი, სად შემხვდი

აი, სად შემხვდი, ვით ღამისთევა,
მე კი თურმე სად დამღამებია, —
შენ რომ გიყვარდა, —
ის ქალი მე ვარ,
შენ უიმედოდ არ გყვარებია.

მე ახლა შენს წინ დაღლილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს, —
შენ რომ ეძებდი,
ის ქალი მე ვარ,
მითხარი, ხომ არ დავაგვიანე?

თუნდაც უსიტყვოდ დამუნჯდეს ენა,
მე უშენობის დაღი მატყვია;
შენ რომ გინდოდა,
ის გული მე მაქვს —
ვიცი, სხვა გული არ გინატრია.

შენ ეძახოდი შორს, შენგან წასულს
და ხმა ქარიშხალს ჩაუქოლია;
შენ ეძახოდი ვიღაცა ასულს
და ჩემს მეტს
არვის გაუგონია.

მე ახლა შენს წინ დაღლილი ვდგევარ,
ვუმზერ მაგ თვალებს და მაგ იარებს,
შენ რომ ეძებდი,
ის ქალი მე ვარ, —
მაგრამ ვაი რომ დავაგვიანე.

## მურმან ლებანიძე

* * *

მარეკები შლიდნენ ბანაკს,
ქარი ჩამი-ჩუმით ჰქროდა,
ვიწექ, რომელიღაც ბალახს
უცბად — ქალის სუნი ჰქონდა.

თითქოს ურო დამკრეს თავში,
თითქოს პაპაჩემი ცხონდა —
ათას სურნელოვან შვავში
ბალახს — ქალის სუნი ჰქონდა.

სუნი ჰქონდა არა დალის,
ლალის, — ცისფრის ანუ თეთრის, —
სუნი — საზოგადოდ ქალის,
სუნი — საზოგადოდ მდედრის...

ღმერთო! ღმერთო! მე სულ ველი
სიკვდილს — შენ მაცოცხლო ვინძლო,
სანამ ვიცნო ეს სურნელი,
სანამ ეს სურნელი ვიგრძნო!

## ციცო

წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო,
  მწყურვალს დაგტოვებსო, ჩაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო —
  შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!

მე იმ ასაკში არა ვარ ახლა და
  არც იმ ჭკუაზე — ცოლ-შვილს გავეყარო!
მაგრამ შემომიჩნდა სურვილის მახრა და
  პატარა ციცოვ, უნდა დამეხმარო!

ხოლო ციცუნია ტოლებში დაჰქრის
  და შენი მახრა ფეხზე ჰკიდია,
თუმცა სავსე მკერდი მიუგავს სახნისს
  და ეს შეახსენებს, რომ უკვე დიდია!

ისე ჩამოგივლის მიწაგასახეთქი,
  ვითომც ქვეყანაზე მარტო ის ერთია.
როგორც ხეჭეჭური, ქვაზე დასათხლეში —
  ციცო ისეთია!

წყაროზე ჩაგიყვანს და არ დაგალევინებსო,
  მწყურვალს დაგტოვებსო, დაჰყვები ვინცო,
ცოლ-შვილს გაგყრის და აგარევინებსო —
  შენზე თუ უთქვამთ, პატარა ციცოვ!

* * *

ოჯახის ქალმა დასტოვა ქმარი —
ბროლი, საპფირი, ვერცხლის ვაზები;
მოწყენილ წარსულს ახალა კარი
და მიიყუდა ცეცხლის თასები...

ქალაქში დადის კივილი რისხვის
და მითქმა-მოთქმის ქრიან ქორები,
ოჰ, მარადია ყივილი სისხლის
და წყლის ნაყვაა ახლა ჭორები!

* * *

ხარ დიდი სანდრო ბოტიჩელის
მადონა ნორჩი,
ამიმხედრდება
შენი ერთი დანახვით სისხლი
და მერე, როცა
გვერდზე წახრილს ბეჭებში გკოცნი,
ხოლო შენ მორცხვად
შენს ათასგვარ ღილაკებს იხსნი,
განუზომელი
ნეტარების
მოლოდინით მევსება ხორცი...

ო, უტკბილესო!
ტიტანური შთამბერე ძალი!
მინდა დაგწვდე და
აგიტაცო უეცრად ცაში,
მინდა ვიყვირო:
— „საოცრება! შეხედეთ! ქალი!“ —
მაგრამ ბნელდება
და ხორხოცით, გრგვინვით და ტაშით
მიექანება
უფსკრულებში
დამსხვრეული ხორცი და ძვალი.

* * *

რომ გითხრა: „მსურხარ დასავით!“
ჩვრად შეგზიზღ-შეგებრალები.
ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს,
აღსავლეთს მიყვარს ქალები!

უფსკრულზე გაგაქვს სავსავით
ეს ხორცი ცეცხლის ბრჭყალებით.
ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს,
აღსავლეთს მიყვარს ქალები!

ბრმა ჰომიროსიც გვასწავლის:
ოთხკუთხივ რაზმეთ ჯარები!

ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს
მუსრეთ სინსილა ქალების!

ქართული ლექსით
ჩანგს დავიმშვენებ.
მამათა გრძნობათ
ნუვინ დამთმო ხართ.
„არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ,
არ დაიჯერებ,
თუ ვით სატრფო ხარ!“

* * *

გაზაფხული შემოსულა, ლენ,
ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს...
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გასრესილი ანწლის,
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის
და ცისფერი, უბორკილო დღე...
მოგანატრე სათიბი და ტყე!

აწი აღარ გაგაჩერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დაარქმევ „დილეგს“,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს —
მწევარივით გამიხტუნე წინ!
აწი აღარ გაგაჩერებ შინ!

გაზაფხული შემოსულა ლენ,
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს...
მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ.

ეთერ სახვაძე

## ფერიცვალება

პირგაზაფხულო თუ გახსოვს ის დრო,
თავდავიწყებით რომ ერთად ვრბოდით.
შენ ყაყაჩოებს მინთებდი დიდრონს,
მომიჩრდილებდი ალუბლის ტოტით...
ატაცებული ვტოვებდი შინას
და ქალაქგარეთ მოგდევდი ცისფერს,
დავსველებულვართ წვიმებში ხშირად,
გავციებულვართ, გვქონია სიცხე...
შენ დღეისდღემდე დარჩი შენებრი:
წმინდა თვალებით, აბურცულ ტუჩით,
მე ჩავიკეტე, ვერ გეჩვენები
დაღარულ სახით, ცივით და ლურჯით.
მაინც მიხარის, რომ გხედავ გაღმა,
რომ დახვალ შუქით და ქალწულთ ატფობ,
ო, გაზაფხულო, შენდამი ახლა
მე დედობრივი გრძნობა მაქვს მარტო...

## ნანა გვარიშვილი

### როცა გულს გთხოვ...

მე რომ გდარდობ —
ისა ხარ,
მე რომ გნატრობ —
ისა ხარ...
როცა ელავ —
მზისა ხარ,
როცა ღელავ —
ზღვისა ხარ,
როცა გულს გთხოვ —
ქვისა ხარ.

ანა კალანდაძე

## პაწაწინა რტო ვარ

მეფერება მზე ალერსის მთხოვარს,
ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა...
მე მიგალობს, როდი მიმატოვა,
თოხიტარა, პაწაწინა რტო ვარ...

ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის,
ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად...
დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი:
პატარა ვარ, მოფერება მინდა!

მითხარიო: როგორ, როგორ ვანდო
საიდუმლო აშარსა და მსტოვარს?
მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო,
მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!

## თუთა V

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი...
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა.
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი...

## ბოშა ქალი

და რა ქალი?! ხელისგულით სატარები...
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი...
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები...
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი...
მეზღვაურებს გამომწვევად გვერდს აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:
— მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!..
ეს პაწია, სიყვარულის დოსტაქარი,
განა დარდობს, თვალებს ცრემლით იოსებს?
მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი
სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე...

## ისევ გახსენი გული ჩემი

ისევ გახსენი გული ჩემი სიყვარულისთვის,
ჰყავ თვალნი ჩემნი სიხარულის ცრემლით სავსენი...
ყვავილთ სიმშვიდე დამიმკვიდრე მიუცილები,
სიყვარულისთვის ბაგე ჩემი ისევ გახსენი!
ისევ გაკვეთე შენ ურჩხული გაუმაძღარი
და დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ...
განახვენ ჩემთვის, ო, განახვენ ტაძრისა ბჭენი,
და მე შემოვალ ყვავილებით, ხელუწიფარო!
მე არასოდეს არ ჩავაქრობ შენს წმინდა სანთელს,
მისი ნათელი — ჩემთვის მარად ტკბილგანსასვენი...
შენ დამიფარე, ვით წალკოტში ყვავილს იფარავ,
სიყვარულისთვის გული ჩემი ისევ გახსენი!

* * *

მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად რომელიც მიხმობს,
მე ვუსმენ შენს ხმას, იდუმალსა რომელიც მითხრობს,
მე ვიღებ იმ მსხვერპლს, რას სამსხვერპლო შენივე ითხოვს,
შენივე მწუხრით ავივსები, ესოდენ წრფელი...
ო, შენ მარადის მომეახლე სხივთა კანკალით,
თან დაგიმარხავს, როგორც მარგალიტს,
ჩემი გულის მდუმარე ფსკერი.

## მე მზეს ვუმღერებ

მზე ოკეანით ამოვა მძიმედ,
გაბრწყინდებიან შორეული ზღაპრული მთები...
თავს მოვიკაზმავ სირაქლემას ლამაზი ფრთებით,
ყელზე შევიბამ ბრჭყვიალა მძივებს...
ჩემი საქმარო ნაზი გრძნობის აღსანიშნავად
ვერ მიძღვნის ბეჭედს ძვირფასთვალიანს, აბრეშუმს
ცისფერს,
ის დამილოცავს ზღვას და ხმელეთს შორეულ ცის ქვეშ,
თუ დავღონდები, მოიწვევენ ასი წლის შამანს...
ყელზე შევიბამ სულ უბრალო, ბრჭყვიალა მძივებს,
არ მინდა ოქროს სამკაული ძვირფასი თვლებით...
თავს მოვიკაზმავ სირაქლემას ლამაზი ფრთებით
და მზეს ვუმღერებ ოკეანით მომავალს მძიმედ...

## ჭექდა მაზურკა

ღედას

შენ გაგითეთრდა თმები მას უკან,
ძვირფას კაბას კი... ერთი ღერო შერჩა სუსამბრის...
დეზოთა წკარუნით გაგიწვევდათ ქალწულთ ჰუსარნი
და დიდ დარბაზში ჭექდა მაზურკა...
როკვიდნენ წყვილნი, ვით გედები იისფერ ტბაში...

ბრწყინვა კანდელთა ჰგავდა ბრწყინვას ვარსკვლავთ
მირიადთ...
შმაგი სინათლე თვალებს სჭრიდა მკერდზე ბრილიანტს
და იაგუნდი ტიროდა თმაში...
ლამაზი კაბა იასამნის სურნელს აკმევდა...
ეცილებოდა თვით სანთელთაც უბრწყინვალეს შუქს...
მაღალი მხრები იმშვენებდნენ ინდურ აბრეშუმს...
ბრინჯაოს ქალი სულ შიშველი იდგა სარკესთან...

. . . . . .

შენ გაგითეთრდა თმები მას უკან
და ძვირფას კაბას ერთი ღერო შერჩა სუსამბრის...

## როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია!

ვით ფოთოლი შენი, მზეზე მოციმციმე,
ქარებს აჰყოლია
და წასულა შენგან, გაფრენილა შენგან,
მიწას დაჰკონვია,
ისე გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა...
არ ვახსოვარ ალბათ, არ ვახსოვარ ალბათ,
ჩემო მაგნოლია!
ჩვენ ცხრათვალა მზეთა და მძვინვარე ზღვათა
ტრფობა გაგვყოლია....
მიგვატოვონ მარად, მათ, სამხრეთის ქართა,
რაღაც არ მგონია...

მაგრამ... გული მისი სხვათა, სხვათა, სხვათა
უტყვი გამგონეა...
მე არ ვიცი, რატომ... არც შენ იცი, რათა,
ჩემო მაგნოლია?
ო, ასეთი წუთი, დაუბრუნებელი,
შენც ხომ არ გქონია?
დაბრუნდება ისევ, დაბრუნდება ისევ,
შენც ხომ არ გგონია?
მშვენიერი ზღვების, მშვენიერი მთების
ტრფობა გაგვყოლია...
როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან,
ჩემო მაგნოლია!

## ხუტა ბერულავა

* * *

მინდა შეგიმკო თმები გვირილით,
მაგრამ შორსა ხარ ჩემგან ძალიან:
ჩემი სიცილი, ჩემი ტირილი —
იცოდეს ყველამ — შენი ბრალია.

ცხოვრება მიჰქრის ნიაღვარივით
და ჩემთვის თითქოს არა სცალია...
მქვია მდიდარი? მქვია ღარიბი?
მიზეზი შენ ხარ, შენი ბრალია.

ზოგჯერ ხელიდან ისე მეცლები,
მინდა შეგიკრა ოქროს გალია!
მე თუ ვმაღლდები, მე თუ ვეცემი,
განა არა გრძნობ, შენი ბრალია.

გადაუარეს ბაღებს ქარებმა,
და ჩემს წინ ისევ ქარიშხალია...
ჩემი სიმშვიდეც და მღელვარებაც
მხოლოდ და მხოლოდ შენი ბრალია!

## ოთარ მამფორია

### ნიბლია

თოვს და ქუჩაში გავედი,
ნიბლია ვნახე გარეთ.
მისი ლამაზი თვალები
მაგონებს მე შენს თვალებს.

ქარში ფიფქები მიჰქრიან,
შენ კი თვალებით ბრწყინავ,
შინ შევიყვანე ნიბლია,
გაუთოშია ყინვას.

მე შენზე ფიქრმა დამთოვა,
სად ხარ სუსხიან ღამეს,
ნიბლია სახლში დავტოვე,
მე გამოვვარდი გარეთ.

დაგეძებ, სად არ დაგეძებ,
შენ მენატრები როგორ!
ნიბლიასავით თოვაში
არ გამეყინო, გოგო!

## ოთარ ჭელიძე

## ათას ერთი ღამის წერილებიდან

### VIII

ცა როცა მემღვრევა შავ ზღვასავით
და როცა მეწყება განსაცდელი,
როდესაც შენს გარდა აღარსაით,
არასგზით აღარ მაქვს გასაქცევი,

ტკივილი ცოტა ხნით დამიამე.
შენს ჭერად მიიღე ჩემი ჭერი,
ძარღვებში სისხლივით დამიარე,
თვალებში შუქივით შეიჭერი.

•

შემივსე საგულე ცარიელი
და, ნიშნად ხელახლა დაბადების,
სიმხნევე მაღირსე წამიერი,
არა გთხოვ სიწმინდეს სამარემდის.

არა გთხოვ მეუღლის ერთგულებას,
ირწმუნე სათქმელი განდობილი,

მაღირსებ ოცნების შესრულებას?
ცოტასიც დავრჩები მადლობელი.

ჰო, მაგრამ მარტოდენ ბოდვებია
ჩემს შუბლში ძაფებად დაქსაქსული,
სხეულზე ცეცხლივით მომდებია
სიცოცხლის უშენო დასასრული.

და იწვის ბუხარში წუხანდელი
წერილი კუნძივით მობრიალე
სტრიქონებს ედება ჟრუანტელი:
მარტო ვარ, მომხედე, მომიარე!

ლურჯ კვამლად იერთებს საკვამური
ლიცლიცა ღამეებს, საღამოებს
და როგორც ვეება სალამური,
ოთახში აკვნესებს საგალობლებს.

ქარს მიაქვს ნაშთივით მწარე ბოლი
და შენკენ გადმოაქვს დაქსაქსული,
ვით გულის ჯიბიდან ვალიდოლი,
აბებად გულისკენ გადასული.

თავზე ცა მემღვრევა შავ ზღვასავით,
მეწყება უწყალო განსაცდელი,
გამიგე, შენს გარდა აღარსაით
არ მქონდა, არცა მაქვს გასაქცევი.

ტკივილი ცოტა ხნით დამიყუჩე,
შენს ჭერად მიიღე ჩემი ჭერი,
ხომ ხედავ, კუნძივით გავირუჯე,
ჰაერში კვამლივით შევიჭერი.

## XXII

ღამით გათანგული და გაბრუებული
გამოვალ უქუდო, ფაფარგაჩეჩილი,
ამეკვიატება რაღაც უნებური
ფიქრი და ვიცი, რომ არა ვარ შეშლილი.

ვიცი და ვაითუ ეს აკვიატება
სიცოცხლემოცარულ მხატვართა ხვედრია,
ვაითუ მოძველდა, რაც მედიადება
და გზები ხელახლა გადასახედია.

გადასაშლელია წერილი ყოველი,
გადათეთრებული, გამოუგზავნელი,
მომავალ ახალი წელივით მომელის
გარდაუვალობის გზა მოუსვლელი.

ამოსაგდებია გულიდან ხატება,
რომელიც მეგონა ვარამში მიხსნიდა,
ზედმეტი ტკივილი ამოიშანთება,
ამოიწრიტება ბალღამი სისხლიდან.

მაგრამ ჰო, როგორი ცოდვანი ვამხილე,
სად მოვინანიო ან რომელ საყდარში,
თუ ღმერთი არა მწამს და ხატიც დავხიე
და მინდა წიგნივით ჩაჯდომა სხვა ყდაში.

სიცოცხლეს ვენდობი სხვა თეთრონს, სხვა მერანს,
რომელიც ფიცხია და გასახედნია
და ღამეს მწვერვალზე შევძახებ მთვარიანს:
— შეხედე, რა კარგი გადასახედია!

* * *

გადასასინჯია ყოველი საათი,
უკუღმა წუთებად გადასათვლელია
და უღელტეხილი — ცხოვრების აღმართი
თავიდან, ხელახლა გადასასვლელია.

და როგორც ძეწნები ელიან გაზაფხულს,
როდის ჩაიცვამენ შეღებილ ტანსაცმელს,
ასევე დავუცდი სიბერის დასასრულს
და შენთან ხელახლა შეხვედრის განსაცდელს.

## სილოვან ნარიმანიძე

### გახსოვს ლისი?

გახსოვს ლისი?..
ქარი მისი,
ცისკიდურზე მზის ლიცლიცი,
სივრცეები, სივრცეები
ტყიანი და მარადისი.
სევდით სავსე გამოხედვა,
ჯავრი მოგყვა მაინც რისი?..
მაღალ გორზე საშრეკლო
და...
იმ გარდასულ დღეთა ღირსი.
გახსოვს ლისი?
ბერე ფიცი,
ფიცი, შენი მტკიცე ფიცი!..
გახსოვს ლისი?..
ქარი მისი,
სივრცეები მარადისი!..

## მიხეილ ქვლივიძე

* * *

ათას საზრუნავს აყოლილმა უგნურმა მგზავრმა
ჩემს უკანასკნელ მატარებელს ვერ მოგისწარი
და დავრჩი მარტო, ვით მინდორში მეცხვარის ცეცხლი,
და ახლა ისღა დარჩენია, გამვლელ-გამომვლელს
გავუნაწილო ჩემი გულის სითბო და შუქი...

## ბალადა სიყვარულისა

თვალებს გაახელს საფლავში მწოლი
და გვერდით აღარ დახვდება ცოლი.

ხელსა ჰკრავს კუბოს გაბზარულ ფიცარს
და როგორც საბანს, გადიძრობს მიწას.

წავა და ცოლის ნაკვალევს ეძებს
ყველას ხსოვნაში და ყველა გზებზე.

და ფიქრობს: „ღმერთო! საით წასულა?
რას ნიშნავს, ნეტავ, ეს დაშორება?..“

და ეძებს იმას, ვის სიყვარულსაც
არ ეყო მისი ერთი ცხოვრება.

## ცოლს

ჩემო კარგო და ჩემზე ჭკვიანო,
შენ შეგიძლია იეჭვიანო:
მე გაძლევ ამის საკმაო საბაბს —
მეოცნებე და სახით ვნებული,
ასე უზომოდ
და ასე ხარბად
მთელ ქვეყანაზე შეყვარებული!

## ფრიდონ ხალვაში

### რატომ არ მოდიოდი

(სიმღერა)

რატომ არ მოდიოდი,
სხვასთან რატომ გაჩერდი?!
გული როგორ მტკიოდა! —
მარტო შენ მომარჩენდი.

ისევ ისე მომინდი,
ვუსმენ მტირალ კლავიშებს,
ერთხელ რომ გიპოვიდე,
მერე აღარ გაგიშვებ.

ცის ატლასებს გაგიშლი,
დაგსვამ ღრუბლის ბალიშზე.
სულსაც აღარ დაგიშლი,
სულაც არსად გაგიშვებ.

რატომ არ მოდიოდი,
სხვასთან რატომ გაჩერდი?!..
გული როგორ მტკიოდა! —
მარტო შენ მომარჩენდი!..

ნოდარ გურეშიძე

## ნაცნობი დუმილი

რეკავს ტელეფონი,
ავიღე ყურმილი,
— ალო!
მე გისმენთ! —
პასუხი არ არის...
ძვირფასო, ვიცანი
მე შენი დუმილი.
შენგვარი დუმილი
არ იცის არავინ.
კვლავ რეკს ტელეფონი,
— ალო!
მე გისმენთ! —
ალო!
მე გისმენთ! —
ჩავძახი გარკვევით...
ძვირფასო,
ძვირფასო,
შენ დუმხარ ისევ
და ამით ყველაფერს
მელაპარაკები.

## არჩილ სულაკაური

### ძველებური სიმღერა

მე განა გიხმე,
მხოლოდ გინატრე,
შენ ჩემი ბედის ხარ მობინადრე.
ისევ შენ,
ჩემო თვალის სინათლევ,
ისევ შენ
ორთავ თვალის სინათლევ!

რა კარგი დღე ხარ მზემომფინარი,
სიყრმისა ჩემის დიდო ალაფო,
შენ ისე მავსებ,
როგორც მდინარე
გაზაფხულობით ავსებს კალაპოტს.
შემომეშველე,
როგორც მშველოდი
და მომაშუქე შუქი ნათელი,
შენით,
შენ გამო
და უშენობით
გარდამხდა ყველა გარდასახდელი.

მე განა გიხმე,
მხოლოდ გინატრე,
შენ ჩემი ბედის ხარ მობინადრე.
ისევ შენ,
ჩემო თვალის სინათლევ,
ისევ შენ,
ორთავ თვალის სინათლევ!

* * *

როდის — არ ვიცი,
ადრე თუ გვიან,
მაგრამ ოდესმე იქნება, ვიცი,
დაგრჩება გულის ყარები ღია
და ჩაგაფიქრებს ტკივილი: რისთვის?

რისთვის ან ვისთვის ხარჯავდი ღიმილს,
წმინდა სხეული ვის დაანებე?
მოვა,
დარეკავს წვეთები წვიმის
და წაიშლება ღიმი თვალებზე.

ღირდა თუ არა იგი რაიმედ,
ვისაც კარივით გაუღე გული?
მოვა,
დარეკავს წვიმა, ვაიმე,
და გაგეხსნება ვარდივით წყლული.

როდის — არ ვიცი,
ადრე თუ გვიან,
მაგრამ ოდესმე იქნება ვიცი,
დაგრჩება გულის კარები ღია,
როგორც ოდესღაც დატოვე სხვისი.

* * *

არა იმიტომ, რომ მომენატრე,
რომ შენ ხარ ჩემი მყუდრო სადგური,
მე დავისვენებ შენს დიდ ნაპირზე,
როგორც ფრინველი ფრენით დაღლილი
გემის ანძაზე ისვენებს ხოლმე.

მე დავფრინდები შენს დიდ ნაპირზე,
რომ დავასვენო დაღლილი ფრთები,
მოვითქვა სული და მერე ისევ
ატორტმანებულ სივრცეებს იქით
გამოჩნდეს უფრო დიდი ნაპირი,
სადაც მზე არის და ბურუსები
ვარდისფერია და გამჭვირვალე.

მე დავფრინდები შენს დიდ ნაპირზე...

გექნება ჩემთვის წყალი და ხემსი
და მყუდრო ჩრდილი?..

## ოთხივე მხრიდან

შენ მთაზე უნდა იდგე ჯვარივით,
ოთხივე მხრიდან რომ დაგინახო
და მოგეახლო ოთხივე მხრიდან.

ოთხივე მხრიდან რომ გამაშტერო
შენი სიმდიდრით და სილამაზით,
შენ უნდა მთაზე იდგე ჯვარივით.
ოთხივე მხრიდან რომ დავიჯერო
შენი სიმაღლე,
შენი სიმართლე,
შენი სიმდიდრე,
შენი მშვენება,
შენ უნდა იდგე მთაზე ჯვარივით.

ოთხივე მხრიდან რომ მოგეახლო,
ვილოცო შენთვის ოთხივე მხრიდან, —
შენ უნდა მთაზე ჯვარივით იდგე,
შენ მთაზე უნდა იდგე ჯვარივით!..

## ᲨᲝᲗᲐ ᲩᲐᲜᲗᲚᲐᲫᲔ

* * *

მახსოვს, იგრძენი ხეივანი, მთვარის დუმილი
და სიყვარული შემომფიცე ღიმილით მერე,
მე დაგიჯერე, რადგან არის ქვეყნად ტყუილი,
რომელიც გინდა დაიჯერო და დაიჯერებ.

და აი, ახლა, როს უმთვარო ღამეს მინათებ,
შენ გაიღიმე და ის ფიცი უარყავ მერე,
არ  დაგიჯერე, რადგან არის ქვეყნად სიმართლე,
რომელიც გინდა არ გჯეროდეს და არ იჯერებ.

## ᲖᲘᲕᲘ ᲫᲜᲔᲚᲐᲫᲔ

* * *

ერთი ქუჩის
ერთ კუთხეში
ერთხელ
ერთმა ქალმა
მადლიანად შემომხედა,
გამიღიმა სალმად;

იმისთანა
ღიმის ფერი
არ მინახავს
სხვა მე...
იმ ქუჩაზე
იმის მერე
არ ყოფილა
ღამე...

* * *

მეხუთე დღეა
ამდენ ხალხში დაგეძებ ისე —
ვითა პეპელას
ყვავილებში დაეძებს ბავშვი...
და როცა შენს მსგავსს
უცაბედად თვალს მოვკრავ ვისმეს, —
ცეცხლივით
ცხელი
ჟრუანტელი
დამივლის
ტანში...

... ამქვეყნად ჩემთვის
შენ ერთი ხარ
ათასი ერთად!..
მე გულში ვყვირი
შენს სახელს და
ხმა ადის ცამდე...
ო, რომ იცოდე
როგორ მინდა
შეხვედრა შენთან —
გამოხვიდოდი,
შემხვდებოდი ქუჩაში სადმე!..

## თეიმურაზ ჯანგულაშვილი

### სად არის ჩემი სიყვარული

(რკალიდან „ჯეონი“)

მოლოდინით დაქანცული
ცხრა ქალწული მღერის:
— გული, სევდით დაკაწრული,
გელოდება, გელის...
შენ ხარ ჩემი საგანძური! —
ცხრა ქალწული მღერის.

— შენი ბორგვა მოჰგავს, გულო,
მწუხრის ზართა რეკვას,
კანდელივით ანთებულო,
წყალი გადამლეკავს...
სად ხარ, ჩემო სიყვარულო?!. —
ცხრა ქალწული მღერის..

ნახშირივით შავი ხალი
აკრთობს ბინდის ბურანს
და თვალების ნაკვერჩხალი

ნავლს ვერ წაუბურავს,
წითელ ხავერდს ასდის ალი,
ცხრა კოცონი ბრუნავს,

ალი ლამის წარბებს მისწვდა —
ფრთადაკეცილ მერცხლებს,
არ აფრინდნენ!
ვკრთი და ფიცხად
თვალი გაჰყრის ცეცხლებს,
რვა კოცონი წუთით მიცხრა,
აბობოქრდა მეცხრე.

რარიგ ბორგავს, რარიგ ღვივის
იღველფება რარიგ
ზულეიფა —მათრახივით
მოქნეული ქალი,
ზულეიფა — მართლაც სხივი,
კალმახი თუ ქარი.

ეგ შავ-შავი ნაწნავები —
სახრჩობელა ჩემი,
ეგ თვალები — ვარსკვლავები,
ნაპერწკლების მჩენი,
ისე მწვავენ მტანჯავები,
ვეღარ გადავრჩები.

და წუთები იჩქარიან,
რისთვის, რატომ ნეტავ?

ვხედავ, ეს დროც მთის წყალია,
გარბის... რატომ ნეტავ?
თუ სიცოცხლე სიზმარია,
შენ რაღა ხარ ნეტავ?

ჩემი გული, ქარდაკრული,
ჰგავს უდაბნოს ყვავილს,
გამფრენია გაზაფხული
მზის და შუქის ხვავით...
სად ხარ, ჩემო სიყვარულო? —
უდაბნოში ვბღავი.

ამ სიცოცხლის საგანძური
დამრჩი უპოვნელი,
გული, სევდით დაკაწრული,
სიკვდილამდე გელის!
... მოლოდინით დაქანცული
ცხრა ქალწული მღერის.

## ნაზი კილასონია

### ნუკრია

რაზე ჩურჩულებთ ვერხვები,
ასე თეთრები, კარგები...
განა არასდროს შევხვდებით?
განა სულ დავიკარგებით?

შენკენ რომ მოუხაროდა,
ის გული არ ჩაუქრიათ,
ჯერ ისევ გიცდის წყაროსთან
ატირებული ნუკრია.

გუშინ სიცილი ასწავლე,
დღეს მარტო შერჩა არყიანს,
და შენს ნაფერებ წამწამზე
აპრილის ცრემლი აყრია...

შენი თვალები სად არის —
ორი უძირო ნაპრალი,
მათ შემაყვარეს ზღაპარი,
ძველი, ლამაზი ზღაპარი.

ახლაც შენს კართან მოვედი,
ნეტავი წყარომ დამფაროს,
ჩემი პატარა ცხოვრების
აუხდენელო ზღაპარო.

## უსათაუროები

*

წავალ, დავეცემი მინდორთან
დაღლილი ლექსით და წვითა,
განა სიყვარული მინდოდა?
სხვა რაღაც, უფრო წმინდა...

*

ვაი, რა ცუდად გიცვნივარ,
რა ტყვილად გდებდი იმედებს.
მე ათი გულის ღირსი ვარ,
შენ ერთიც ვერ გაიმეტე.

*

შენი თვალების დაღლილი ეშხი
თან გამყვა, როგორც ლურჯი ღიღილო,
მე მხოლოდ ბავშვი მიყვარდა შენში,
და აღარ მინდა კაცად გიხილო.

*

მივდივარ,
მომდევს მტკვარი სატივე,
და ანთებული ზეცა ხომლებით.
გული გატკინე და მაპატიე, —
ტკივილით უფრო გემახსოვრები.

*

მინდა მახსოვდე ყველგან, ყველა დროს,
შენზე ოცნება მინდა ურიცხვი,
ვერ შეგიყვარე მაინც ვერასდროს,
ვერ გაგიმეტე სიყვარულისთვის.

*

რად ჩამრჩა ხსოვნაში ისევე
სხვა ფერით, სხვა იდუმალებით:
ბავშვურად გაწვდილი კისერი
და შველის დაღლილი თვალები.

*

შენ ისე კარგი ხარ: სხვისთვის მენანები,
ნათელი ოცნება ღრუბელმა შენისლა...
აღარ შემიყვარდე: დახუჭე თვალები
კაცისა კი არა — დამფრთხალი შველისა.

ნანა ღვინეფაძე

## ახალი ალთქმა

ცოტა შენი ბრალია,
ცოტაც მე  ვარ ბრალში!
გაზაფხულიც უეცრად
ამომიდგა მხარში.

თითქოს ჩაგიხედია
ამეთვისტოს თვალში, —
ისე გამომარჩიე
ათიათას ქალში!

გაზაფხულო,
ღმერთმანი,
არ დაგრჩები ვალში!
ცოტა მისი ბრალია,
ცოტაც მე ვარ ბრალში...

## ზ ე დ ა შ ე

გამობმული ხარ ჩემს სურვილებზე
გიშრის თმებითა და ოქროს ძაფით,
ამაღლებული, დამშვენებული,
ჩვენი ზიარი მაისის ძალით.

ჩანს, ჩვენი გზები მაინც იყრება,
ოცნება რჩება სადღაც, ზეცაში...
დაღვინებული ჩემი გრძნობები
მეგულებოდეს, როგორც ზედაშე...

ღმერთმა გატაროს მუდამ სვიანად,
შენი სავალი მოქარგოს მზითა!
მე გავთხოვდები სადმე გადაღმა
და შენს  სიყვარულს წავიღებ მზითვად!..

## მუხრან მაჭავარიანი

### უნდა იცოდე!

შენ რომ ქუჩაში ვაჟი  გხვდება —
ყოველდღე თითქმის;
ხან მოწყენილი,
ხან მხიარული...

ვაჟი —
სიმაღლით
შენზე ერთი მტკაველით დიდი, —
მძიმე ნაბიჯით მოსიარულე, —
ის როცა ფიქრობს, —
შენ ხარ ხოლმე იმისი ფიქრი.

ღიმილი შენი
არ გეგონოს შენ მარტო შენი.
ცრემლსაც ნუ ჩასთვლი
ნურასოდეს
შენ მარტო შენად.
ღმერთმა ნუ ჰქნას და...

შენ რომ იყო გადასარჩენი, —
თავს არ დაზოგავს
ის ვაჟი შენს გადასარჩენად.

შენ რომ ქუჩაში ვაჟი გხვდება —
ყოველდღე თითქმის;
ხან მოწყენილი,
ხან მხიარული...
ვაჟი —
სიმაღლით
შენზე ერთი მტკაველით დიდი,
მძიმე ნაბიჯით მოსიარულე, —
შენი ერთგული კაცია იგი! —

## ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა

ქალიშვილმა, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა, —
მე გული მთხოვა ერთ საღამოს იმ ქალიშვილმა.

... და მე დილამდე ქუჩებში ვიარე...
შინ რომ მოვედი — გულაღმა დავწექ, —
ხელები თავქვეშ ამოვილაგე.

ქალიშვილმა, რომელსაც უყვარს ბალახი და წვიმა,
მე ყველაფერი შემაყვარა იმ ქალიშვილმა.

* * *

როს გაგაცილე...
როს გაგაცილე...
ოდეს სურნელი ჰქროდა მინდვრიდან, —
რა ყურადღებით უსმენდა ფრინველთ
სამყურა მინდვრის, —
ლორთქო,
ყურცქვიტა...

როს გაგაცილე...
როს გაგაცილე...
ოდეს სურნელი ჰქროდა მინდვრიდან,
შევნიშნე,
ვიგრძენ:
დედამიწასთან
მზეს განშორება რარიგ უმძიმდა.

* * *

შენი სიცოცხლე, შენი ნაბიჯი
მე შემაყვარა შენმა სარკმელმა.
მე მიხარია, — შენ რომ არსებობ!
ვისი ხარ, —
ეს რა ჩემი საქმეა!
შენით თენდება, შენით ღამდება,
შენი ვარ, შენთან მინდა ხელახლა!

შენა ხარ —
რაც მე გამეხარდება,
რაც მეწყინება —
ისიც შენა ხარ!

* * *

ვარ ცხრა მთას იქით.
მდუმარება მძვინვარებს ირგვლივ.

თბილისში ახლა საღამოა.
შინ არის იგი.

აი:
მან უცებ დაიწვრილა თვალები ფართო, —
უსიამოვნოდ განირიდა თამბაქოს ბოლი...

არ ვტოვებ მარტო, —
თუ მე იგი
არ მტოვებს მარტო, —
არ ვიცი.
ვიცი:
ვარ მარტო და...
ვართ მაინც ორნი.

## შოთა ნიშნიანიძე

* * *

ისეთი ვინმე რომ შემხვდებოდეს —
გამიღვიძებდეს წამით იმედებს,
ჩემი ცხოვრების შემოდგომამდე
ერთ აპრილს მაინც წამიკიდებდეს,

მასულელებდეს, მიბნევდეს თავგზას
მისი თვალების ჩუმი ბრძანება,
გოშიასავით ატეხდეს წკავწკავს
ჩემი ლომური ამპარტავნება,

არ დავირცხვენდი, გითხრათ სიმართლე,
არა და არა, არ დავირცხვენდი, —
ოღონდ მიყვარდეს,
მართლა მიყვარდეს
გახელებამდის...
თავდავიწყებით...

ოღონდაც, ღმერთო, გარდასულ ყრმობის
ისევ მარგუნე უცხო თრიაქი,
ის ღვთაებრივი მაცდური თრობა,
შიში, ცახცახი და ფორიაქი...

## ამურთან გამოთხოვება

ჩემს პატარა ბიჭობაში წლები მახსოვს დიდებული,
ერთი მეგობარი მყავდა სამტროდ გადაკიდებული.
მხრებზე სცემდა კულულები,
როგორც ოქროს ბულულები,
პაწაწინა სალამურში დაემწყვდია ბულბულები.

წისქვილებში დაძვრებოდა, ქორწილებში ათენებდა,
თვალებში და ნაწნავებში  თრთოდა ციცინათელებად.

პაწაწინა ფრთები ჰქონდა, მშვილდ-ისარიც პაწია,
ტანი ისრით დამიცხრილა, სალამურად  მაქცია.

ზოგს ჭრილობა დაუწყლულა, ზოგს მანანით მობანა,
ზოგს შორიდან ეთამაშა კუკუ-დამალობანა.

თუ ისარი სადმე მინდვრად მოადენდა სხეპას, —
ქვა ყვავილად  იქცეოდა, ყვავილი კი პეპლად.

დაფრინავდა ისრის კონით — ღვთაებრივი ფიჩხით,
კაფანდარა, ტიტლიკანა, ონავარი ბიჭი.

მოდი კიდევ გამაბრუე შენი ფრთების შხუილით,
თუნდაც მხოლოდ დაპირებით, თუნდაც მხოლოდ ტყუილით.

ერთხელ კიდევ შემასწარი მაგ ღვთაებრივ ზუზუნს,
ერთხელ კიდევ დამასიზმრე ამორძალის ძუძუ.

რა იქნება, ეგ ისარი ერთხელ კიდევ სინჯო,
შე ცუღლუტო, შე ვერაგო, საძაგელო ბიჭო.

* * *

აღარ მაძინებდა მზერა ალმაცერი,
ხალიანი ტუჩი... მკლავი ანაცერი...

მზის და ცხელი ქვიშის ვნებით ატკეცილი
ტალღებს მიაპობდა ტანი კალმახური.
თვალებს ჩავკიდებდი წყალში ანკესივით
და შინ ვბრუნდებოდი, როგორც გალახული...

თითქო შენს სხეულში მზეა მომწყვდეული
ანდა კანში სკდება მწიფე ბროწეული...

ზღვა ღელავდა... თრთოდა... ტალღებს შლიდა მწვანედ,
გახველ ნაპირზე და ღელვაც გაიტანე.

განა ბევრი მინდა... ჰოი, დავიქანცე,
ბევრი თეთრი ღამე ზღვასთან გადავფურცლე,
მოვიდოდი მხოლოდ და შენს აცრილ მკლავზე
თითებს დავაწყობდი, როგორც სალამურზე...

ზურაბ კუხიანიძე

## პეპელა

(სიმღერა)

დაჯექ, დაჯექ, პეპელავ,
მოფრენილო ველიდან,
ნუთუ არ დაიღალე
დღეს ამდენი ფრენითა.

ყვავილები ჩემს ბაღში
ჰყვავის ნაირფერები.
შენ გგონია, ფრთებს გატკენ? —
არა, მოგეფერები!

ნუ გამირბი, ლამაზო,
ყვავილებზე ქროლიავ...
ჩემი ტკბილი სიმღერა
ქარის ხმა ნუ გგონია.

დაჯექ, დაჯექ, ყვავილებს
სულ რომ თავზე ევლები.
შენ გგონია, ფრთებს გატკენ?
არა, მოგეფერები!

## მორის ფოცხიშვილი

# გახსენება

„როცა ვიტყვი „ი“,
მაშინ გამო... დი!“
ბ ა ლ ღ უ რ ი

თითქოს გუშინ დასრულდა
შინ და გარეთ, შინ,
ჭრელკაბიან ასულთან
თა... მა.... ში...

„ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი.... და...“
დღენი სიყმაწვილისა
გა....ვი... და...

მოველ შენს ფანჯარასთან
და ვდუდუნებ „ი“, —
შენ კი, შენ კი, არა და
არ გა....მოხვე...დი.

როგორ დაგვიწყებია
„ენკი, ბენკის“ ხმა,
რა ხანია, გძებნი და
ვერ მი... პოვი...ხარ...

მოდი, მოდი, დამბუგე,
მოდი, როგორც გსურს,
თორემ ვინ რას გაუგებს
გაგი...ჟებულ გულს...

„ენკი, ბენკი, სიკლისა.
ენკი, ბენკი, და...“
არა სთქვან: სიჭაბუკეც
გა...ვი...და...

## ვინც ამ გოგოს გააცინებს

შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინც მისწვდება, — მისია.
ვინც ამ გოგოს გააცინებს,
გოგოს გული მისია...
ეს ცხოვრება ასე არი,
ის ცხოვრება ისეა.
— ეს მანდილი ვისი არის?
— ეს ჩონგური ვისია?
— ეს ხომ ჩემი დისი არი!
— ეს ხომ ჩემი ძმისია!

ვკისკისებდით მალხაზები,
დარდი გვქონდა რისია?!
თურმე დასასრული იყო,
მე ვთქვი, — დასაწყისია.

როგორ გაჰქრა სიყმაწვილე,
ველარ ამომიხსნია.
შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინ გაიგოს ვისია?
ბაღში გოგო დაგოგომანებს,
გოგოა თუ ნისლია?!

ვინც გაიგებს, ვინც დაიჭერს,
ვინც აკოცებს, — მისია.
ეს ცხოვრება ასე არი,
ის ცხოვრება ისეა!

* * *

მე ის პატარა ნაკადული ვარ,
შენ რომ ამღვრევ და ასე ათრთოლებ,
შენ რომ ცრემლები წყალს გააყოლე,
მე ის პატარა ნაკადული ვარ!

მე ის პატარა სიყვარული ვარ,
რატომღაც შენ რომ აღარ ახსენებ,
შენ რომ არასდროს არ მოგასვენებს,
მე ის პატარა სიყვარული ვარ!

## მედეა კახიძე

### ვისაც სიყვარული შეუძლია

იმ ქალს,
იმ ბერიკაცს გაუმარჯოს,
ვისი ცხოვრების გზაც შვეულია,
ვისაც არასოდეს გაუმართლდა,
მაინც სიხარული შეუძლია.

ვისაც იმედები პურად ყოფნის,
ვინც მთელ ქვეყანაზე ეულია,
ვისაც, სიყვარულით უარყოფილს,
სხვისი სიყვარული შეუძლია.

იმ ქალს,
იმ ბერიკაცს გაუმარჯოს,
ვისი სიმღერებიც მწუხარეა,
ვისაც სიხარული გაუავდრდა,
სხვისი გაღიმება უხარია.

ვისაც შეუძლია ატირება,
მზით და სიკეთით ძლეულია,
დიდი შეცოდების პატიება
ვისაც დიდსულოვნად შეუძლია.

ვისაც უხარია ყველაფერი —
ტყეები თუ ველებია,
ვინც ჩვენი მამულის ფერად ფერებს
ვერა და ვერაფრით შელევია.

ვისაც არასოდეს გაუავდრდა,
მაინც იმედებით გრძნეულია,
ეს იმ ადამიანს გაუმარჯოს,
ვისაც სიყვარული შეუძლია!

•

## მე როცა ვუყვარვარ ვისმე

მე როცა ვაღმერთებ ვისმე,
ვარ ბედნიერი და ხალასი;
მიწიდან უენო ბალახის
ხმამაღალ ლაპარაკს ვისმენ,
შევცინი ცასა და ქვეყანას,
მე როცა ვაღმერთებ ვისმე.

მე როცა ვუყვარვარ ვისმე,
ვმაღლდები, ვით ცაში სამრეკლო;
მსურს ცისკრის ზარებად დამრეკონ,
ვიცინი ისევ და ისევ.
ვუღიმი გამვლელს და გამომვლელს,
მე როცა ვუყვარვარ ვისმე.

მე თავი მგონია მაშინ
ყველა ტკივილების მომრევი,
ვარ დიდი სიმღერის მორევი,
ვარ ენატიკტიკა ბავშვი
და ყველა ლამაზი სიმღერა
მე ჩემი მგონია მაშინ.

## ნოდარ ნარსია

### რა გოგო იყო....

ტრამვაის ხაზთან იდგა გოგონა,
ყელამართული და სხივმოსილი...
მე გაზაფხულის სუნთქვა მეგონა,
რა გოგო იყო ის დალოცვილი.
მხრებზე ნაწნავი ისე ეყარა,
მელანდებოდა შორი ქორწილი...
მისთვის მინდოდა ცა და ქვეყანა,
რა გოგო იყო ის დალოცვილი!
ბაგეს ღიმილი ისე ასხლიტა,
ალბათ, ვეგონე, ვიღაც მოცლილი,
განთიადს ჰგავდა სილამაზითა,
რა გოგო იყო... ის დალოცვილი,
ელვა-ღიმილი მიძღვნა წამითა,
ერთი მოხედვა მაინც ინება...
და მერე...
ისე უცებ წავიდა,
როგორც მდინარე მიედინება.
ინისლებოდნენ ლიანდაგები,

ქალაქი ჩემთვის გახდა ტრამალი...
მივაცილებდი წყლიან თვალებით
და მაფრთხილებდა ზარი ტრამვაის.
იმ წუთში არვინ აღარ მახსოვდა.
მასზე ფიქრებს კი ვერ ვიშორებდი...
გამომაფხიზლა ვიღაც ნაცნობმა
და დამახვია ქვეყნის ჭორები.
გავეპასუხე,
უცებ მოვცილდი,
არავის ნახვა აღარ მეწადა,
რა გოგო იყო ის დალოცვილი,
რა უცნაურად გამომეცხადა.
... წყვილი ნაწნავი მხრებზე ეყარა,
და ჩახჩახებდა, როგორც ქორწილი...
მისთვის მინდოდა ცა და ქვეყანა,
რა გოგო იყო... ის დალოცვილი!

## ჯანსულ ჩარკვიანი

### კანარის ჩიტი

პაწაწინა დარდო,
ჩვენ ოთახში სამნი ვართ,
დღეც ლამაზი გამოდგა...
ჩემს პატარა ფართობს,
ჩემს პატარა აივანს
ართობს შენი გალობა.

შენ არავინ არ გგავს,
შენ ისეთი მშვიდი ხარ,
სიწყნარე მიწყალობე.
გაგიშვებდი, მაგრამ
შენ გალიის ჩიტი ხარ,
სხვაგან ვერ იგალობებ!

## პატარა გოგო დამეკარგა...

ვისა წყარო ემატება,
ანდა ვისთან იარება,
მისი ნახვა მენატრება,
მისი კოვზით ზიარება.
სვამს და მაინც ვერა თვრება —
შარბათსა სვამს ფუფუნების,
მისი კოცნა მენატრება,
მისი მკერდის ბულბულები.
ანთებულან კელაპტრებად
ცხრაკლიტულში ვარსკვლავები,
ახლოს მისვლა მენატრება,
არც კიბე აქვს, არც კარები.
ღრუბელ-ღრუბელ ვარონინე
ოაბორი და თამარისი,
ვინც მე იმას მაპოვნინებს,
ჩემი სული ალალმისი.

## მზის ჩასვლისას

თვალში გედგა ფერი ბალატონის,
შენ, პეტეფის სტრიქონების ტოლ
შენი ხმა და შენი ტმაპოლა,
შენი ვილლა, მადიართა ტონი.

იმ — ლურჯთვალა ბალატონის ტბაში
ვერ ტკბებოდა თვალი შენი მზერით,
ცეცხლი გენთო თვალებში და ტანში
და ცურავდი მზეზე უფრო ზევით.
ტალღას ჰქონდა შენი თმების სუნი,
ირწეოდა ლურჯი ბალატონი.
ჩემს თვალებში ჩაპნეული სილა,
შენს მკლავებზე თეთრი ტალღის თოვლი.
გაფრენილი იყავ თეთრი ქორი,
ლამაზ ტალღებს ჰქონდა შენი ვალი,
მიცურავდი მზეზე უფრო შორეთს
და მე მოვკვდი გახელილი თვალით.

* * *

მე რომ პატარა ბილიკს შევნატრი,
ჩარიგებულან თეთრი ბჟოლები,
რა ახლო  გზაა, კარგო, შენამდი
და მაინც ასე რად გეშორები.

შემომირბენდე ლურჯი ყანებით,
შემომირბენდე, როგორც სტუმარი,
მომნატრებია შენი მკლავები —
ჩემი პატარა თავსასთუმალი.

მომნატრებია შენი სითეთრე,
მთელი სიტკბო და მთელი წვალება,
თვალები წყნარი, როგორც სიკეთე,
და უეცარი ფერისცვალება.

მე რომ პატარა ბილიკს შევნატრი,
ჩარიგებულან თეთრი ბჟოლები.
რა ახლო გზაა, კარგო, შენამდი
და მაინც ასე რად გეშორები.

## ბეთანია

ბეთანია—სახლი სათნოებისა და სახლი
მორჩილებისა და სახლი დიდებისა.
ს ა ბ ა

შენ არ გინახავს ჩემი ხელები,
ჩემი თვალები და ჩემი მხრები —
გადარეული თეთრი ცხენებით
და შორეული ზარების ხმებით.
შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,
თეთრი ქარებით როგორ ივსება
დღეები, ლურჯი ქრისტეს ტანივით.
შენ არ გინახავს ფრესკის სიშორე,
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,

მირონის სურნელს როგორ იშრობენ
ჩემი სხეულის ძველი კედლები.
შენ არ გინახავს, მოდი და მნახე,
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია!..
სათნოებისა ვარ შენი სახლი,
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,
შენი სხეულის ვარ ბეთანია!..

## თამაზ ჭილაძე

* * *

სულ ერთმა ჭიქამ, სულ ერთმა ჭიქამ
დამათრო ასე და მომაგონდი.
აღარსად ჩანდი, აღარსად იყავ...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე.

მერე რამდენი შენ მიგამსგავსე
რხევით,
ღიმილით,
ხმით და სიცილით!
მომინდა უცებ შენი სიცივეც...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე.

რა იყო მაინც ის ერთი ჭიქა —
ოქტომბრით სავსე და შენით სავსე.
აღარსად ჩანდი,
აღარსად იყავ...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე.

* * *

მაინც მახსოვხარ იმ ჟრიამულით,
იმ ყვავილებით და იმ აპრილით,
თამამი, ყალბი და მხიარული,
როგორც პატარა ცირკში — საყვირი.

მატარებელი მიდის და ბნელში
დაეძებს გზებს და ხეობებს ღიას
და ფანჯრებივით განათებული
ჩემი უშენოდ ცხოვრება მიაქვს.

* * *

აი, ხომ ხედავ, გავიდნენ წლები
და მაინც შენი ერთგული დავრჩი,
ერთგული სულის და არა ვნების,
ქალის კი არა — უმწეო ბავშვის.

და არა ტანჯვით, არამედ შვებით
ისევ დაგეძებ, ისევ, ვით მაშინ
და შენი თეთრი, ამაყი მხრები
კვლავ განთიადი მგონია ქარში.

* * *

ცოტახანს კიდევ... ცოტახანს კიდევ..
ცოტახანს კიდევ და... გათავდება,
გულზე ცეცხლივით წამეკიდება
შენი ღიმილი და გათავდება.

ადრე თენდება, ადრე ღამდება,
აჩქარებულა ჩემი ცხოვრება,
პატარა რამე გამიხარდება
და სიკვდილამდე მემახსოვრება.

შევალ შენს სულში — თოვლის ბუდეში,
მის ცივ კედლებზე ჩამომსხვრეული,
და იფარფატებს შიგ უნუგეშოდ
ვეება ჩრდილი ჩემი სხეულის.

ცოტახანს კიდევ... ცოტახანს კიდევ...
ცოტახანს კიდევ და... გათავდება,
გულზე ცეცხლივით წამეკიდება
შენი ღიმილი და გათავდება.

და გათავდება ის, რაც წაგართვი,
რითაც ჩემს ყოფას სიცოცხლე ჰქვია...
ასე თავდება ბნელში ასანთი,
ალყაში — პური და ომში — ტყვია.

## ანზორ აბულაშვილი

* * *

ბოლოს ხომ უნდა მენახე სადმე,
ხომ შემხვედროდი უნდა ერთხელაც,
ვლაპარაკობდი ხმამაღლა განგებ,
რომ გაგეგონა და მოგეხედა.

იყო ორივე — სიცივეც, ცეცხლიც,
მიხვედრაცა და ამღვრევაც თითქოს,
ძალიან ვიწრო კაბის სიმორცხვე,
შემკრთალი მზერის უცები სითბო...

მერე, როგორც დღე იზრდება ნელა,
როგორც იზრდება შიში ღამეში,
ისე მოდიდდა ხმებად, ფერებად,
შენ ჩემს სმენაში, სულში, თვალებში.

ალამაზებდა ხატება შენი —
ქალაქს, გამზირებს, სახლსა თუ სართულს,
ვგრძნობდი მე ყოველ მშვენიერ ფერით
სულში შენს თბილ და უცნაურ ფათურს.

შენი ხმით რეკდა დუმილი ჩემში,
ხოლო ქუჩები ათასგვარ ხმებით
იმეორებდნენ შენს სახელს ჟინით
და მემსხვრეოდა თანდათან ფრთები...

მე გამოგძერწე ასე, ამგვარად
და ბოლოს თვითონ ვიგრძენი რიდი,
ბოლოს უმწეოდ შევდექი, რადგან
შენ იყავ სხვა და შენ იყავ დიდი.

მე მხატვარივით ვიდექი წლობით
შენი ლანდის წინ — ათასი ფერით,
მე შევქმენ შენგან, მე ვინაც მსურდა
და მას დავარქვი სახელი შენი.

და ბოლოს, უხმოდ წავედი მართლაც,
სრულიად უხმოდ, ისე ვით ნისლი,
შენ გაგეცალე ერთხელაც, რადგან
დავჩნდი მტვრად ფეხის, რაც შევქმენ — მისი.

## თამარ ერისთავი

* * *

მე ჯერაც შენი ღიმილის შუქით
და შენი გულის შინასკნელიდან ნათლის ჭიატით
აგებულ კოშკში მიდევს ბინა
    და ქონგურებზე მიდგას მზვერავი,
რათა საუფლო შენი სულის
    ხელყოს ვერავინ.

## თუშეთის ლღიურიდან

წამოდი ჩემთან,
    ჩემს ოცნებას იქ განდობ მარტო,
სადაც გაბმული ფერხულია
        ჟოლოს ბარდების,
სადაც მთის წყარო
    მთის წყაროსთან შეხვედრას ნატრობს
და ჰკლავს სურვილი
        გულისსწორთან განავარდების;

იქ, სადაც ჰაერს
        მავთულები ჯერ არ სერავენ,
ქვაფენილები არ ზღუდავენ
        გზების სიგანეს,
იქ, სადაც ჩვენ ხმას
        ყვავილების გარდა ვერავინ
ვერ გაიგონებს.

ანზორ სალუქვაძე

## ი ა ს ა მ ა ნ ი

გული ამიმღერდა ცისფერ სავანეში,
ასეთ სილამაზეს მივესალმები.
ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
თუ არ ჩამატანეთ იასამნები!

მჯერა, — ბევრი დამრჩა კიდევ სავალი,
გზებზე ყვავილებით სავსე კორდებია,
ქალივით ჩურჩულებს იასამანი,
თითქოს სიყვარულის ცეცხლი მოსდებია.

ნიავი, მაისი, ბაღში, სავანეში...
ასეთ მაისებში გზაა სავალი!
ო, რა სევდიანი ჩავალ სამარეში,
თუ არ ჩამატანეთ იასამანი!

ოთარ შალამბერიძე

## თურმე საკუთარ თავს ვატყუებდი

მე მახსოვს ლურჯი ტბის ელეგია
შენს ღრმა თვალებში გადაწერილი.
არ ჰგავდი ტოლებს ჩიტირეკიებს,
იყავი წყნარი და დარცხვენილი.

და ეხებოდა ღამის სიჩუმე
შენს რბილ წამწამებს,
  შენს ლამაზ კისერს,
როცა პირველად შენს წინ ვიცრუე, —
მიყვარხარ-მეთქი, ისევ და ისევ.

მერე — გაფრინდნენ გაზაფხულები...
ახლა — ვნანობ და ნაღველი მიპყრობს;
თურმე საკუთარ თავს ვატყუებდი,
თურმე ნამდვილად მიყვარდი იმ დროს.

## შენ მეუბნები

შენ მეუბნები, — გავცივდი თითქოს,
აღარ მიმიგავს ღიმილი მაისს;
მზე ხომ არა ვარ, დავხარჯო სითბო
და არასოდეს გავცივდე მაინც.

## ვახტანგ ჯავახაძე

* * *

ტრიალებდა, ტრიალებდა, ტრიალებდა კარუსელი,
ქარს მიჰქონდა ხეების და ხეივნების ნამუსრევი.
ბეღურები ეშვებოდნენ კოპიტების კენწეროდან,
იდგა ძაღლი
და გოგონას გაკვირვებით შესცქეროდა.
გოგონა კი
ჩამჯდარიყო თავის სათამაშოებთან,
მაგრამ კი არ თამაშობდა,
მამას თვალს არ აშორებდა.
მამაც იქვე,
სადაც დიდი ჩრდილი ეგდო კოპიტების,
ვიღაც უცნობ მანდილოსანს შეჰყურებდა მორიდებით.
ის უცნობი ძაღლს უმზერდა
(ძაღლი იდგა ბეღურებთან),
ძაღლი — გოგოს,
გოგო — მამას,
მამა უცნობს შეჰყურებდა.
ამ მზერაში იყო რაღაც უცნობი და აუხსნელი,
ტრიალებდა, ტრიალებდა, ტრიალებდა კარუსელი.

* * *

უსიკვდილოდ, უეჭველად, უსათუოდ, უთუოდ,
კართან უნდა უდარაჯოთ,
ღამე უნდა უთიოთ.
უხმაუროდ, უსიმღეროდ, უხმოდ, უსაზანდაროდ,
სულში უნდა ჩაიძვრინოთ,
ხელის გულზე ატაროთ.
უჯაროდ და უჯამათოდ,
უეროდ და უბეროდ,
იის წყალი უნდა უსხათ,
სული უნდა უბეროთ.
ბარდი უნდა,
დარდი უნდა
აკაფოთ და აცელოთ,
ნიავი არ მიაკაროთ,
თვალი არ მოაცილოთ.
არ გაზომოთ ტიტულებით,
რანგებით და ჩინებით,
გაუფრთხილდეთ,
გაუფრთხილდეთ უნდა თვალისჩინივით.
უნდა ლოცოთ,
სიხარულის ცრემლით უნდა ატიროთ,
მუდამ, მუდამ,
გულთან,
გულით,
გულში უნდა ატაროთ.

* * *

კმარა!
გულმა შეგიწყნარა: ჩქარა მოვალ, ჩქარა!
მომეჯარა ბარათების ფარატინა ფარა,
არაგვივით ამაჩქარა,
ისევ შემაყვარა —
ანკარა და თავანკარა შარაგზა და შარა.
ჩქარა მოვალ!
არაგვს მოვდევ ბედის ანაბარა,
ჟრუანტელმა დამიარა,
არაბს დამადარა,
გამახარა,
გამატარა,
გამაუჩინარა,
ფარაონის მარაოზე ჩქარა დამაწყნარა.
ვერც მუქარა მომეკარა, როგორც ვიგინდარა,
ვერც მუდარა მომეპარა, — მომდევს წარამარა,
პატარა და კაფანდარა — ბრუნავს ფიქრის ჯარა
და ნაღარა ისე რეკავს, როგორც მაღვიძარა.
ჩქარა მოვალ!
თუ გათენდა,
თუ გამოიდარა,
ფანჯარასთან გიდარაჯებ ყარაულის დარად.
არაკს გეტყვი: არამზადა როგორ ეზიარა, —
დაგავიწყებ ცხელ იარას და ვარვარა ვარამს.
კმარა!
წყნარად დასაღვრელი ცრემლი დაიღვარა
და ჭაღარაც მომეპარა: ჩქ-არა! ჩქ-არა! ჩქ-არა!

## ტარიელ ჭანტურია

### ცეკვა კაფე „ამბასადორში“

(ციკლიდან: „ღამით, რადიომიმღებთან“)

ტვისტი და ტვისტი. ჰალი-გალი!
ფიცი და ფიცი. ქალი. ქალი.
ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი!
როკი და როკი. ჰალი-გალი!

— ხომ არ გეშინია?
— მეშინია!
— რატომ გეშინია?
— მეშინია!
— კიდევ გეშინია?
— მეშინია!
— გესმის? გერშვინია!
— გერშვინია!

— კონიაკს დალევ?
— მანგოს წვენს!
— უნდა გაკოცო!

— მაკოცე!
— შენ არ მაკოცებ?
— მე არა!
— მაშინ მე ორჯერ გაკოცებ!

ტვისტი და ტვისტი. როკი!
დრო კი, ძვირფასო, დრო კი
მიახრიგინებს ვნებებს,
როგორც პარტიზანს დროგი!

ცისფერი კაფე. ჰალი-გალი!
ცისფერი კაბა. ჰალი-გალი!
ბიჭი და ბიჭი. ქალი. ქალი!
ქალი და ქალი! ჰალი-გალი!

ჰალი-გალი!
ქალი, ქალი!
ჰალი-გალი!
ქალი, ქალი!

## ალერსი

(სალაღობო)

როგორ მინდა, მინდა, მი...
ბაგე მარწყვი, მარწყვი, მა...,
გაგონება შენი ხმის,
შენი ნაღვლიანი ხმა.

ისევ ძველი, ძველი, ძვე...
ისევ თბილი, თბილი, თბი...
მკრთალი ოქტომბერის თვე,
და სიმღერა, შენ რომ თქვი.

ისევ ზევით, ზევით ზე...
ისევ დიდი, დიდი, დი...
ლურჯი, ლურჯი, ლურჯი მზე...
მკერდიდან რომ სისხლი დის...

მაგრამ თინა, თინა, თინ...
შენ მშორდები თანდათან...
ჩემზე უკეთ აბა ვინ,
ვინ უმღერებს დაღლილ ტანს.

თუმცა კმარა, კმარა, კმა...
მე კვლავ მინდა, მინდა, მი...
გავიგონო შენი ხმა
და ტკივილი შენი ხმის...

* * *

შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე,
უნდა ღრუბელი გეფინოს ლურჯი.
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ,
რომ ჩავახედო შენს კეთილ სულში.

შენ უნდა უცხოდ მოსული ქარი
გიფრიალებდეს ნისლისფერ მერდინს,
გაიღოს უცებ სამოთხის კარი —
მუხლებთან გეჯდეს შემკრთალი ღმერთი...
რა ჯობს — სიმღერა თუ წყვილი ცრემლი!
სად ჯობს — მიწაზე თუ მიწის გარეთ!..
მზე — მზეზე უფრო დიდი და ცხელი,
მთვარე — მთვარეზეც მაღალი მთვარე,
და ცა! — ღმერთების ცისფერი ჰოლი —
ძლივს რომ აუდის მომსვლელს და წამსვლელს...
მაღალი ბიჭი ლამაზი ცოლით —
მოდიან, მაგრამ მიდიან წამსვე:
ბოლოს და ბოლოს ერთი აქვს ბოლო
ლომსა და თინუსს, ნაძვსა და ღოლოს!
სიყვარულისთვის! კარგო, ჩვენ მხოლოდ
სიყვარულისთვის გავჩნდით და ვცხოვრობთ!
უხერხულია — შენ გერქვას ცოლი —
შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე.
აჰა, დამბაჩა და სველი თოვლი! —
მე შენს მეუღლეს დუელში ვიწვევ...

ზაურ ბოლქვაძე

## ვ ი ც ი!..

ვიცი, დამღუპავ დაღუპვით ქალის,
მაინც შენს მაცდურ ღიმილს ვენდობი! —
ის ერთადერთი ღიმილი არის,—
მტანჯველი თავის ერთადერთობით!

შენი თვალებით უგრძნობლად დამთვრალს,—
შენივ ღალატი გამომაფხიზლებს!..
ვიცი, მიმიყვან სიკვდილის კართან,
მერე სიკვდილსაც აღარ მაღირსებ!..

ვიცი, ამიბნევ ცხოვრების გზა-კვალს, —
გავიიმედებ მაინც მაგ თვალებს! —
იგი ამქვეყნად სხვა თვალებს არ ჰგავს,
სხვასაც ჩემსავით არვის აწვალებს!

ღმერთმა შეგინდოს შენ ულმერთობა, —
ჩემი ბედით რომ ასე ერთობი!..
მე მტანჯავს შენი ერთადერთობა
და ვცოცხლობ შენი ერთადერთობით!..

* * *

ვნახე შენი საფლავი! —
უცებ ელდა მეცა! —
შენი გულამოჭრილი
მწვანე კაბა ეცვა!..

## მოდი, წამიყვანე!..

აქ ქარებმა სამხრეთის
სწრაფად ახსნეს აფრანი,
გაეხვია კახეთი
ოქროფერში ზაფრანის!..

ო, კახეთის ყანებს
არ სჯობია ყანები!
ზეცას ვეთაყვანე,
მიწა მეთაყვანება!

შერჩა ფერი მწვანე
მაგნოლიის ფოთოლს!..
მოდი, წამიყვანე! —
სადაცაა, მოთოვს!..

## რ ო დ ი ს?!

მაგ შავ თვალებივით მცინარი —
როდის დამწიფდება მაყვალი?!
როდის გაიზრდება ჩინარი —
მაგ შენი ტანივით მაღალი?!

როდის მოირთვება ნაზი
მიწა სააპრილო მზითევით?!
როდის დამწიფდება მარწყვი —
შენი ტუჩებივით წითელი?!

როდის გამიყუჩებს ტკივილს
შენი შემოხედვის ღადარი?!
მაგ შენი გულივით ცივი, —
ნეტავ, — როდის წავა ზამთარი?!

## გივი გეგეჭკორი

### მეორე ბალადა

წელიწადის დროების
მოძრაობა წრიული
გრძელდება და მოგელის
თეთრი ვესტიბიული.
მოოქროვილ თაბაშირს,
ტილოს დეკორაციებს,
შენ ბავშვივით შეჰყურებ,
ყველაფერი გაცინებს.
მაგრამ რამპის გადაღმა
როცა კვდება რომეო,
შენი ცრემლი უპეზე
ბრწყინავს, მიუწვდომელო!..
როცა უჩინარდება
შერხეული მუყაო,
მსახიობებს კანფეტი
გინდა გადაუყარო.
შენ ხარ იდუმალება
და ღიმილი ფარია,
იგი არც თანხმობაა,

იგი არც უარია.
შენ გსურს სამოგზაუროდ
ხომალდები ამიგო.
შენი ლურჯი ოცნების
ფრინველია ფლამინგო.
საით უნდა გავცუროთ,
საით უხმობ მომავალს?
ძირს ჩამოდის ფოთოლი...
ვისი შემოდგომაა?..

მოდი, მომიახლოვდი,
მე გაკოცებ უთვალავს,
შენი კაბა შრიალებს,
გარეთ კიდევ თუთაა...
ვერსად ვერ დავივიწყებ,
სადაც უნდა წავიდე,
შენი საბნის ბორცვებზე
მოქანავე ყვავილებს.
საათს გადმოჰყოლია
სიჯიუტე მევალის,
რას თვლის? რის თორმეტია,
ანდა რის ნახევარი?
ჩემსკენ გამოგიწვდია
ხელი სერაფიმივით
და ბალიშის ჩარჩოში
ბრწყინავს შენი ღიმილი.
ნუთუ ჩვენთვის ოდესმე

მოვა დრო უმკაცრესი,
აცივდება ოცნების
სამნავიან ტაძრებში,
ან ხავსს მოეჭიდება
დაძარღვული თითები.
სიტყვებს განუსაზღვრელი
ნდობით ნუ ეკიდები.
ჯერ ადრეა, რა გინდა,
რად აწუხებ მომავალს,
ძირს ჩამოდის ფოთოლი,
სხვისი შემოდგომაა...

რომ სხვები არ დაგეფრთხო,
შენ სიყვარულს მალავდი,
დიდხანს ხელს აფარებდი,
მაგრამ მაინც სანამდის
გსურდა რომ დაგეფარა,
თრთოდა, როგორც წერილი,
ირგვლივ იფანტებოდა
ყვავილების მტვერივით...
შენი უმანკოება
თითქოს მზეზე ბრწყინავდა,
შენი სხივი მიჰქონდათ
ოცნებების ბინადართ,
როგორც თივის ღერები
ფრინველების ნისკარტებს...
ახლა ნელა მივცურავთ

მშვიდი კვირადღისაკენ.
თითქოს სიჭაბუკეა
და არც სიჭაბუკეა,
და ის აღარ აღელვებს,
რასაც გუნდრუკს უკმევდა.
უფრო მძიმედ ვეყრდნობით
სკამებსა და მაგიდებს,
მაგრამ შენი ღიმილი
თვალებს ისევ ამინთებს,
ახლა საით მივდივართ,
საით უხმობ მომავალს?
ძირს ჩამოდის ფოთოლი...
ვისი შემოდგომაა?..

## სერაფიტის დატირება

1.

ვაი, სერაფიტ!
შენი სახელი ხელიდან მტევანივით გამივარდა
და აქეთ-იქით გაიფანტა მისი მარცვლები...
მომიტევე!
მუხლზე დავეცემი,
უნდა წამოვკრიფო,
იმიტომ დავცქერი.
ვაი, სერაფიტ!
ასულო ზევახისა,
ფარსმან მეფის პიტიახშისა.

მეუღლეე იოდმანგანისა,
პუბლიოს აგრიპას ძისა,
ქსეფარნუგ მეფის ეზოსმოძღვარისა.
რომელიც იყავ ახალგაზრდა
და იყავ ისე მშვენიერი,
არავინ იყო მსგავსი შენი სილამაზითა.
ვაი, სერაფიტ!
შენი ოქროს კილიტებით
ბრწყინავს ჩემი სიზმრების მოსასხამი.
შენს ყელზე ვერძისთავის ავგაროზად
ქანაობს იისფერი ამეთვისტო
და ნიკაპს ეხუტება
ვერძის ცივი დრუნჩი.
ავგაროზის კოლოფში ასვენია
კბილი გატეხილი,
ბავშვობაში რომ მოიცვალე.
გახსოვს, როგორ გვატრიალებდა კალოზე კევრი?
ან როცა დათვრა დიონისე,
ნიკაპი როგორ ჩამოდო საწნახელზე.
ვაი, სერაფიტ!
შენ ვერ დაგიტირებს
ჩემი ცრემლი კოკისპირული...
სიკვდილი მელის უსათუოდ!
როგორც აქტეონმა,
თუთის ჭალაში დაგინახე,
შიშველი იყავ და ბანაობდი.

ბავშვები ვიყავით,
მომიტევე და მომეშველე,
როცა ირმად გადავიქცევი,
დამფლითავენ,
ორ ქოფაკს კეტით ვიგერიებ!..
ვაი, სერაფიტ!
არ მასვენებს შენი ღამეების სერდოლიკი,
შენი თვალების სერდოლიკი,
შენი სამაჯურის სერდოლიკი.
დაბინდულია ოქროს მონეტაზე
ანტონინუს პიუსის ხუჭუჭი წვერ-ულვაში
და მარკუს ავრელიუსის შიშველი თავი.
ამ ქვეყანაზე მოსულთაგან
დღეს შენთან უფრო მეტნი არიან,
ვიდრე ჩემთან...

2.

ბედნიერო! ამ ქვეყნიდან
რომ წახვედი ადრე,
მაგრამ თავი სიკვდილს მაინც
რომ არ გაუყადრე.
როცა ველზე დაგედევნა
უსახური მხეცი,
ნაბიჯს როდი აუჩქარე,
როდი გაიქეცი.
გადიარე მწვანე ველი
შენი თეთრი ქოშით

დედოფალმა, მიმავალმა
ღამის სამეფოში.
სანამ ქარში მოგუგუნე
ზარებს დარეკავდი,
შენ სიკვდილმა მოგახურა
ღამის პალეკარტი.
ახლა მხოლოდ ჩემს სიზმრებში
აშრიალებ ქიტონს
და თიბათვეს უმკლავდები...
ვაი, სერაფიტო!..
გაცოცხლებულს სურვილს ხვატი
გააფიცხებს თივით
და მზე სამთითს ატრიალებს
ველზე ეშმაკივით.
კვლავ ცახცახებს შენი ტანი
სიცივით და ვნებით,
ნაპოვნი და გალუმპული
წვიმის ქარავნებით.
ჩემს სიზმრებში შენ ვერავინ
ვერ გიშიშვლებს სხეულს,
ვერ კითხულობს ვერვინ შენი
სულის არამეულს.
და იცინი ისე, როგორც
უწინ იცინოდი,
ვიცი, გნახე, მაგრამ მაინც
როდის გნახე, როდის?..

ოთარ ჭილაძე

## სიყვარული

ზამთარმა, ცივმა და შემპარავმა,
კვლავ მომისია თეთრი ფიფქები
და კვლავ მიყვარხარ, თუმცა არა ვარ
ის, რაც ვიყავი ანდა ვიქნები.

და იქნებ ჯობდეს, გაიხსნას ფრჩხილი,
გულმა და ენამ აიძროს ლუქი,
ბოლო უჯრამდე შეივსოს ცხრილი,
ბოლო კუნჭულსაც მიადგეს შუქი.

იქნებ გვჭირდება მესამე კაცი,
მსაჯულისა თუ მკურნალის მსგავსი,
ამ მტანჯველ გრძნობას რომ დასდოს ღვაწლი
და მისცეს სახეც, სახელიც... ფასიც.

იქნებ ფერფლია და არა ღველფი?
იქნებ ლოდია და არა სვეტი?
იქნებ მსხვერპლია და არა კერპი?
ბედისწერაა და არა ბედი?

არ გამოჩნდება იგი გარედან,
მაგრამ არსებობს, უტყვი და ურჩი,
როგორც ფორმულა ან მარგალიტი
გამომწყვდეული ცეცხლგამძლე ყუთში.

განწირულია ის გრძნობა, ვიცი,
მუცლიდან დაჰყვა გიჟის ხალათი,
მისთვის უცხოა ვალი და ფიცი,
რადგან არ იცის რაა ღალატი.

ჩვეულებრივი ტანჯვით და ვნებით
ვერ იბოგინებს ამქვეყნად იგი,
რადგან მთრთოლვარე და ვრცელი ფრთებით
აპატარავებს ყველაფერს ირგვლივ.

მაინც ისაა გზაც და ჭაპანიც
და გვერდით მიწევს ძეძვის ტოტივით,
სანამ მახურავს ცხელი საბანი
გაურკვევლობის და მოლოდინის.

## ს ი ზ მ ა რ ი

გამოჩნდა მიწა. შენთან ვარ თითქმის.
იღვიძებს  მიწა და პერანგს იცვამს.
ეს ხომ თოვლია. მე წუთებს ვითვლი.
ნათურებს ანთებს და მორბის მიწა.

ოღონდ შენთანაც სინათლე ენთოს
და ყველა სასჯელს უხმოდ ავიტან.
და აი, უკვე შენთან ვარ. — ღმერთო,
ეს შენი ხმაა. — როგორ? საიდან?

ამოდის მთვარე და ცალი თვალით
ჩემს ხელებს ზვერავს ჩუმად და მკაცრად.
მე კი ოთახში შემომყავს ძალით
და თავქვეშ გიდებ ბალიშის ნაცვლად.

* * *

მე ჩემს საყვარელ სიზმრებად ვთვლიდი
ცაში თანდათან გამქრალ მავთულებს,
გადაქანებულ სვეტებს და ხიდებს,
ნათურებს მკრთალებს და გაფანტულებს.

დღეს კი იფეთქებს შენი სახელი.
მე დილიდანვე ვგრძნობ და მოველი,
როდის იფეთქებს შენი სახელი,
ძლივს მიგნებული და მოგროვილი.

მე მის ნამტვრევებს ავკრიფავ ქარში
და მტვერს და მიწას გადავაშორებ
და დავურიგებ მეზობელ ბავშვებს,
როგორც ბრჭყვიალა სათამაშოებს.

დაიტაცებენ ბავშვები უცებ,
ყაჩაღებივით დაიტაცებენ
და ქარზე უმალ მოსდებენ ქუჩებს
ჩემს ძველ ტკივილებს და აღტაცებებს.

ბნელში იცინის კიოსკის მინა.
ირხევა ტოტი და ტოტის ჩრდილი.
ქალაქს კი ძინავს, ძინავს და ბრწყინავს
მთლად გაჟღენთილი წვიმით და ძილით.

და მავთულებზე შერჩენილ წვეთებს
აღარაფერი აღარ აშინებთ.
მე ვაღებ კარებს და ისევ ვკეტავ
და მერე ისევ ვაღებ მაშინვე.

* * *

მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ:
ჩვენს შორის მთელი წელია უკვე.
ქუჩებში ქარი დგას და არიგებს
უჩინარ ეჟვნებს, ზარებს და ბუკებს.

აქ იყო თოვლი და როგორც ვალი
ჩემს მხრებზე იწვა მთელი სიმძიმით
და შეუმჩნევლად მიღლიდა თვალებს
თეთრი სანთლების ცივი ციმციმი.

ყოველდღე თოვდა და თოვლი ქუჩებს
იმედებივით ართმევდა ფერებს
და ყველაფერი გადაწყდა უცებ,
სულ უმნიშვნელო ყოყმანის მერე.

ის თოვლი გავდა დაქანცულ ლტოლვილს
და სიბერეზე გადაკრულ სიტყვას,
ძალიან დიდხანს გაგრძელდა თოვლი,
ძალიან დიდხანს, ძალიან დიდხანს.

მარინა, მაგრამ შორს იყავ მაშინ
და დილით, როცა ფანჯრებს ვაღებდი,
მოჩანდა, როგორ მოქონდათ ბავშვებს
თოვლის ბრჭყვიალა ბაირაღები.

ძალიან ბევრი, ძალიან ბევრი
ბაირაღები მოქონდათ ბავშვებს.
მე კიდევ მთვლიდნენ ოჯახის წევრად,
მე კი ქუჩებში ვეძებდი საშველს.

და თოვლს მიყავდა ყინვის აღვირით
ჩვენი ქუჩები, როგორც ცხენები.
მარინა! შენი ძებნით დაღლილი
ვწვებოდი თოვლში და გიხსენებდი.

მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ:
ჩვენს შორის მთელი წელია უკვე.
ქუჩებში ქარი დგას და არიგებს
უჩინარ ეჟვნებს, ზარებს და ბუკებს.

* * *

მზად ვარ გისმინო და გემსახურო.
ქარში იშლება დეკემბრის თოვლი
და მღერის შენი მძიმე საყურე,
გაბრუებული დეკემბრის თოვლით.

(მე ალბათ დიდხანს მექნება ვალი,
მაგრამ ვიქნები სულ მხიარული.
ეს გაუმარჯოს შენს ეშმაკ თვალებს
და სარკეებში ნასწავლ სიარულს).

სარკმელში ისევ თოვლი ირევა
და ყვება თავის უბრალო ამბავს.
და სკამზე, როგორც ნანადირევი,
კიდია შენი ლამაზი კაბა.

## ტაგუ მებურიშვილი

### თამარიე გათხოვდა

სევდიანი სიმღერა
ისმის: რერა რაშოვდა.
თამარიე გათხოვდა,
თამარიე გათხოვდა!
მაშინ გადასხვაფერდა,
თვალი თვალს რომ დაშორდა,
ჩემი ცხენი ოჩნობდა,
სხვისი ცხენი რაშობდა.
გაგანია სიცხეში
გაწვიმდა და გათოვდა,
თამარიე გათხოვდა,
თამარიე გათხოვდა!!!

## ნოდარ ჯალაღონია

* * *

ვიცი, გაქრება ეს ყველაფერი,
ლურჯი ცითა და მწვანე მინდვრებით,
ვიცი გაქრება ეს ყველაფერი,
ვიცი და უფრო, უფრო მინდები.

აცრემლებული მარტის ფიფქების
წუხილი ახლა მესმის საოცრად.
ისე გეძებენ ახლა ფიქრები,
როგორაც მლოცველ ხატს და სალოცავს.

სიყვარულია თურმე ისევე
სიცოცხლისა და სულის ემბაზი.
შენზე ფიქრებში ისე ვისვენებ,
როგორც დაღლილი ჩიტი გემბანზე.

ხუტა გაგუა

## ბეჭედი

ის აღარ არის, რაც იყო წინათ —
დღეს გულში მხოლოდ სინანულს ბადებს
გრძნობა, რომელსაც ბორკილად ადევს
ოქროს ბეჭედი და მწარედ გმინავს...

ერთში უცვლელი გვრჩება ბუნება —
ვცოდავთ და მერე შენდობას ვითხოვთ,
მონანიებით შეგვეძლოს თითქოს
ოქროს თვისების შენარჩუნება.

და ვტირით — ცრემლი გვანიჭებს შვებას,
გულწრფელად ვტირით, როცა ვერკვევით,
რომ ყველაფერი არის მერყევი
და მხოლოდ ოქრო ოქროდვე რჩება.

ჩვენ უკვე მძევლად ვყავართ მირაჟებს,
და სულს გვიშფოთებს კუბოს კარამდის,
ნიშნობის ბეჭდის კრთომა მარადი
უკვალოდ გამქრალ გრძნობის წინაშე.

## მოლანდება

შუახნის ქალი,
ფიქრიანი და იდუმალი.
ღია ფანჯრიდან დაჰყურებდა
        გამზირს დუმილით,
თითქოს ერთბაშად უკუიქცა ჟამი და
        დღემდე
რაც მოხდა,
უნდა მომხდარიყო დიდი ხნის შემდეგ.
ეს იყო დილა მოლანდების,
        მაისის დილა,
იმგვარად გაკრთა
        დედაკაცის სახეზე
                ღიმი,
თითქოს ანაზდად
ავარდნოდეს კაბაზე ღილი —
ორივე ხელი
აიფარა გულმკერდზე ფრთხილად.
მხრებგანიერი მამაკაცი —
                საიდან, ღმერთო! —
დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი,
მოსდევდა გამზირს...
მაგრამ ხელებქვეშ რაწამს იგრძნო
        ჩამქრალი მკერდი,
ამოიოხრა
და უღონოდ დაეშვა სკამზე,

## ემზარ კვიტაიშვილი

* * *

ვერ ამოვედი შენი ხარკიდან,
შენი გულიდან, შენი სარკიდან,
უძლიერესო და უძნელესო,
ყველა მიწიერ დასაკარგიდან.

გამითავდება ტკივილი, შიში...
თვითონ ღმერთია ამის მოსურნე —
შენი სიმაღლის მონახე ნიში,
დახარე მხრები ანგელოსურნი.

დახარე თავი — გვირგვინი მძიმე,
მზე მომალანდე და მომაშივე,
სასახლედ იქცეს მათხოვრის მღვიმე,
წყალობა ცისა დარჩეს ცაშივე.

ხე ცხოვრებისა ამაოდ ვხატე,
ცრემლი დაისხა ნაყოფის ნაცვლად;
მემხობა შენი სიზმრების ბადე,
არ მიწერია გაქცევა, გაცლა.

ვერ ამოვედი შენი ხარკიდან,
შენი გულიდან, შენი სარკიდან,
უნეტარესო და უმწარესო,
ყველა მიწიერ დასაკარგიდან.

## ერთმა ვიცი...

აჭედილი რკინის კარი,
შენ რომ სამუდამოდ დახშე.
ერთმა ვიცი — რა მტანჯველი
დუმილია შენს ოთახში.

ლანდი შავი, უსახური,
ყელში რკინის ხელებს მიჭერს,
არსად ჩანხარ და ყოველდღე
სხვადასხვანაირად მიჭირს.

დამშრობოდა მწყურვალს წყარო,
არ ამეღო მშიერს ხემსი;
ჯავრი მოუნელებელი
რა ტკივილად ცოცხლობ ჩემში.

.

არ ამშორდა რისხვა მისი,
ბედი თუა, იყოს ასე.

მოვიძულე ეს ქვეყანა —
გადასული წართმევაზე.

მოიწყინა, იცის, ხვდება —
ამაოა ეს ჩალიჩი...
არ გახსენებს და კედელზეც
თვალს გარიდებს შენი ბიჭი.

## რეზო ამაშუკელი

### მარტოობა

იმ ღამეს თოვდა, თოვდა და თოვდა...
და შენ გეძინა სიცივით დაღლილს,
გარშემო ცივი სანთელი კრთოდა
და ივსებოდა სიჩუმით სახლი.
ვხედავდი ჩემს ლანდს საწოლთან დახრილს
და ჩრდილი დახრილ კედელზე თრთოდა,
შენ კი გეძინა, ყველაფრით დაღლილს,
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა.
და შენი ტანი გრძელი და თხელი
მკვეთრი ხაზებით მოჩანდა ბნელში,
და შენი ხელი, გამხდარი ხელი
მკვდარი ჩიტივით მეჭირა ხელში.
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა...

* * *

მთელი ზამთარი ისე გავიდა,
არ დამცდენია არც ერთი ბწკარი,
მხოლოდ დათოვლილ სახურავიდან
მესმოდა, როგორ კიოდა ქარი.

მიშტერებული გაყინულ მინას
თავს ვიტყუებდი ფერადი ზღაპრით,
და როგორც წინათ,
დიდი ხნის წინათ,
დიდი იმედით ველოდი აპრილს...

მობორიალდნენ ლანდები შორი
აწკრიალებულ ბროლით და ღვინით,
— ქალაქში დადის ლამაზი ჭორი
თმაშეღებილი ცეცხლისფერ ინით!

დადის ჩურჩულით და ლაპარაკით.
ულულავს თვალებს ქუჩებს, ეზოებს...
— და აკვირდება მთელი ქალაქი
ვნებით არეულ მაღალ თეძოებს...

მოგონებებით აჩონჩხილ გალას
შეახებს თითებს ეჭვი ცბიერი...
— „თქვენ დაავიწყდით დროებით ქალაქს
პატივმოყვარე და ნებიერი!“

რა ვუყოთ,
ახლა სხვისი ჯერია,
რომ ჯამბაზივით თოკზე გავიდეს,
მე კი აქამდე რაც მიწერია,
ერთად გავატან ზამთრის ამინდებს...

კედლებმა უხმოდ გაინაწილეს
მოსალოდნელი დღეების შიში...
ისე ილევა ეს სიყმაწვილე,
როგორც სანთელი შედგმული ნიშში...

მაგრამ სანამდე გადამაფარებს
სიკვდილის ზეწარს სიგრილე დილის,
ერთს, ერთხელ მაინც შევაზანზარებ
გაბრდღვიალებულს აპრილით თბილისს!

იყო თუ არა, რაც ასე მწამდა,
მოვარდნილ წყალში შესვლა მხარულით?..
მქონდა თუ არა სიმღერის გარდა
სხვა აღტაცება ან სიხარული?

არა, არ მქონდა!
მაგრამ პატარა
მეც მედგა კუზი ცოდვიან კაცთა,
და მოგონებამ უხმოდ ატარა
მიტოვებული სიზმრების განცდა.

სული კი თეთრი თოვლი დაღლილი
ეძებს ყოველი წვრილმანის მიზეზს
და ილიმება გვერდზე დახრილი
ჩამოვარდნილი ნიღაბი პირზე...

## ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ

* * *

იქნება მოხდეს. ვინ იცის, იქნებ
სუყველაფერი მოხდეს და მერე,
ამ ქვეყანაზე მე აღარ ვიქნე
და შემიცივდეს პატარა ხელებს.

და... ვერ გითბობდე ხელებით თითებს,
ეს ცოტა რამეც დამედოს ცოდვად,
ხომ შეიძლება, — მე ვამბობ: იქნებ, —
ხომ შეიძლება, დაგაკლდე ცოტა.

## ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲛᲢᲘ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

განა შენი ბრალია?
გუნება მაქვს ისეთი, —
ერთ კაცსაც რომ უყვარდე,
მე ვიქნები ის ერთი.

მაგრამ ჩემი ატანა
არ გეგონოს იოლი, —

მილიონს რომ უყვარდე,
მე ვარ ის მილიონიც,

არ იფიქრო, ძვირფასო,
ანჩხლი ვარ და მკვეხარა.
ქვეყანას რომ უყვარდე.
მე ვარ მთელი ქვეყანა.

თუ სხვამ კოცნა ლოყები
ჩემი დასაკოცნავი,
ჩათვალე, რომ გათავდა,
აღარა ვარ ცოცხალი.

## ტყაში მაფა

ჩემო გულით სანატრელო,
ჩემო თვალით უნახავო,
ტყე-ტყე ცხენით დავშლიგინებ
უუნაგირ-ულაგამო:

ერთი, სადმე შემეფეთე,
ლანდად მაინც დამენახე, —
ოხრად დამრჩეს სახლ-კარი და
მიწა სახნავ-სავენახე.

გადამიწყდა უკვე ჩემი,
ძლივს დავათრევ დაღლილ ფეხებს,
ან ულრანში შემიტყუე,
ან ღრანტეში გადამჩეხე.

ტყის სულო და დედოფალო,
მთვარეულო, მთვარის ქალო. —
დამენახე, რომ სიკვდილით
და სიგიჟით გავიხარო.

დამესიზმრე... შუა ძილში
გკოცნე, გკოცნე, ბევრი გკოცნე...
ან მომკალი, შე ტყიერო,
ანდა, მკვდარი გამაცოცხლე.

ვინ იცოდა ან წუხილი,
ან ცრემლის ღვრა ვინ იცოდა...
ვაი, შური, საყვარელო,
ვაი, ნანა, ჩქიმი ცოდვა.

## თამარ ჯავახიშვილი

* * *

მე შემოდგომის ვარდებში გხედავ,
(მთვარისფერია ვარდი ღამეში),
შენსკენ მოხედვას მიბრძანებს ბედი
და შენ სახელად ხარ გილგამეში...

მაგრამ ვერ მოხვალ, მთებს არ დავეძებ,
გადმოსალახი არის მდინარე,
მხოლოდ სიკვდილში გველის შეხვედრა,—
ამიტომ ჰქვია წარსულს — „წინარე“...

საწამლავია შენი ალერსი,
კაბის კალთაზე სიკვდილი მკოცნის,
ჩემი გრძნობაა მრავალ ათას წლის,
შენ კი, გილგამეშ, ხარ მხოლოდ ოცის...

შენ გზას ადგიხარ დაუსრულებელს,
სივრცის ჭურჭელში ციმციმებს ჟამი...:
წაიღე მაგ გზით ჩემი სიცოცხლეც
და ბეჭდის თვალში მაჩუქე შხამი...

## მერი ბარნაბიშვილი

* * *

მე ხელს ყოველთვის მიშლიდა რაღაც,
რომ საკადრისი თაყვანი მეცა!
არ მივარგოდა არც ერთი კაბა,
არა ბრწყინავდა ხანდახან ზეცა.
ჰაერს არ ჰქონდა ზოგჯერ ის სუნი,
ადრეულ მარტს და აპრილს რომ ახლავს.
და ედებოდა ყველაფერს წუნი,
რადგან შენ იყავ ყველაზე მაღლა
და რადგან დღემდე ვერ ვნახე რამე,
რომ იყოს შენი ტოლი და სწორი,
მიხილე სიზმრად — მე მოვალ ღამე,
სალამს გკადრებ და გავდგები შორით.

## ნელი გაბრიჩიძე

* * *

„შენ არც კი იცი, მიყვარხარ რაზომ!“ —
ამბობ მძვინვარედ, მძულვარედ, გზნებით.
რამდენი ქალი ამდგარა ასე
და ჩაწოლილა საფლავში ნებით.

„ო, შენ არ იცი, შენ ვერ გაიგებ,
ეს სულ სხვა არის, დალახვროს ღმერთმა!“
ეს — მე არ ვიცი, მე ვერ გავიგებ,
ეს სულ სხვა არის, დალახვროს ღმერთმა.

თვალებს გინათებს ალი გიზგიზა, —
„მე ვიტანჯები!“ — მაუწყებ ძრწოლით.
მაგრამ რას ფიქრობ სახლში მისვლისას,
როცა ღიმილით გაპურებს ცოლი?

გავარვარებულ მზეებით სავსე,
ვებრძვი შენს ფიქრებს, ვბორგავ და ვქრები.
რამდენი ქალი ამდგარა ასე
და ჩაწოლილა საფლავში ნებით.

## ჯემალ ინჯია

### ცეკვის დროს

ერთმანეთს ეჩვევით
ეჭვებით.
ერთმანეთს ეხვევით
ფეხებით.
ერთმანეთს ედებით
მკერდებით.
ერთმანეთს ახელებთ
ხელებით.
ერთმანეთს ამთვრალებთ
თვალებით.
ერთმანეთს ეკვრებით
ეკლებით.
ერთმანეთს თუთქავენ
სუნთქვანი.

მუსიკა ზუზუნებს —
ფუტკარი.
ეერავინ გაიგებს —
უთხარი!

## თეიმურაზ აბულაძე

* * *

არ ვყვარებივარ ისე არავის,
როგორც მე ვგრძნობდი
ამ ცეცხლს თავიდან...
ეჭვის ლეკები მომიპარავენ
და წამათრევენ ლამისყანიდან...

მაინც მოვაღწევ კვლავ ფეხშიშველა
შენთან,
რომ გარეთ ღამე გითიო,
თორემ შენ სად გაქვს ჭერი იმხელა, —
მე შემიფარო და დამიტიო.

## გივი ალხაზიშვილი

* * *

სიყვარულო —
უთვალავი წლის მზეთუნახავო,
ამ გაზაფხულსაც
შენი თმების სურნელი მოაქვს
და მარტის ცაზე შენი თვალები
კიაფობენ ვარსკვლავებივით.

ამ გაზაფხულზეც —
თექვსმეტი წლის გოგოს ჰგავხარ,
მილიონი წლის დედაბერო.
სიყვარულო —
გათბა ხნული,
გაღივდა თესლი,
გაჟღენთილია შენი სუნთქვით
თითქოს ჰაერიც
და მინდობილი იდუმალ სხივს
უნაპირო სივრციდან დაძრულს, —
ამაოდ გეძებ,
ქრები, ოდეს გიახლოვდები.

სიყვარულო —
მარტის ბაღში
მონატრება ჰყვავის ნუშივით
და გადახნულ მინდვრებს ანათებს,
უნებლიე სიახლოვეს მოწყურებული
მოვდივარ შენკენ...
უთვალავი წლის მზეთუნახავო,
ქრები, ოდეს გიახლოვდები.

## იზა ორჯონიკიძე

* * *

კარგა ხანია,
რაც მე შენთან არ მედგომება
(უბედურია ქალი,
გულით გამორჩეული),
მე გამაბეზრეს
სასაცილო ჩემმა ომებმა,
რომლებიც არ ღირს
ერთ ყვავილად ამ ბროწეულის...
ახლა მაისის
კოპშეკრული ქუში დარია,
საცაა ზეცა დაიგრგვინებს,
გატყვრება მეხიც...
წალეკოს მაინც
რაც ტკივილი და სიმწარეა,
იმდროინდელი,
რაც მიწაზე შემოვდგი ფეხი...
გარიოს მაინც
ამდენ შხამში სულ ერთი წვეთი
უცეცხლო თაფლის,

მათრობელა სურნელი ველთა,
დაირღვეს იქნებ
ჩემი ციხის უმზეო მკერდი
გამოჩნდეს ვინმე —
თუნდ სიკვდილის მოჰქუხდეს ელდა...
გაიხა ღრუბლის
მორღვეული,
ელამი უპე
და ვიდრე ავდარს
თავს შეუშვერს მიწა ეული,
ავწიოთ
ჩვენი სიყვარულის
პატარა კუბო
და ჩავფლათ სადმე
უხმოდ!
როგორც ძე უდღეური..

* * *

ნუ დამპირდები,
ნუ,
ნურაფერს ნუ დამპირდები,
ჰგავს საჩხაკუნოს,
აკვნებზე შებმულს,
ვაშლის კვირტები.
ეს გაზაფხულიც,
გაპუწული,

ყვითელქოჩორა,
დღეს ჩემი სულის ასაწეწად
მიწამ მოჭორა.
მიწამ მოჭორა
თეთრი მტრედი,
ზეცის ნაღები,
დღემოკლე ჩრდილიც,
ეფარვიან რომელს გლახები,
გულისა ცემით
და შარაგზით გაბეზრებული
მეოცნებენი,
მელექსენი —
გიჟთა კრებული!
ყველა,
ვისაც კი
ქარიანი ცეცხლი ეკიდა.
მე ვწყევლი,
ვწყევლი,
ვინც სიყვარულს
მიმცა შეგირდად...
გესმის გრიალი?
გული გასკდა,
განა კვირტები!
ნუ დამპირდები,
ნუ,
გაზაფხულს ნუ დამპირდები...

## მამუკა წიკლაური

### მე შენზე ვფიქრობ

მე შენზე ვფიქრობ —
ძიტოვებულ სახლში ინთება სინათლე,
მიტოვებულ სახლიდან ამოდის კვამლი,
მიტოვებულ სახლიდან ისმის სიმღერა
და თეთრი კაბა წივის ბანებზე —
თეთრი ყვავილი —
მოწყვეტილი შენი ტანიდან.
მე შენზე ვფიქრობ —
დიდი, მწვანე ხის ჩრდილში ვდგები,
მაგრამ ეს ფიქრი მაინც მწარეა —
თითქოს იმ სახლში მაბრუნებენ, სადაც შემრისხეს,
სადაც დამცეს და გამანადგურეს,
უკანასკნელი ლუკმა წამართვეს
და ქვების სროლით გამომაქციეს,
ისევ იმ ნაპრალს მახსენებენ, სადაც შენ ჩამრჩი...
თითქოს მეც ერთხელ უკვდავების წყალზე გამგზავნეს

და რომ დავბრუნდი, ჩაქოლილი დამხვდა კარები
წლებით — ვეება ქვის ნატეხებით...
ნეტავი ერთხელ მათქმევინა
— აღარ მიყვარხარ!
ნეტავ ეს ტყვია მასროლინა ჩემი თავისთვის.

## მურმან ჯგუბურია

* * * 1

მე მთელი ღამე პოემას ვწერდი,
ჩემს მხარეს იყო მაღალი ღმერთი.

მე ვწერდი, როგორ მიყვარდი ადრე,
მე ვწერდი, როგორ მიყვარხარ ახლა.
და მეღვრებოდა სტრიქონში მადლი,
და მივდიოდი მაღლა და მაღლა.

იყო ჰაერი მჩატე და სუფთა,
მე ვწერდი, როგორ მიყვარდი მუდამ.
შენ მოიხედე — გესროლე გუნდა,
მე ვწერდი, როგორ მიყვარდი მუდამ.

მე მთელი ღამე პოემას ვწერდი,
ჩემს მხარეს იყო თითქოსდა ღმერთი,
მიყვარდი რადგან, — ჩემს მხარეს იყო,
და მიჰყვებოდა სტრიქონი სტრიქონს.

ბაგეს იპობდა ყვავილი მინდვრის,
და იფრქვეოდა სურნელი ველად,
გადადიოდა წყაროდან ბინდი
და მაღლდებოდა პოემა ნელა.

და მე მეგონა, რომ შურდათ ჩვენი,
და ჩურჩულებდნენ ამჯერად ხენი,
ახლა ფოთლები მოჰგავდნენ სიტყვებს,
ცვარი — ცრემლს ჰგავდა, მდინარე — მდევარს,
სოფელი — ციხეს, ხეები — ისრებს,
და ჩვენი შურდა თითქოსდა ყველას.

მე ვწერდი დიდხანს, — გათენდა ვიდრე
და არ გიხილე, თოლიგე, გვერდით;
და ჩვენი შური ექნებათ ვიდრე,
ვიქნებით ერთად, — მოწმეა ღმერთი!

## ლია სტურუა

* * *

მე ისევ ის ვარ,
რაც ვიყავი ათი წლის წინათ
და ვერ გაიგებს, ალბათ, ვერავინ
რომ მხრებზე მადგას
უმძიმესი და უწმინდესი
შენდამი რწმენის ეკლესიები.
და სადღაც, ტვინში ჩაჭედილი ზარების გროვა
აწყდება ჩემს შუბლს,
დახშულს შვეული მავთულებით და ფორმულებით...
და მაშინ ჩემი მგრძნობიარე
და ტკივილად ქცეული შუბლი
ემსგავსება ამღერებულ ვერცხლისფერ გუმბათს,
რადგან ბალახის ღეროსავით უძლურ ფეხებზე
და სიფრიფანა სუსტ სხეულზე —
ჩემზე ბატონობს
უმძიმესი და უწმინდესი
შენდამი რწმენის ეკლესიები...

ეს არის მხოლოდ ჩემი სახლი,
და ერთადერთი კაცი ამქვეყნად
დგას მაგიდასთან
და როგორც ძველი კულტის მსახური,
ისე არიგებს პურსა და არაყს...
მე მჯერა შენი კეთილი პურის,
რადგან ის არ გავს მოწყალებას,
მის ყოველ ნამცეცს
ასდის ნაცნობი, მაძღარი სუნი,
მაგრამ მე ვიცი,
ეს არის შენი სისხლის და ხორცის მეათასედი.
მე მჯერა შენი მწარე პურის
და ზარები არყევენ ჩემს შუბლს —
მოთმინების და მორჩილების ჩაკირულ კედლებს...
ხოლო გენებში
ზის გუმანი, როგორც ნადირი,
და სველი ენით
დაჭრილ და ნაცემ სხეულს ილოკავს...
მე მეშინია ამ ტკივილის,
რომელიც დიდხანს და უაზროდ იზრდება ჩემში
და თუ ის დამძლევს,
შევეედრები ბალახების მაგიურ უნარს
და საოცარი თაფლის ძალას,
რომ ერთი წუთით არ მოადუნოს
ჩემი ტანი და არ დაშალოს,
რადგან ის არის
ეკლესია შენდამი რწმენის.

* * *

მან დაინახა შიშველი ქალი
პირველად თავის სიცოცხლეში,
მშობლებს კი უთხრა,
რომ მკერდზე ქვის დოლაბებმა გადაუარა
და დაზაფრული იქვე დაეცა..
დედამისი,
როგორც იდგა ფანჯარასთან,
პურით და მჭრელი დანით ხელში,
სინათლემ შეისრუტა
სულ ბოლომდე,
ხელ-ფეხის მოგრძო მტევნებამდე...
მხოლოდ გვიან, ღამის ზედაპირზე
პურის ნაჭერი წამოტივტივდა
და თქვა მაშინ მარტოკაცმა:
— რა იოლი სათქმელია ჭეშმარიტება!
თვალის კაკლებში ქვებს რომ გვესროდნენ,
როგორც ჭაში,
ჩვენს თავზე წყალი რომ შეინივთოს,
მკერდს მაინც იპოვის დოლაბის სიმძიმე
და სინათლე, ხარბი, უწყვეტი,
ჩვენი ფერხორცის შემსრუტავი.
ფრჩხილების ბოლო წერტილამდე

მერე კი ღამის ზედაპირზე
შეიძლება პურის ნაჭერი წამოტივტივდეს,
ან ვარსკვლავი,
ან თმა,
რომელსაც მზის სინათლეზე
თხემი მუდამ ოქროსფერი აქვს...

ბესიკ ხარანაული

## თებერვალი. ივრის ჭალები

ჩემს სახეს,
ყვითელ ფოთოლზე დახატულს,
შენი ალერსი უნდა, მარინე.
მიბრძანე რამე,
ვეებერთელა
ლოდები მთაზე ამატანინე.
მარინე...
ნეტავი ახლა ჩემი ივრის ფსკერზე მეძინოს
და ვარსკვლავები დამყურებდნენ მაღლა ზეციდან,
რა ბედნიერი ვიქნებოდი...
ზემოთ მთვარე,
მე — მდინარეში
და სოფლის ბოლოს თებერვალი,
შემძვრალი ხეში...
იწკრიალებდნენ ვარსკვლავები,
მარინე,
შენ ჩემი დაჟინებული ფიქრი მოგიყვანს
ჩემთან ამ ღამეში...

მარინე,
დავყურებ ქალაქს,
ჩემი თვალები
სახურავს ხდიან სახლებს  და ვხედავ:
— მხოლოდ მას სძინავს მშვიდად, ვინც იცის,
რომ დღისით უნდა მოიპოვოს ღამის სიმშვიდე,

დავყურებ ქალაქს,
როგორც სახინკლე
ქვაბს,
და უსახურავოდ მდგარი სახლების
დრტვინვას შემკრთალი ლეკვივით ვუმზერ,
მიშველე რამე,
წაქცეული ვარ
და მთვარის შუქი მიაბიჯებს გულზე...

ანათებს მთვარე საქართველოს ლურჯ მდინარეებს,

ივრის ჭალებში დადის ცხენი
კოჭლი,  გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ სამყაროში
ვერავინ ხედავს მას მგლის მეტი...
იწვის ბუხარი
და ვიტანჯებით ერთმანეთის მარტოდენ ჭვრეტით.
მარინე,
მინდა ჩავყვინთო შენს ვარდისფერში,

შენს სიცხეში და სიმხურვალეში,
მივირთვა ყვითელ ფოთლების პეშვით
შენი ცრემლების ტკბილი სიმლაშე...
მარინე...
შეამკე ჩემი თმები, მარინე...
დათოვონ შენმა ხელებმა ჩემი
თმები, მარინე...
მკვდარი და უკანასკნელი ლექსით
ყორნებს ვეპატიჟები ჩემს ლეშზე,
მარინე...

ივრის ტალღები განა წყალი არის, მარინე,
იგი ნემსების ნაკადია,
მწველი, მსუსხავი,
და ვაი იმას, განწირულად ჩათვალოს თავი,
ვინც მას გატოპავს და წავა ტყისკენ.
ივრის ჭალებში დადის ცხენი,
კოჭლი, გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ ყინულეთში
უცებ გაისმის... ხმა კი არა,
არამედ ზარი:
მე აქ ვარ, ძმაო!..“
რა მხნე ხმა არის, ერთი უსმინე,
რა ტკბილი არის:
„მე აქ ვარ, ძმაო“,
ტყიდან გამორბის სოფლის გლახაკი

და ყვავილები მოაქვს... მარინე!...
რისთვისღა ვსინჯავთ ამ ჯადოსნურ,
ღვთაებრივ სიზმრებს,
თუ თვალს გავახელთ
და ქვეყანა ისევ ის არის!
ან რად გაძალებ მე — ზანზალაკს,
რომ იყო ზარი...

მარინე, ჩამოახიე შენი სამყოფი
მანდილი ღამეს
და როცა მოვკვდე,
ქარში გაფრენილ ყვითელ ფოთოლს
თვალი გააყოლე,
როგორც ჩემს ნიღაბს.

## დილარ ივარდავა

### ბედნიერება

ხშირად:
კალათი რომ აივსოს
კიდევ ერთი ვაშლია საჭირო, —
ხშირად:
ხეხილმა რომ იშრიალოს,
კიდევ ერთი
ვაშლის ხეა საჭირო, —
მაგრამ რა ცოტა ჭირდება
თურმე ბედნიერებას?
საჭიროა
ერთადერთი
ადამიანი,
რომელიც ვაშლივით
შუა გაგიყოფს:
სიხარულს,
სევდას,
გულს,
ერთი სიტყვით, —
სიცოცხლეს თვისას.

## ბიძინა მინდაძე

### ულამაზესი გოგო ქალაქის

არც იშვიათად,
არც ისე ხშირად,
არც ისე ადრე,
არც ისე გვიან,
ულამაზესი გოგო ქალაქის
გამოჩნდებოდა მთავარ ქუჩაზე.

მაგნიტოფონის ლენტივით უცებ
წყდებოდა ფიქრი და ლაპარაკი.
მოედებოდა ჩურჩული ქუჩებს:
— ულამაზესი გოგო ქალაქის...

არც იშვიათად ასეც ხდებოდა:
გოგო ვიღაცას ესალმებოდა.

— ეს გაუმარჯოს ლოდინს და იმედს
და გულუბრყვილო ბუნებას კაცთა!
მან გაიარა და გამიღიმა
და დარდი ჩემი თოვლივით გადნა.

ეს იყო წინათ:
არც ისე ხშირად,
არც ისე ადრე,
არც ისე გვიან,
ულამაზესი გოგო ქალაქის
გამოჩნდებოდა  მთავარ ქუჩაზე,

და როგორ მოხდა, არ ვიცი, ბოლოს,
რომ გახევებულ ბიჭების თვალწინ
გაუჩინარდა საღამოს ბინდში
ულამაზესი გოგო ქალაქის.

ლაპარაკი და ჩურჩული მიწყდა,
ასე დასრულდა ერთი არაკიც...
— ბედნიერია, ვინც დაივიწყა
ულამაზესი გოგო  ქალაქის.

## ბელა შალვაშვილი

### ჩუმი ძახილი

ძე გეძახოდით... ცხრა მთას გადაღმა
ვინ მოგაწვდინათ ეს ხმა, ნეტავი...
კი მოგიხმობდით, მაგრამ ხმადაბლა,
ხმამაღლა როგორ გაგიბედავდით!
იქნებ სულები მართლაც დაჰქრიან
იდუმალი და სწრაფი მარხილით...
და თვით უწყიან, უფრო ადრიან —
ვის მიაწვდინონ ვისი ძახილი,
თორემ სხვა აბა, რას დავაბრალო,
ჩემი ხმა როგორ მოგწვდათ ნეტავი...
გეძახდით, მაგრამ ჩემთვის, ხმადაბლა,
ხმამაღლა ვერცკი გაგიბედავდით.

## გრიგოლ ჯულუხიძე

### ფასანაური

როგორ მიდის ეს საწუთრო
სევდიანი ფერებით.
სხვა მიყვარდა,
სხვას ვუყვარდი
და სულ სხვას ვეფერები.

გული დამყვა სევდით სავსე,
ბედის მზე — უცნაური:
ხან შავი ზღვა მართმევს შენს თავს,
ხან კი ფასანაური.

ყელზე მიჭერს ამა სოფლის
დამქანცავი ხმაური...
დავივიწყე ყველა სიტყვა,
მახსოვს — ფასანაური.

მთვარე შენს თმებს მათოვს შუბლზე,
მთვარეს თუ აკვირდები?

მოხვალ? სულში ჩაგისახლებ,
სხვას მე რას დაგპირდები.

როგორ მიდის ეს საწუთრო
სევდიანი ფერებით...
სხვა მიყვარდა,
სხვას ვუყვარდი
და სულ სხვას ვეფერები.

## თედო ბექიშვილი

* * *

ნუ გამიწყრები,
დღეებს გადავლილს
თუ გაგახსენებ გულმოწურვილი, —
დრომ, ისე, როგორც ქორმა ნადავლი —
წაიღო ჩვენი ყველა სურვილი.

წაიღო ნდომა ცხელი გულების,
წყალგაღმა ძიძგნის დაუნანებლივ...
რა მოწყენილი მიჩურჩულებენ
გაშიშვლებული ჩვენი ჭალები.

რა ნაღვლიანი ხმებით ივსება
მთები დაისით გადაბინდული...
იმ დღეთა შეგვრჩა მხოლოდ სამოსი —
ჯვარზე გაკრული ფრთების ფიტული.

ნუ გამიწყრები,
გამქრალი ალის
ოდნავღა ბეუტავს მცირე ნათელი...
ნელა ეჩვევა სიბნელეს თვალი —
უშენოდ ყოფნას —
დღე დღევანდელი.

## ელდარ კერძევაძე

* * *

ნუთუ ეს არის, რასაც ვეძებდით,
ნუთუ, ესაა სუყველაფერი?
როგორ ბრჭყვიალებს შენი ბეჭედი
ჩამავალი მზის სხივით ნაფერი.
ქარებს მივდევთ, თუ ქარი მიგვდევნის,
ისევ ფრიალებს შენი მანდილი,
რა ცოტა დაგვრჩა დღე გუშინდელი,
როგორ იზრდება დღე დღევანდელი.
რა ვქნათ,
რა ვუყოთ,
როგორ მოვრიგდეთ?..
კლებულობს სივრცე — ტყავი შაგრენის...
დამიდასტურე, ჩემო თოლიგე,
რომ მეც საკუთარ გზებს მივაგენი..
დამიდასტურე ძველი ზღაპარი,
აღსავსე ღელვით და ჟრუანტელით,
იმედის კალთა გადამაფარე
და დამიბრუნე დილის ნათელი,

რომ ვთქვა — ვიპოვე, რასაც ვეძებდი,
რომ არ არსებობს სხვა არაფერი —
რომ კვლავ ბრჭყვიალებს შენი ბეჭედი,
დილის ცინცხალი სხივით ნაფერი.

## გურამ პეტრიაშვილი

* * *

მართლა თუ სჯერათ ამ ასტრონომებს,
რომ თავიანთ ტელესკოპებში
ვარსკვლავს ხედავენ?
ჭრიჭინებით სავსე ბულულზე
თუ არა წევხარ ზაფხულის ღამით
და არ იგონებ
შენს სახეზე
ქალის თმების პირველ შეხებას, —
განა ვარსკვლავს ვარსკვლავი ჰქვია?

* * *

დარდის და ჭმუნვის
იქნებ ბევრიც გვაქვს
მიზეზი,
მაგრამ
ერთი რამ მაინც
არის უცვლელი

და ის ერთიც საკმარისია;
რომ ქვეყნის არსი
ნათელი დარჩეს:
კვლავაც წყვილ-წყვილად
დაფრინავენ
ბებლები ქარში.

## ნაილი ნეკერიშვილი

* * *

ჩვილი ბავშვია სიყვარული, რომელიც
მუდამ მოითხოვს რწევას,
მიზეზიანობს, უსაზღვროა ძალაუფლებით,
ნანაობს, გულის წვიმების ქვეშ ფათერაკს
ეძებს
და უმსუბუქესს ეძლევა სიზმარს,
ჩვილი ბავშვია სიყვარული, თავგანწირულ
დედათა ტვირთი.

## ნომადი ბართაია

### საღამო გურიაში

ჩუმად ჩამოწვა ბინდი,
აქ-იქ დადის ლანდი.
აქ დღე არ გავა, გოგომ
არ შეიყვაროს ვაჟი.
აუთოებენ კაბებს,
გულმოდგინებით როგორ!
აქ დღე არ გავა, ვაჟმა
არ შეიყვაროს გოგო.

## რენე კალანდია

# თივისა და გოგოს გალადა

(ლატვიური მოტივებიდან)

ყველაფერში დამნაშავე იყო თივა...
(თითქოს ყვება ისტორიულ ამბავს),
ყველაფერში დამნაშავე იყო თივა,
ზაფხული და ჩემი მოკლე კაბა.

ყველაფერში დამნაშავე იყო თივა,
ვარსკვლავები უპირველეს ღამის...
ყველაფერში დამნაშავე იყო თივა,
უცნაურად მოცახცახე წამი...

ყველაფერში დამნაშავე იყო თივა...
თივის სუნი და ნაცნობი სუნთქვა...
ყველაფერში დამნაშავე იყო თივა...
წავიდა და არაფერი უთქვამს...

ვანო ჩხიკვაძე

## პირველთოვლობა

აღარ —
იგი ტრფიალება,
აღარ —
იგი მოკრძალება,
მთვარისხელა ფიალებით
ვხვდები ზამთრის მობრძანებას.

დეკემბერი, დეკემბერი,
დაბნეული ნათლის ხილვით
დგას ვითარცა მკაცრი ბერი
სასანთლეზე თავდახრილი.

შენ კი სად ხარ — გულს დაეძებ,
როგორც კარზე ზარის ღილაკს.
მიაბიჯებ ზამთრის გზებზე
და ზაფხულის ცოდვა მიგაქვს.

* * *

შეაფრინდება პატარა სადგურს
კივილი, როგორც ჩიტების გუნდი.
დავტოვებ დარბაზს, სადაც სამხედრო
კედლის ღუმელთან  გაიშრობს მუნდირს...

ჩამოგორდება სემაფორიდან
სინათლე ლაღი და ხელუხლები.
შენ მიდიოდი
(მახსოვს) და წვიმა
სველ ფილაქანზე იდგა მუხლებით.

და შემოდგომის ხეების რიგი
ჩადგა ჩვენ შორის, ვით ბარიკადი.
წვიმით თუ ცრემლით სველი ნიკაპით
ვბრუნდებოდი  და ისევ მიყვარდი...

ბნელია კუპე. პატარა სადგურს
ნახევარმთვარის ურდული ადევს.
და სულერთია, სად წავალ ახლა,
ვივლი და... ალბათ ჩამოვალ სადმე.

# როგორ უყვარდათ საქართველოში

ყველა ერმა რომ თავისებური სიყვარული იცის, ეს აზრი პირველად ფილიპინებზე ყოფნისას ამედევნა.

ვარსკვლავთცვენა ყველგან ვარსკვლავთცვენაა, მაგრამ ერთი იქაური ახალგაზრდა პოეტის ლექსში არის ასეთი სახე:

ზეცის მუქ ლოყას ცეცხლოვან ღვარად,
ჩამოაწყდა სატრფოს ცრემლები...

ამ სიტყვებში იყო რაღაც გაცილებით მეტი შორეული კუნძულების მკვიდრთა ხასიათზე, ვიდრე ეს ნებისმიერ ეთნოგრაფიულ ცნობარში შეიძლებოდა ამომეკითხა.

თითქოს ჩემგან გაგონილი ყველა ფილიპინური მელოდიის ან აქვე ხილული ყველა უცნობი ყვავილის მხურვალე სუნთქვა შეგროვდა ამ ორ სტრიქონში...

გამახსენდა გალაკტიონის „აგვისტოდან“:

თითქოს ქალწულმა პირველად სცოდა
და სინანულის დაგუბდა ღვარი...

მაგრამ ეს მხოლოდ უნებლიე, შორეული მსგავსებით გამოწვეული ასოციაცია იყო...

ადამიანურ სიყვარულში ესთეტიკურად მნიშვნელოვანია ის, რაც მეტ-ნაკლებად სცილდება ჩვეულებრივის ფარგლებს, ანუ — იშვიათი, უნიკალური, უაღრესი.

მონტენს რომაული სიყვარულის უმწვერვალეს გამოვლინებად კონსულ პეტის მეუღლის, არიას სიტყვები მიაჩნდა: „Pate, non dolet“.

გადმოცემის თანახმად, ამ კაცს უძნელდებოდა თავის მოკვლა (რაც მას იმპერატორმა მიუსაჯა) და, აი, საყვარელი მამაკაცისთვის ნაბიჯის გასაადვი-

ლებლად ქალმა მას ქარქაშიდან ამოგლიჯა მახვილი, მის თვალწინვე დაიცა-მკერდში და ვიდრე სულს განუტევებდა, ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მეუღლეს:

„პეტ, ეს სრულებით არ არის მტკივნეული“.

დიდი სიყვარული შინაგან კულტურას მოითხოვს (არა უბრალო განათლებას, გემოვნებას ან გარეგნულ დახვეწილობას, არამედ შინაგან სიფაქიზეს), კერძოდ, რიტმის გრძნობასაც.

თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ ვინმე კრეჩმარი — ბებერი თხუნელა — მუსიკას ასწავლის ახალგაზრდა ლევერკიუნს და მის მეგობრებს — მუსიკალური შედევრების საიდუმლოებას აზიარებს მათ.

ბეთჰოვენის ერთ სონატას ბოლო ნაწილი აკლია, რაც ამ ჟანრის დაკანონებულ კომპოზიციას არღვევს.

კრეჩმარი მოულოდნელი შთაგონებით ასრულებს ამ სონატას და მერე აუდიტორიას მიმართავს:

— განა ამის შემდეგ შეიძლებოდა კიდევ რაიმეს დამატება? განა ასეთი განშორების, ასეთი დამშვიდობების შემდეგ კიდევ შესაძლებელი იყო შეხვედრა?

ასეთია კლასიკური ფორმა სიყვარულისა. აქედან მომდინარეობს პუშკინის:

Но пусть она Вас больше не тревожит.
Я не хочу печалить Вас ничем.

აკაკისაც:

გიყვარდი, აღარ გიყვარვარ,
მეფე ხარ შენი გულისა.

ამას უპირისპირდება სიყვარულის რომანტიკული გაგება, როგორც უზომობის, წრეგადასული ექსტაზის, მარადიული დაუოკებლობის...

რომანტიკული სიყვარულის ქრესტომათიული ნიმუშია გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“.

ასეთი გატაცება ჩვენში ნიკოლოზ ბარათაშვილმა იცოდა.

სიყვარულის ქალღმერთს უყვარს მსხვერპლი, მოთმენა, მაგრამ უფრო მეტად — უკიდურესობები და უაღრესობანი. ის ყველას ერთნაირად წყალობს, ვისაც კი მის სამსხვერპლოზე წრფელი ზვარაკი მოუტანია.

ქალწული ბეატრიჩე და მეძავი მანონ ლესკო მის საუფლოში გვერდიგვერდ სხედან.

ჩვენმა საუკუნემ ერთგვარი სკეპსისი გამოავლინა ამ გრძნობის მიმართ.

ბლოკი ამბობდა, რომ „დიდი ხანია წავიდნენ პაოლოსა და ფრანჩესკა და რამინის დროები", მაგრამ თვითონ შთამომავლობის მეხსიერებაში ახალი სიყვარულის მოციქულად დარჩა („მშვენიერ ქალის" ერთგულ პალადინად) და არა მის მესაფლავედ.

სიყვარულის ახალ სათაველებს გასული საუკუნე მსოფლიოს ეკზოტიკურ წერტილებში ეძებდა: ბაირონი — იორდანეს ნაპირებზე, მერიმე — ესპანეთში, პუშკინი — ბესარაბიელ ბოშათა შორის, სტენდალი — იტალიის ლაჟვარდოვან ცის ქვეშ, გოგენი — ტაიტიზე, ხოლო ლერმონტოვის დემონმა კავკასიას მიაშურა.

სიყვარულს აქვს საერთაშორისო კოდი და საყოველთაო, მუდმივი სიმბოლო, რომელსაც ყველა ცნობს, სულ ერთია, ბანოვანის ძვირფას სამაჯურზე იქნება ის ამოტვიფრული, თუ რეციდივისტის ტატუირებულ მაჯაზე.

და მაინც ყველგან და ყოველთვის მისი ნამდვილი ფასი უჩვეულობაშია, განცდის იმ უეცარ სიახლეში, რამაც ქართულ ენაზე ასეთი სიტყვები წარმოშვა:

ნუთუ, ამ სულის წადილსაც
რქვა სიყვარული სხვათაებრ?

არათუ მთელი ერის, ერთი ადამიანის სიყვარულიც იცვლება ასაკის, სულიერი მდგომარეობის, ასევე, ცხადია, სიყვარულის საგნის ცვალებადობის მიხედვით.

მაგრამ, როგორც ყოველ პიროვნებას, ასევე ყოველ ერსაც, აქვს სიყვარულის რაღაც არსებითი, თავის გულის გულში, საყრდენთა საყრდენში უცვლელი თავისებურებაც.

ყველაზე ძნელი და, აბსოლუტური თვალსაზრისით, შეუძლებელი სწორედ ამ სიღრმისეული თვისების ამოცნობაა.

რომელი სახე შეიძლება გამოდგეს ჩვენებური სიყვარულის უზუსტეს ემბლემად?

მე თვითონ ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი არა მაქვს. რაც უფრო ახლობელია საგანი, მით უფრო ძნელია მისი მთლიანად აღქმა.

უბრალოდ, ვიგონებ:

ჩემს ბავშვობაში, ერთი უფროსი თაობის პოეტი მეგობრებთან სერობის დროს უსათუოდ წამოიწყებდა:

შენ ჩემო დიდო იმედო,
კოშკო ნაგებო კირითა...

ჰიმნივით კითხულობდა. მხოლოდ გვიან გავიგე, რომ ეს იყო სატრფიალო ლექსი და ამ „კოშკშიცა" და „კირშიც" საყვარელი ქალის გარეგნობა იგულისხმებოდა.

რაღაც იდუმალებაა ამ ლექსში, რომელსაც ბოლომდე ალბათ ვერასდროს ამოვხსნი. განსაკუთრებით ორი სიტყვა მაღელვებს: რატომ მაინცდამაინც „დიდო იმედო"? არა მგონია — მარტოოდენ თანხმიერებისთვის. აქ რაღაც სხვა აზრია, უფრო ტევადი, უფრო მნიშვნელოვანი. რატომ ყლერს ასე გარკვევით აქ მარადიულობის, წარუვალობის განცდა (თუ „კოშკი" მხოლოდ სხეულია, მხოლოდ გარეგანი ხატი სატრფოსი — „ხორცი" ანუ მატერია?!

ან ეს „კირი" — ნუთუ, მხოლოდ სითეთრეს ნიშნავს?

თუმცა სხვა ხალხურ ლექსში ხომ პირდაპირ არის ნათქვამი:

ქალაუ, ისე თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირიო.
ღამის-ღამ მამაგონდები
წამოვჯდები და ვტირიო.

და მაინც: მხოლოდ კირია ეს, თუ ქვით-კირიც — სიმტკიცისა და შეუვალობის სიმბოლო?

და კიდევ ერთი: ეს საზეიმო ჰიმნის ინტონაციით სათქმელი ლექსი, რო-

მელშიც ყველაფერი ამაღლებულია, პათეტიურია, „უკვდავების წყაროს“ ზღაპრული სიწმინდით ლივლივებს, მოულოდნელად მთავრდება თითქმის შეუნიღბავი, მიწიერი, სურვილის გამხელით:

შენთანაც ყოფნით გამაძღო,
შენთანაც წოლა-ძილითა.

რამ შეათანხმა ეს ორი ნაკადი — ერთის მხრივ, სიყვარულით აზვავებული სულის დიდი ხმოვანება, მეორეს მხრივ „ხორციელების“, თბილი სარეცლის მაცდური სურნელი?

ან ამ ლექსის დასაწყისისა და დასასრულის ბგერწერა შევადაროთ ერთმანეთს: ერთის მხრივ, „დიდო იმედო“, — მეფე ზარის ზვიადი გუგუნი, რასაც შემდეგ გარკვევით ერთვის მთელი სამრეკლოს რეკვა და კაშკაში — („კოშკო ნაგებო კირითა“), ხოლო მეორეს მხრივ: ვნებით ატანილი მამრის ყეფა თუ ღუღუნი („ყოფნით“, „გამაძღო“) და აქვე: „წოლა — ძილითა“, სადაც სისინა „წ“-სა და „ძ“-ს მყივანი სიმძაფრე რბილად ჩამთბარა „ლ“-ს დამაოკებელ სილბოში.

რა აზრი დევს ამ ორი მკვეთრად განსხვავებული ენერადობის კონტრასტულ მთლიანობაში? — სად არის საძიებელი საყრდენი ანუ სათავე სულისა და მატერიის, „ცისა და მიწის“ ესოდენ მკვიდრი სინთეზისა, ანუ იმ უჩვეულო ფენომენის პირველ მიზეზი, რასაც ვაჟა-ფშაველა „უკიდურესი იდეალიზმისა“ და „უკიდურესი რეალიზმის“ ერთიანობას უწოდებდა.

* * *

„ქართული სიყვარულის“ უძველესი აღნაბეჭდები ანტიკურმა ძეგლებმა შემოგვინახეს; ბერძნულმა წყაროებმა — მედეას მითოსის, ხოლო რომაულმა — რადამისტისა და ზენობიას თავგადასავალის სახით.

ორივე ამ ტრაგიკული სიუჟეტის ხერხემალი სიყვარულის გრძნობაა, ხოლო ტრაგიზმის მთავარი მიზეზი — დამსხვრეული ბედნიერება ანუ დაკარგული სიყვარული.

ორივე ამბავი თავისებური იშვიათობაა და ალბათ პირველ რიგში ამის გამოც იწვევს ბერძენი და რომაელი აკტორების განსაკუთრებულ ინტერესს, —

როგორც უაღრესი, უჩვეულო რამ, ერთგვარი გამონაკლისი საყოველთაო წესიდან.

ორივე შემთხვევაში გადამწყვეტი აქტი უკიდურესი აფექტაციის ფონზე ხორციელდება, მაგრამ თვით აფექტი გააზრებულია, როგორც პერსონაჟის ხასიათის ბუნებრივი გამოვლინება, მისი ზნეობისა და ემოციური წყობის კანონზომიერი შედეგი.

გერონტი ქიქოძე წერილში „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან", იგონებს რა ტაციტუსის მოთხრობას რადამისტისა და ზენობიას შესახებ, ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს:

„ეს პირქუში სული, ეს სტიქიონური ვნებათა ღელვა ძლიერ დამახასიათებელია ძველი იბერიელებისათვის".

ტაციტუსის მონათხრობიდან ყველაფერი მართლა ასე ჩანს. მაგრამ ჯერ ერთი, ვინ იცის, რამდენი სახეცვლილება განიცადა ნამდვილმა ამბავმა, ვიდრე ის რომაელი ავტორის თხრობის საგნად იქცეოდა და, მეორეც, ყველაფერი ზუსტად ასეც რომ მომხდარიყო, ეს ხომ მაინც ინდივიდუალური ხასიათის გამოვლინება უფროა, ვიდრე მთელი ტომის (მომავალი ეროვნების) თვისებისა.

ამ გაგებით, „პირქუში სული" უცხო არ უნდა ყოფილიყო ძველი კოლხებისთვისაც. ბერძნული გადმოცემა მედეას შურისძიების შესახებ, როგორც ჩანს, სწორედ ასეთ წარმოდგენას ეყრდნობა.

ოღონდ ყოველივე ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ შენაკადია ქართული ხასიათისა და არა მისი მუდმივი ატრიბუტი.

რადამისტისა და მედეას სიუჟეტებში ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა მ დ ე ლ ი ქართველობის ზნეობრივი სინამდვილის ნამსხვრევებია შემონახული.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ეს სინამდვილე უთუოდ მოდიფიცირებულია (არაქართული წყაროებისა, ან მტრულად განწყობილი ინტერპრეტატორების მიერ), მაგრამ მათში რეალური მარცვლებიც უნდა იყოს შემორჩენილი.

გამორიცხული არ არის, რომ ორივე ეს ამბავი საქართველოშივეა შეთხზული (ან მომხდარი) და აქედან იქნა ნასესხები სხვათა მიერ.

აკაკი წერეთელს, კერძოდ, ეჭვი არ ეპარებოდა მედეას სიუჟეტის ქართულ წარმომავლობაში.

თუ ეს ასეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულმა პირველწყარომ თავისი ზნეობრივი წარმოდგენებიც გამოხატა ამ სიუჟეტებისა და სახეების მეშვეობით. კერძოდ, მედეას შურისძიება, როგორც ჩანს, გააზრებული იყო, როგორც ანომალია — წრეგადასული, არაადამიანური მოქმედება.

მედეას საქციელი სიძულვილის, უფრო ზუსტად, სიძულვილად გარდაქმნილი სიყვარულის შემზარავ გამოვლინებად წარმოისახება. ეს არის უკიდურესი ფორმა სწორედ იმ „მტრობისა", რომელიც ქართველი ხალხის თვალში — „მშენებელი" სიყვარულის საპირისპიროდ — „ნგრევის" (ანუ სიცოცხლის მოსპობის, ანტისიცოცხლის) პირველმიზეზია.

ძველი იბერიელების ფსიქოლოგიის ჩვენს მიერ ზემოგანხილულ დახასიათებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ასპექტი: „თუ რა დაუნდობელნი იყვნენ ისინი (ქართველთა წინაპრები — გ. ა.), როდესაც საკითხი მათ პირად ბედნიერებას ეხებოდა".

ზოგადი თვალსაზრისით ეს სწორედ წარმართული (ანუ ქრისტიანობამდელი „ანტიქრისტიანული") ფორმაა ბედნიერების ძიებისა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ წარმართული საწყისი არ.ვ ამ გაგებით წყვეტს სავსებით თავის არსებობას ქართულ სინამდვილეში.

ქართული ხასიათი, ჩვენი კლასიკის (პირველ რიგში რუსთაველის) მიხედვით, ბედნიერების მაძიებელი ხასიათია, ხოლო სიყვარული ამ ხასიათისთვის ბედნიერებით აღვსების უმწვერვალეს ფორმად წარმოდგება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობამ ბედნიერებისა და სიყვარულის საკუთარი მოდელი შექმნა.

საკუთრივ ქრისტიანული (საეკლესიო) მწერლობა საქართველოშიც ძირითადად ამ მოდელს ამკვიდრებს. ხორციელი გრძნობა აქ, რა თქმა უნდა, გამორიცხულია( ან მაქსიმალურად შეზღუდული). მაგრამ ვისაც ჩვენი ჰიმნოგრაფების თხზულებები დაკვირვებით წაუკითხავს, უთუოდ შეამჩნევდა იმ ფარულ ვნებას, იმ საოცარ მხურვალებას განცდისას, რაც თან ახლავს მათ მიერ უზენაესის მისამართით აღვლენილ ღვთაებრივ სიყვარულს.

ცხადია, ჩვენი სასულიერო პოეზია ამ მხრივ სრულ უნიკუმს არ წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურაში. უბრალოდ, მისი ნიმუშების დიდი ნაწილი ქრისტიანობის მიერ შექმნილ იმ პოეტურ ქმნილებათა რიგს განეკუთ-

ვნება, რომელთა ემოციურ ტონალობას სწორედ ამგვარი მგზნებარება ახასიათებს.

არც იმის დავიწყება გვმართებს, თუ როგორი გატაცებით თარგმნიდნენ ძველ საქართველოში ძველი აღთქმის იმ ნაწილს, რომელიც დღემდე ხორციელი სიყვარულის აპოთეოზად ეღერს. მხედველობაში მაქვს ქართული „დაბადების“ ნამდვილი მარგალიტი — „ქება-ქებათა“.

დიდად საგულისხმოა აგრეთვე, რომ ჩვენი სასულიერო პროზა არა თუ გვერდს არ უვლის ამქვეყნიური, მიწიერი ურთიერთლტოლვის თემას, არამედ გარკვეულ ინტერესსაც იჩენს სექსუალური სიყვარულის უმძაფრეს გამოვლინებათა მიმართ.

თუ შუშანიკისა და ვარსქენის კონფლიქტის ეროტიული გააზრება დღეისთვის მხოლოდ სადავო ჰიპოთეზად რჩება, სრულიად აშკარა უნდა იყოს მხატვრულ-ემოციური ზემოქმედება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ იმ პასაჟისა, რომელშიც აშოტ-კურაპალატის სასიყვარულო გატაცების ამბავია გადმოცემული:

„ნეტარ მას კაცს, რომელ ცოცხალ აღარ არს!“ — წართმეული სიყვარულით სასოწარკვეთილი მამაკაცის ეს ლაპიდარული აღსარება მხოლოდ ხორცის მწუხარებას არ გამოხატავს, ამ სიტყვებში ჭრილობამიყენებული სულის ტკივილიცაა ნაგულისხმევი.

ღვთაებრივი სიყვარულის ქართული ვარიანტის დამახასიათებელი ნიმუშია დიმიტრი მეფის „შენ ხარ ვენახი“, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ქრისტიანულ საგალობელს უდევს საფუძვლად:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული.
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული...

რელიგიური განცდის საგანი აქ წარმოსახულია როგორც მარადი გაზაფხულის, მიწისმიერი ნაყოფიერების, აღორძინებული სიცოცხლის განსახიერება.

საერთოდ „რელიგიური ეროტიკა“ საკმაოდ განვითარებული მოტივია ქართულ სასულიერო პოეზიაში.

ისიც უნდა ვთქვათ: რა წარმოშობისაც უნდა იყოს ვენახისა და ვაზის (ვაზის ჯვრის) ქრისტიანული სიმბოლიკა, დიდად დამახასიათებელია, რომ მას სწორედ ქართულ ნიადაგზე ეწერა ესოდენ სრულად შეფოთვლა.

იმის თაობაზე, თუ როგორი აზრის იყვნენ ჩვენი ღვთისმოსავი წინაპრები ხორციელი სიყვარულის (როგორც „ცოდვა—ქმნის" ერთ-ერთი უმძაფრესი სახეობის) შესახებ; ნათლად მეტყველებს ქობაირის მონასტრის (XIII ს.) საფლავის ქვის ახლახან ამოკითხული წარწერაც:

წამოვედით სოფლისაგან ცოდვაქმნილნი და გამკრთალნი;
გულსა ცეცხლი მომედების, ამომდიან პირით ალნი.
დიდთა მათთა შვებათაგან დამრჩეს ჩოხის ნაფერთალნი,
კურთხეულ ხარ, ქრისტე ღმერთო, შენ და შენი სამართალნი.

მხატვრულ სახეს აქვს ზემოქმედების დამოუკიდებელი ძალა, რომელიც ზოგჯერ ჩანაფიქრს ჭარბობს. აქ სწორედ ასეთი შემთხვევაა:

ეს „დიდთა შვებათ" ნაზიარევი, სამუდამოდ ცეცხლმოკიდებული გული, რომელიც საფლავშიც განაგრძობს ბრიალს („ამომდიან პირით ალნი"!), გაცილებით მეტს გვამცნობს საბედისწერო ხანძრის გამჩენ ვნებათა გამო, ვიდრე ამის თქმა ეპიტაფიის ავტორს ჰქონდა განზრახული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამის დამწერს, ვითარცა მორალიზატორს, ჯოჯოხეთის გეენის ტრადიციული წარმოდგენა ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ როცა ამას წერდა, ეტყობა, მასში პოეტმაც გაიღვიძა.

ხატოვანი ლოგიკის ძალით, მიწიერი ვნება აქ სიკვდილზე ძლიერ სტიქიად გვეცხადება. თავს ნებას მივცემ, ოდნავ მივყვე და განვავითარო ქობაირული მეტაფორა: ეს მიწიდან აღმომსკდარი ხანძრის წითელი ენები ძალიან გავს იმ მეწამული ვარდის ბუჩქს, რომელიც ქართველი ხალხის წარმოდგენამ აბესალომისა და ეთერის საფლავზე ამოზარდა.

ჩვენ ვიცით, რომ სიყვარულმა როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ სამყაროში თავისი მეტაფიზიკა შექმნა.

დასავლეთ ევროპაში ამ გრძნობის ერთ-ერთი ყველაზე დაკვირვებულ „სპეციალისტთაგანი", სტენდალი თავის ვრცელ ტრაქტატში „სიყვარულის

გამო“ ერთმანეთისგან განასხვავებს სიყვარულისა და სიყვარულით მოპოვებულ ბედნიერების ეროვნულ ვარიანტებს, განსაკუთრებით ფრანგულს და იტალიურს.

ფრანგულ ვარიანტში მთავარ ნიშნად მას პატივმოყვარეობის დიქტატი წარმოუდგება, იტალიურში კი შიშველი, ღრმა ვნებისა.

პატივმოყვარეობა გალანტურობაში ვლინდება ძირითადად: „გალანტურობას კი მეტი (ვნებასთან შედარებით — გ. ა.) გრაცია ახლავს, მეტი დახვეწილობა, — წერს სტენდალი, — და ამის გამო მეტი ბედნიერება მოაქვს საფრანგეთში“. „გრძნობაზე დაფუძნებული ბედნიერება კი (ანუ იტალიური ვარიანტი — გ. ა.) არ შეიძლება იყოს პატივმოყვარეობის საგანი“.

რა შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით, ბედნიერების გაგების ქართულ ვარიანტზე? როგორც ჩანს, სტენდალის კლასიფიკაციის მიხედვით, ჩვენ სადღაც შუაში უნდა მოვხვდეთ, ვინაიდან არც პატივმოყვარეობა გვაკლია (შესაბამისი გრაციოზული გაფორმებით) და არც ნამდვილი ვნებებით ვართ ღარიბნი.

ჩვენმა ძველებმა რომ კარგად იცოდნენ ადამიანურ ვნებათა საბედისწერო ძალა, ეს განსაკუთრებით მკაფიოდ ხალხურ პოეზიაში გამოჩნდა.

ამ მხრივ საგანგებო ინტერესს იწვევს მურმანის სახე ქართულ „ეთერიანში“. სწორედ ამ სახეში გაიხსნა განსაკუთრებული ექსპრესიით სიყვარულის „დიალექტიკა“ — მისი წინააღმდეგობრივი არსი.

მურმანი უაღრესად საინტერესო სახეა ქართული მითოლოგიისა; ხალხური მინდიას მსგავსად, არც ის არის რაიმე იდეის უბრალო განსახიერება. ამას მოწმობს მისი ტრაგიკული გააზრება ხალხის წარმოდგენაში.

მურმანი (მინდიასაგან განსხვავებით) ეგოცენტრიკოსია. ბედნიერებას მისთვის მხოლოდ ერთი ასპექტი აქვს — პირადი. ბედნიერება, რომელიც მას სჭირდება, მხოლოდ ეთერის ანუ სექსუალური სიყვარულის სახით არსებობს. სხვა წყარო, მისი სულის წადილის დასაკეცლად, უბრალოდ არ მოიპოვება ბუნებაში.

ამ ბედნიერებისთვის ის არაფერს არ იშურებს, თვით სულსაც. ე. ი. ამქვეყნიური ნეტარებისთვის სამუდამო ტანჯვაზე თანხმდება. საგულისხმოა,

ისიც, რომ მამაკაცური პატივმოყვარეობა და ვნება მის ხასიათში ერთ იმპულსად მთლიანდება.

მურმანის სახეს, ისევე როგორც გველისმჭამელისას, ჩვენი ინტერესი დასავლური კულტურის ფუნდამენტურ წარმოდგენათა სფეროებში გადააქვს.

მურმანი იგივე „სული ბოროტია", უფრო ზუსტად, „ბოროტი სულია" ის მთავარი ელემენტი, რაც მის არსებაში დაბინადრდა და რაც მის ხასიათს და მოქმედებას განსაზღვრავს.

აქ, როგორც ჩანს, არ ღირს ამ სახის (ბიბლიის მიხედვით, სამოთხიდან განდევნილი ანგელოზის) ლიტერატურული გენეზისის მიმოხილვა.

ყველაზე საგულისხმო ჩვენი დროისთვის, ვფიქრობ, ფრანსისეული გააზრება უნდა იყოს — ერთგვარი შეჯამება მისი ევოლუციისა ბიბლიიდან XX საუკუნემდე.

ანატოლ ფრანსის სატანა ისევე, როგორც ბაირონის ლიუციფერი, აქტიური საწყისია კაცობრიობის ისტორიისა.

ქართულ ნიადაგზე ამ მოტივს გახარება არ ეწერა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენს მწერლობაში სათანადო განვითარება ვერ ჰპოვა მისმა ზოგად კულტურულმა შინაარსმა (ამ უკანასკნელს საქართველოში არსებითად მხოლოდ ჭაბუკი ბარათაშვილის გენიამ მისცა დროებითი გასაქანი); ასეც რომ არ ყოფილიყო, მისი განვითარება, როგორც ჩანს, ამგვარი გეზით არ წარიმართებოდა, ვინაიდან ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში ქმედითი (მშენებელი, შემოქმედი) ძალის როლს, ტრადიციულად, სიკეთე ასრულებს და არა ბოროტება.

მურმანის სახეც (მიუხედავად მისი ხასიათის მკვეთრად აქცენტირებული აქტიურობისა) სინამდვილეში არაჭეშმარიტი, არასრულფასოვანი და ამდენად უდღეური, უპერსპექტივო ქმედების მომასწავებელია.

მურმანის ენერგია, ხალხის თვალში, ბოროტი ენერგიაა. ამის გამო მას არაფრის წარმოქმნა („აშენება") არ შეუძლია. მისი „ბროლის ციხე" მხოლოდ მირაჟია, მხოლოდ ეფემერული ხუხულაა, ვინაიდან არც მკვიდრი ბალავარი აქვს, არც ნამდვილი კედლები და მისი პატრონიც საბოლოოდ (ეაჟას მიხედვით) მშიერი ნადირივით უნდა აყმუვლდეს „ხრამებში, მთაში და ღრეში".

საოცარია: ვაჟა-ფშაველა თავის მურმანს (შერეს) პოემის ფინალში ოიდიპოსის ტრაგიკულ ზრახვას მიაწერს.

თვალებს დაითხრის ბედკრული, თვალებსა დაშინებულსა...

მურმანი შეძრწუნებულია არა მხოლოდ და არა იმდენად თავისი მარცხით, რამდენადაც თავისი ნამოქმედარით.

საკუთარ გულთან ის, რასაკვირველია, მართალია, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს იყო თვითკერძი გულის ფსევდოსიმართლე, ვნებით ამღვრეულ გონების მოჩვენებითი ჭეშმარიტება.

სწორედ ამის გამო აირია ყველაფერი: „სიყვარული" „მტრობად" იქცა, „შენების" სურვილი „ნგრევად" მობრუნდა...

* * *

„სიყვარულის დიალექტიკის" ღრმა წვდომით გამოირჩევა რუსთაველის პოემის მთელი რომანიული შინაარსი. შინაგანი, ცნობიერი (გარკვეულ მომენტებში, ქვეცნობიერი) განვითარება ამ გრძნობისა აქ მის განსაკუთრებულ სიმდიდრეს და მრავალფეროვნებას წარმოაჩენს.

თუ, მაგალითად, ნესტან-დარეჯანის წერილს ტარიელისადმი დამოუკიდებლად განვისილავთ, ეს უკანასკნელი თავისი შინაარსით რომანტიკული განწყობილების ტიპიურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოემის ეს თავი („წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან") გარკვეულ მიმართებაშია ნაწარმოების მთელ კონტექსტთან. ეს არის მხოლოდ ერთი ნაკვთი იმ მთლიანობისა, რომელსაც ამ შემთხვევაში ნესტან-დარეჯანის ხასიათი წარმოადგენს.

გავიხსენოთ, რა მძვინვარე ქალურ ვნებას ამეღავნებს ნესტანი ტარიელთან პირველი შეხვედრისას.

სწორედ სატრფოს ამ განრისხებულ სახეში გაიხსნა პირველად ტარიელისათვის მისი ბუნება, რამაც მას ვეფხის ტყავი აარჩევინა თავისი დაკარგული სიყვარულის ნიშნად.

„მიპარვით მოკალ სასიძო" — ურჩევს თავის სატრფოს ახალგაზრდა ქა-

ლი და ეს სიტყვები ნაკარნახევია არა სასოწარკვეთით მოცული გონების წამიერი დაბნელებით, არამედ მოქმედების ზუსტად გააზრებული გეგმით. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ნესტანის ხასიათის ამ ნაკვთებში შემოინახა ყველაზე მკაფიოდ სიყვარულის (ბედნიერებისთვის ბრძოლის) წარმართული გაგების აღნაბეჭდები.

მაგრამ ხასიათის განვითარება აქ არ მთავრდება.

ქაჯთა მიერ დატყვევებულ ნესტანში (როდესაც მისი სული უკვე ეზიარა ნამდვილ ტკივილს და უსასოობას), ვნების სიმძაფრეს თანდათან ძლევს უფრო ღრმად გაცნობიერებული, საბოლოოდ მომწიფებული გრძნობა. მისი სიყვარული აქ უფრო ქალურია, უფრო რბილი და სათუთი. თუ ადრე იგი ტარიელისაგან კატეგორიულად მოითხოვდა ფათერაკთან დაკავშირებულ საგმირო მოქმედებას, ახლა გულწრფელად ევედრება მას, თავი აარიდოს უაზრო ხიფათს:

შენ მკვდარსა გნახავ, დავიწვი, ვითა აბედი კვესითა;
მოგშორდი, დამთმე გულითა კლდისაცა უმაგრესითა.

ნესტანის ქალურ ნდომას არ დაუკარგავს თავისი სიძლიერე, მაგრამ მას შეემატა სევდანარევი სინაზის, ზრუნვის, მეურვეობის ელფერი. ტარიელი მისთვის კვლავ საოცნებო მიჯნურია, მაგრამ ამავე დროს, ახლობელი, უსაზღვროდ ძვირფასი ადამიანიც.

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენს წინ არის არა მხოლოდ ხასიათი, არამედ მისი ბუნებრივი, ფსიქოლოგიურად კანონზომიერი განვითარებაც და, რაც მთავარია, ძნელი არ უნდა იყოს იმის შემჩნევა, რომ ამ ევოლუციის მთავარი ხაზი სწორედ იმ გზას მისდევს, რომელიც ქართულმა ცნობიერებამ გაიარა წარმართობიდან ქრისტიანობამდე, ოღონდ არა სრული თვითუარყოფის, არამედ ურთიერთშევსებისა და ურთიერთგამდიდრების უაღრესად თავისებური ფორმით.

* * *

შემდგომი საუკუნეები, რუსთაველისგან განსხვავებით, სიყვარულის შედარებით მარტივ კონცეფციებს გვთავაზობენ, მაგრამ გზადაგზა (განსაკუთ-

რებით ქართული „ალორძინების“ ხანაში) აქაც რამდენიმე მწვერვალი აღჩნდება ჩვენს თვალწინ.

ბესიკის „ტანო ტატანო“, რომელშიც რაფინირებული იერი შეიძინეს ძველი ქართული სატრფიალო ლირიკის მოტივებმა და სახეებმა, თავის მხრივ იქცა საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციის წყაროდ — თავისებურ ლირიკულ კარაბადინად, რომელშიც მისი მიმდევრები მზა პოეტურ რეცეპტებს ამოიკითხავდნენ.

თვით ბესიკთან სიყვარული ტრაგიკული განცდაა. ეს ინტონაცია ინერციის ძალით გადადის მისი მიმბაძველების შემოქმედებაშიც, მაგრამ თანდათან ჰკარგავს თავის შინაგან გამართლებას და თავისებური გალანტური თამაშის იერს იღებს. ეს არის თამაში გრძნობებით, სახეებით, რითმებით. ნამდვილი, „შიშველი“ ვნება ადგილს უთმობს ოსტატურად დადგმულ მელოდრამას.

დავით გურამიშვილის პოეზიაში განუზომლად უფრო მკაფიოდ, ვიდრე მისი ეპოქის სხვა რომელიმე პოეტის შემოქმედებაში, მოჩანს ცოცხალი, არაპირობითი პიროვნება, თავისი ცოცხალი, არაპირობითი განცდებით. აქ იღვიძებს განსაკუთრებული ინტერესი რეალური ადამიანის ინტიმური სამყაროსადმი.

ქართველ რომანტიკოსთა სულიერი ნათესაობა გურამიშვილის პოეტურ სამყაროსთან სათავეს იღებს იმ სულისკვეთებაში, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ, „რეულში“ არის განცხადებული:

ხორცია მიწა ტალახი,
საწუთროს ფეხით ნალახი,
სული უსხეულ მყოფელი,
აქვს საუკუნო სოფელი...

და მაინც დავით გურამიშვილის შემოქმედებაშივე შენარჩუნებულია ქართული სიყვარულის მეორე სტიქიაც, რომლის თბილი სუნთქვა აქ თითქმის გამუდმებით იგრძნობა.

შემთხვევითი არ არის, კერძოდ, რომ „ზუბოვკის“ ავტორი ისე ბუნებრივად ახვევს ხორციელ სამოსელში თავის ღვთაებრივ ზეშთაგონებას

(„მარადი სამყოფის კართა გამღებისადმი"), რომ თანამედროვე მკითხველს აზრადაც არ მოდის, უკრაინელი ლამაზმანის წარმტაცი გარეგნობისა და მისი ხილვით აფეთქებულ ვნების მიღმა („შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი") რაიმე ტრანსცენდენტური იდეა იგულისხმოს.

* * *

XIX საუკუნეში ქართული სიყვარული მეტად საგულისხმო ევოლუციის გზას გაივლის.

ამ ახალ გზაზე პირველი ნიშანსვეტი სიყვარულის ალ. ჭავჭავაძისეული გაგებაა. რუსთაველისაგან განსხვავებით, ეს გრძნობა ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში გააზრებულია, უწინარეს ყოვლისა, როგორც უშუალო ხორციელი ტკბობის წყარო.

ნუ ეტრფით ვარდსა გარს შემოვლებით,
მიეახლენით გულისა ხლებით,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა.

სიყვარული ალ. ჭავჭავაძისთვის, მიუხედავად იმისა, რომ პოეტი მას სხვადასხვა ვარიაციებით, სხვადასხვა ემოციური ასპექტით გადმოგვცემს, არსებითად ერთგვაროვანი, მარტივი გრძნობაა — ყოველი სულდგმულისთვის ერთნაირად მისაწვდომი და გასაგები.

ამ პოეტისთვის ჯერ კიდევ უცხოა განსაკუთრებულის, არაჩვეულებრივის განცდა, იმგვარი ხასიათის სულიერი მოძრაობა, რომელმაც მის უმცროს თანამედროვეს, ნიკოლოზ ბარათაშვილს ათქმევინა:

მოკვდავსა ენას არ ძალუძს
უკვდავთა გრძნობით გამოთქმა.

გრ. ორბელიანი ამ მხრივ „მგრძნობელობის" ახალ მიჯნას უახლოვდება. სწორედ ის იყო გასული საუკუნის პირველ პოეტთაგანი, რომელმაც დაახლოებით იმ დროს, როდესაც ტიუტჩევის „Silentium" იწერებოდა, თავის „გამოსალმებაში" არანაკლები სიმძაფრით გამოთქვა რომანტიკული დაუკმა-

ყოფილებლობა სიტყვით, როგორც ადამიანის ინტიმურ განცდათა გამოხატვის არასრულყოფილი საშუალებით:

ნამდვილი ტრფობა, გინა რა სიტყვათ ეძებდეს, ვერ ჰპოვებს,
რათა გამოსთქვას თვის გრძნობა და მისთვის ოხრავს, მდუმარებს.

საერთოდ კი გრ. ორბელიანის შემოქმედება გარკვეული წინააღმდეგობის დაღით არის აღბეჭდილი. მთელი მისი სატრფიალო ლირიკა გამსჭვალულია შინაგანი, ფარული კონფლიქტით წარმართულ სენსუალიზმსა და სიყვარულზე ახალ რომანტიკულ წარმოდგენათა შორის.

ქართული ლირიკის ინტიმური საყრდენების ნამდვილი განახლება ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

სიყვარულის ბარათაშვილისეული გაგება თავისი შინაარსით, მკვეთრად უპირისპირდება ბესიკისა და, განსაკუთრებით, ალ. ჭავჭავაძის ეროტიკულ კონცეფციას.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების,
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჭვალები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცები!

მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

ამ სიტყვებში განცხადებულია ქართული სიყვარულის ახალი, ეპოქისეული კონცეფცია.

როგორც ვიცით, ბარათაშვილს თვალი არ აურიდებია იმ სილამაზისთვისაც, რომელსაც ის „ხორციელების ნიჭს“ უწოდებს, მაგრამ „მერანის“ ავტორისათვის პოეზიის მთავარ შინაარსს (რუსთაველისა და შემდგომ ვაჟა-ფშაველასაგან განსხვავებით), წარმოადგენს არა „ფერუთვალავი“ ხილვადი

სინამდვილე, არამედ, უპირატესად, ადამიანის შინაგანი, სულიერი, „ზემატერიალური“ სამყარო.

ეს მეორე უხირცო და, ამის გამო, უხრწნელი, მარადიული რეალობა მას მიაჩნია უფრო მაღალი მშვენიერების გამოვლინებად, ვიდრე ის თავისთავად მომხიბლავი სილამაზე, რომელიც სწორედ თავისი „ხორციელების“ გამო, პოეტის თვალში დროებით, წარმავალ „ნივს“ წარმოადგენს.

აუცილებელია ოღონდ აღინიშნოს ისიც, რომ ეს თავისებური მსოფლგაგება არასოდეს არ გადაზრდილა შეზღუდულ ეგოცენტრიზმში. მართალია, სიყვარული ბარათაშვილისთვის ყოველთვის უნიკალური ინტიმური მოძრაობაა და თითქმის აღარაფერი აქვს საერთო ამ გრძნობის ტრივიალურ გაგებასთან, მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ მისი პოეტური გამოხატვისას ის ობიექტური სინამდვილიდან ნასესხებ მდიდარ „მატერიალურ“ ფორმებსა და საღებავებს მიმართავს, და, სწორედ ამ გზით, ცდილობს პირად, სუბიექტურ განაცადში უნივერსალური შინაარსის განჭვრეტას.

ლექსში „არ უკიჟინო სატრფოო“ სიყვარულით გამოწვეული განწყობილება გადადის ყოვლისშემძლე და ყოვლისმომცველ სულიერ ენერგიაში, ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც გრანდიოზული აფეთქებები მზის ზედაპირზე, მიემართება არა პოეტის ინტიმური სამყაროს სიღრმეებისაკენ, არამედ უკიდეგანო „კოსმიურ“ სივრცეებს განეფინება.

სიყვარული აქ იხარჯება უნივერსალურ სიკეთეში და ამდენად საყოველთაო, აქტიურ, ცხოველმყოფელ ხასიათს იძენს:

> მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
> საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
> მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
> რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.

* * *

ილიას და აკაკის სატრფიალო ლექსები ახალ კარს ხსნიან XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ ი. ჭავჭავაძის ადრინდელი ლექსი „მეც შავ თვალებს“... აქ პოეტური წარმოსახვის მთავარ საგანს კვლავ საყვარელი ქალის გარეგნობა წარმოადგენს. მაგრამ ილიას მეტაფორისტიკა უკვე საგრძნობლად განსხვავდება „აღმოსავლური“ დითირამბული სტილისგან. სატრფოს თვალები შედარებულია „წყვდიადთან“, „ქარიშხლიან ზღვასთან“, პოეტი მათში ხედავს „არწივის თავისუფლებას“, რაც ილიასთვის უკვე სავსებით ორგანული, დამოუკიდებელი ასოციაციით ნაკარნახევი სახეა.

ფორმალური თვალსაზრისით ილია განსაკუთრებით ახლოს დგას ბარათაშვილის ინტიმურ ლირიკასთან თავის ადრინდელ ლექსში „მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით“. აქ თვით პოეტური ლექსიკაც კი აშკარად ბარათაშვილისებურია: „ქალწულობის კრთომით“, „მორცხვობით“, „ლოცვით“, „ლმობით“ და სხვ., მაგრამ ამავე ლექსში უკვე ადვილად შეინიშნება ჭაბუკი ილიას დამორება „რად ჰსვედრი კაცსა, ბანოვანოს“ ავტორთან.

ამ პოეტური ნაწარმოების მთავარ, წამყვან ლირიკულ თემას წარმოადგენს არა ხორციელი შინაარსისაგან განწმენდილი, წმინდა რომანტიკული სულიერი განწყობილება, არამედ რაინდული მოკრძალებით შეკავებული მძაფრი, ჭაბუკური ვნება.

აკაკის ადრინდელ ლექსებში „საიდუმლო ბარათი“, „სიყვარული“, „გაუბედავი სიყვარული“, „იმერული სიმღერა“, „მუხამბაზი“ ახალგაზრდული ნდობა განზავებულია მსუბუქი სევდის, უპასუხოდ დატოვებული სიყვარულით გამოწვეული ტკივილისა და ამ ტკივილთან შ ე რ ი გ ე ბ ი ს გრძნობით.

ჭეშმარიტი დრამატიზმის მოტივები მის ლირიკაში გაცილებით უფრო გვიან გაჩნდა.

შესანიშნავია, ამ მხრივ, ლექსი „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“. იგი მოულოდნელ შუქს ჰფენს პოეტის სულიერ ხვედრს. ეს ლექსი გვიმხელს მწვავე, მოუშუშებელ ჭრილობას, ადამიანური სითბოს, ყურადღებისა და ალერსის დაუკმაყოფილებელ წყურვილს, სიმარტოვის უცნაურ გრძნობას. და ამას წერს არა სამშობლოდან გადახვეწილი, უსახელო ყარიბი მგოსანი, არამედ პოეტი, რომელსაც მთელი საქართველო ხელის გულზე ატარებდა...

გასულ საუკუნეში სიყვარულის ეროვნული კონცეფცია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში კრისტალდება საბოლოოდ.

ვაჟასთვის სიყვარული მთელი უნივერსუმის სუბსტანციური, არსისმიერი თვისებაა, ანუ სამყაროს ის ფარული კანონზომიერება, რომელსაც ადამიანის „ახალად ახელილი თვალები“ უნდა მისწვდნენ და იწამონ. სწორედ აქაა მინდიას ტრაგიკული სიბრძნის გასაღები. სწორედ აქედან იწყება მისი ახალი ცხოვრება — ზემგრძნობელობა, ზესიცოცხლე, ზეარსებობა.

მინდია მარცხდება ყოფიერების ჩვეულებრივ, უსასწაულო, უსიყვარულო წესთან შეჯახებისას, მაგრამ მან უკვე იცის, რომ უნივერსალური (საყოველთაო) სიყვარული თვით ბუნების მიერაა ნაკარნახევი, ვინაიდან თვით ობიექტური ყოფიერების სიღრმეში დევს სასწაულის მარცვალი — შეუძლებელის შესაძლებლობა. გველის მჭამელის მთელი თავგადასავალიც სხვა არა არის რა, თუ არ გმირული, თავგანწირული გაბრძოლება უგულობითა და უმეცრებით დასამარებულ ამ სასწაულმოქმედ ძალის გამოსახსნელად.

* * *

ასე, დაახლოებით ასეთი გზებით მოაღწია ჩვენს საუკუნემდე ქართულმა სიყვარულმა, რომელსაც ახალ ეპოქაშიც არაერთი ბრწყინვალე მომღერალი გამოუჩნდა.

XX საუკუნის ინტიმური ლირიკის აწ უკვე კლასიკად ქცეული ნიმუშები, დღევანდელი თვალსაწიერიდან, მძაფრ ანტითეზებად უფრო წარმოდგებიან, ვიდრე ერთი სისტემის ნაწილებად.

ასე უპირისპირდება გალაკტიონი (როგორც კი ის თავის ნამდვილ მოწოდებას აგნებს) გრიშაშვილის ეროტიზმს.

ერთის მხრივ: „და ვით აშოღლანს ეტმასნება ქალი ავხორცი“ — მეორეს მხრივ: „და სიყვარულის ასე მოთმენა“...

ასე „ეპაექრება“ პაოლო იაშვილს მისი ტყუპისცალი ტიციან ტაბიძე. თუ პირველის სტიქია· უაღრესი არტისტიზმია, რასაც ლოგიკურად თან სდევს

მომხიბლავი პოეტური მისტიფიკაცია — შეყვარებული ქართველი ქალის სახე, რომელსაც მთელი სატრფიალო ციკლი („დარიანული") მიეწერება, მეორე თავისი ალალი გულისთქმის გამოსავალს მეწყერად დაძრულ, უნებურ, უშუალო „გადავარდნაში" პოვებს.

ასევე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან ლეონიძისეული ექსტაზი — ჭაბუკური „ზავთი და ყიჟინა" სიმონ ჩიქოვანის „გაწვრთნილი სიყვარულისგან".

სიყვარულის თემა ახალი სიწრფოებით აღივსო „ადრე წასული ბიჭების" — ლადო ასათიანის, მირზა გელოვანისა და ალექსანდრე საჯაიას თაობის შემოქმედებაში. ამ სიახლის მთავარი საიდუმლოება ის იყო, რომ მკერდიდან ხორციანად აგლეჯილ ჭაბუკურ ხვაშიადს ბიოგრაფიული ქვეტექსტი დაეფინა სისხლიან ფეშხუმად. ამ პოეტებმა საკუთარი ხვედრითაც გაამართლეს ქართული სიყვარულის ტრაგედიული შარავანდი:

როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდიეარ, მაინც გშორდები.

ეს სიტყვები მთელი თაობის სულის ძახილია. ეს არის ჩვენს საუკუნეში დაუწერელი უმშვენიერესი რომანის ფაბულა.

რასაკვირველია, ყველაზე მეტი ფერი ჩვენი საუკუნის ქართულ სიყვარულს გალაკტიონის ლირიკამ შესძინა, უფრო ზუსტად — ელფერი.

სწორედ ამ ეპოქალური ნიშნის ქვეშ წარიმართა ჩვენში რამდენიმე თაობის „გრძნობათა აღზრდა".

არც ერთ ქართველ პოეტს, ბარათაშვილის შემდეგ არ გადმოუცია ასე ფაქიზად, ასეთი მდიდარი ნახევარტონებით ინტიმური განცდის ცვალებადი, მოუხელთებელი ნიუანსები. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა: სიყვარული გალაკტიონის ლირიკაში გაიხსნა არა როგორც ადამიანის სულის ერთ-ერთი, თუნდაც უმაღლესი, თვისება, არამედ როგორც სამყაროსადმი დამოკიდებულებისა და სამყაროს ესთეტიკური გაცნობიერების მთავარი საშუალება, როგორც ყოველი არსის, თვით არსებობის ქვაკუთხედი („უსიყვარულოდ ქარი არ ქრის

ამ ქვეყანაზე") და ამავე დროს, როგორც თავისთავადი სამყარო — მთელი პოეტური გალაქტიკა — უამრავი თანავარსკვლავედით, ცთომილით, „ნისლეულობით"...

* * *

რა შეიძლება ითქვას საბოლოოდ ქართული ეროსის ეროვნულ თავისებურებათა გამო? რა არის, ამ მხრივ, საერთო, მუდმივი, ზოგადეროვნული?

როგორც აღმოჩნდა, სიყვარულის იდეალი არც ჩვენში ყოფილა უცვლელი: რუსთაველი, გურამიშვილი, ბესიკი, ბარათაშვილი, ვაჟა, გალაკტიონი — ყოველი მეორე, გარკვეული თვალსაზრისით, პირველის უარყოფაა, მესამე — უარყოფის უარყოფა და ასე შემდეგ.

და მაინც რა აერთიანებს მათ ერთ ეროვნულ კონტექსტში?

ქართულ პოეზიაში სიყვარულის უაღრესი ფორმა, იმთავითვე — ტრაგიკული სიყვარულია.

განცდის ტრაგიზმი აქ იმის შეგნებითაა გამოწვეული, რომ მწყურვალი სული ვერასდროს ვერ აღივსება, რომ სიყვარული, როგორც აბსოლუტური ბედნიერების ნდომა აუხდომელია, რომ ეს გრძნობა თავისი ბუნებით ყველაზე საბედისწეროდ არის დაკავშირებული შეუძლებელთან, ვინაიდან ბედნიერება, „აღვსება", დაოკება, სრული გაგებით, მიუღწეველი ოცნებაა.

ქართულმა სულმა კარგად იცის ყოველივე ეს, კარგად ესმის აუცილებლობით ზღვარდებული რეალობის ყადრი. მაგრამ სწორედ ამ ზღვარის იქით იწყება ის, რაც მისი მუდმივი ძიების, მისი თავდავიწყებული ჭიდილის, მისი ტრაგიკული გაბრძოლების დედააზრია.

სწორედ იმის გამო, რომ სიყვარული ყველაზე შეუძლებელ შეუძლებლობათა რიგს განეკუთვნება, სწორედ ამ მომაკვდინებელი ჭეშმარიტების შედეგად, ქართული ბუნება განსაკუთრებული შეუპოვრობით, შთაგონებით, თავდავიწყებით ეძებს მის წაშლილ ნაკვალევს, ვინაიდან მისი მთავარი საწადე-

ლი სწორედ ის არის, რაც, ჩვეულებრივი, პრაქტიკული თვალსაზრისის მიხედვით, შეუძლებლობის სფეროში დევს.

ყველაზე წმინდა და მკაფიო სახით ეს მიდრეკილება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში გამოვლინდა. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ჩვენ ასეთ სულისკვეთებას უპირატესად ქართული ხასიათის თანდაყოლილი იდეალიზმით ავხსნიდით, ვინაიდან ამ ხასიათშივე არის სხვა, კიდევ უფრო ნიშანდობლივი მიდრეკილებაც.

ვაჟა-ფშაველას მისია ქართულ პოეზიაში სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მან, ერთის მხრივ, შეძლო ახალი ფორმით აღედგინა რუსთაველის ჰარმონიული მსოფლგაგება, ხოლო მეორეს მხრივ, მანვე შეასხა ხორცი ბარათაშვილის რომანტიკულ ოცნებას — მატერიალური, სამყაროსმიერი, ბუნებრივი საზრდოთი დააოკა მისი დაუოკებელი სულის წადილი.

მთავარი აქ ისაა, რომ ხალხური სიბრძნის უღრმეს საიდუმლოებასთან ნაზიარევმა შემოქმედმა კვლავ მიაგნო საუკუნეების მანძილზე მიკარგულ სათავეს.

ვაჟას ენით ამეტყველდა ის, რაც ოდიდანვე იგულისხმებოდა ჩვენს ეროვნულ მსოფლშეგრძნებაში:

შეუძლებელი, სასწაულებრივი, ქართული სულის რწმენით, თვით ბუნების თვისებაა, თვით სამყაროს სიღრმისეულ კანონზომიერებათა წიაღში დავანებული.

თუ ძველი ბერძნების წარმოდგენით, ნამდვილი ანუ პირველქმნილი ქვეყნიერება სიბნელის, ტანჯვისა და დისჰარმონიის ძალთა სათარეშო იყო, რომელსაც მათ, ნიცმეს სიტყვით, „ლამაზი ფარდაგი“ — ოლიმპო — გადააფარეს, რათა სიყვარულისა და ბედნიერების ილუზიით დამტკბარიყვნენ, ჩვენმა ძველებმა იმთავითვე სხვა თვალით შეხედეს ქვეყანას, სხვა იმედით განიმსჭვალნენ და, შემდგომ, საუკუნეების მანძილზე გადმოატარეს სამყაროს ორბუნებოვანების რწმენა.

უკუნეთისა და უსიყვარულობის სქელი გარსის ქვეშ მათ ყოველთვის ეგულებოდათ ბედნიერების მიუკვლეველი საბადოები.

ქართული სიყვარულის მთავარი პათოსიც — მარადიამს — ამ ბრმა, უსულგულო აუცილებლობით დანთქმულ მშვენიერების მიკვლევა იყო.

ამ მხრივ ჩვენი პოეზიის ყველა მწვერვალი ერთ მთაგრეხილზეა აღმართული.

•

სიყვარული პოეზიის პირველმიზეზია. კაცობრიობას ის ბავშვობის სიზმრებიდან მოსდევს. ვიდრე ერის გული, მისი პირველგამომხატველის — ეროვნული პოეზიის სახით, სიყვარულის უნარს ინარჩუნებს, მისი დაბერება არ იქნება.

საქართველოს პოეტებმა ჩვენს დღეებამდე მოიტანეს ერთი სიხარულის შეგნება:

ადამიანი ცოცხალია მანამდე, სანამ ის ბედნიერებას ეძებს, ვიდრე მის ბულში კიდევ ღვივის აღთქმული ქვეყნის ხილვის იმედი. ხოლო ერთადერთი ხიდი, რომელიც ჩვენ ამ სიყმაწვილის წლებში მოლანდებულ და ამ უტყუარი მოწმობით ეჭვმიუტანლად დადასტურებულ რეალობასთან გვაახლოებს, პოეზიის მიერ უსასრულობაში გატყორცნილი ხიდია. მხოლოდ ნამდვილი სიყვარულის, მხოლოდ დიდი ტკივილის ხარჯით შეიძლება ბედნიერების ნაპირებთან მიახლოება.

* * *

ყველაფერი ძველდება მზისქვეშეთში, ცვდება, იფიტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს.

ათასი ბაბილონის გოდოლი ჩამოაქცია ჟამთა სიავემ.

ათასი გოროზი გულის ძახილი შეერია დიდ უდაბნოთა დაუსაბამო მდუმარებას.

უდაბურდებიან სემირამიდის ბაღებიც...

ვინ იცის, რამდენ ამპარტავან სულის ზვაობას მოეღო ბოლო, რამდენი

ამაო ზრახვა ჩაპყვათ სამუდამო ძილში ბედისა და სახელის თავზეხელაღებულ მაძიებლებს? „და გამწარებით ხრავენ ქვიშასა“.

ინავლება სიყვარულიც...

მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ბროწეულის ლორთქო ფესვები კადნიერად გაპკვეთენ ქვიან ბალავარს და სარკოფაგის ათასწლოვან სიგრილიდან კვლავ ამოგიზგიზდება „ვით ბაზმა გაუქრობელი“, — ჩვილი, უმწეო, სამარადისო ხმა:

„ძევახ, სიცოცხლეო ჩემო!“

გურამ ასათიანი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ხალხური პოეზია


შემომეყარა ყივჩაღი 7
შენ, ჩემო დიდო იმედო 9
მენაცვალე . . 10
ქალი ვარ . 11
ხვარამზეს ლექსი 12


## მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი


••• (მინდორთ რო სისხლის ტბა ბრუნავს) 13
••• (ა ის ღრუბელნი მიყვარან) . . 13
შირაქის გზაზე . . . . 13
••• (ინდი მინდი, ფერად შინდი) . 14
ნუ შეეხედავთ ერთმანეთსა 14
••• (გაუსვი და გამოუსვი) 15
ნეტავი შემატყობინა . 15
••• (ისე არის კაცის გული) 15
მგზავრული . . 16
გზა სიარულმა დალია 16
გავხედე ყარაიაზე . 16
••• (აქ მოდი, მანდა რასა იქ) 16
••• (სადაური ხარ, სად მიხვალ) 17
••• (მოხევის ქალო თინაო) . 17

*** (ლამაზი ცოლის პატრონსა) . 17
*** (დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს) 18
*** (ყველა ფრინველი ხეზე ზის) . 18
რა ვქნა, რა ვუყო . . . 18
*** (თიანეთს ოქროს ლოგინი) . 19
*** (ლომო, შე ლომის მოკლულო) 19
*** (დაბნეულ ფეტვის მარცვალსა) 19
*** (წითელ ღვინოს მიგაგვანე) 20
*** (სიყვარულსა მალვა უნდა) 20
*** (ტურფა ბაღი და წალკოტი) 20

## ქართული კლასიკური პოეზია

შოთა რუსთაველი (XII—XIII)
წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი .. 23

თეიმურაზ I (1589—1663)
ტურფა ხარ შვენიერებით 29

არჩილი (1647—1713)
სამიჯნურონი 32

ვახტანგ VI (1675—1735)
სატრფიალონი . 34

დავით გურამიშვილი (1705—1792)
სიმღერა დავითისა: ზუბოვკა რომელ არს
რუსულად ამისი ხმა კაზაკ დუშა პრავდივაია 37

ბესიკი (1750—1791)

სევდის ბაღს შეველ 40
ტანო ტატანო . 42
დედოფალს ანაზედ 43

ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846)

როს არშიყი . . 45
მშვენიერთა ხელმწიფავ 46
სიყვარულო, ძალსა შენსა 47
ეღების კარი გაზაფხულისა 47

გრიგოლ ორბელიანი (1804—1883)

მუხამბაზი . . 50
ეკატერინა ჭავჭავაძისას 52

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817—1845)

*** (შეეიშრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს) 53
*** (შენნი დალალნი...) . . . . . 53
*** (ცისა ფერს, ლურჯსა ფერს) . . 54
*** (როს ბედნიერ ვარ) . . . . 55
*** (არ უკიეინო, სატრფოო) . . . 56
საყურე . . . . . 57

ილია ჭავჭავაძე (1837—1907)

ხმა გულისა . . 59
ს...ჩ...სას . . 59
*** (გახსოვს, ტურფავ) 60

აკაკი წერეთელი (1840—1915)

საიდუმლო ბარათი . 62
ციცინათელა . 63

*** (ჩემო თავო, ბედი არ გიწერია) 66
იმერული სიმღერა . . . . . 68
მუხამბაზი . . . . . 69
✓ კინტოს სიმღერა . . . . . 71
სიყვარული . . . . . 72
ჯარისკაცი . . . . . 73
✓ სატრფოს . . . . . 74
*** (სანამ ვიყავ ახალგაზრდა) 76
სულიკო . . . . 77
ნატვრა . . . . . 79
ყმაწვილ ქალს . . 80

ლადო ჯაფარიძე (1849—1906)

*** (ისევ შენ და ისევ შენ) 84

გრიგოლ ეოლსკი (უმწიფარიძე) (1860—1909)

*** (ოდეს მეწვევა სევდა დამწველი) 85

ვაჟა-ფშაველა (1861—1915)
რამ გაგაჩინა, ქალაო . 86
სამეფოს სიმღერა . . 87
გამოღმით მე ვარ, გაღმა შენ 87
სიყვარული . . . 88

გრიგოლ აბაშიძე (1866—1903)
სიმღერა . 90

## აშულური პოეზია

საიათნოვა (1722—1801)
მოდი, საყვარელო . . 95

| | |
|---|---|
| განა მე მშიერი ვიყავ | 96 |
| შუაღამის ვარსკვლავივით | 97 |
| რა ზარბაბი . . | 98 |
| **დავით გივიშვილი (1846—1916)** | |
| *** (მითხარ, მითხარ, რას მემდური) | 100 |
| **ვიორგი სკანდარნოვა (1850—1917)** | |
| *** (ორთავ თვალის სინათლევ) | 102 |
| *** (ამ დროში საყვარელი სჯობს) | 104 |
| **იეთიმ გურჯი (1875—1940)** | |
| შეა წყალში გადამაგდე ნავიდან | 106 |
| შენი სიყვარული მშივა . | 107 |
| ლამაზების პრეზიდენტო . | 108 |
| ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს | 109 |
| დარდიანად დამიწყია მღერა | 110 |


## XX საუკუნის ქართული პოეზია


| | |
|---|---|
| **კოტე მაყაშვილი (1875—1927)** | |
| რომანსი . | 113 |
| **ვალერიან გაფრინდაშვილი (1889—1941)** | |
| სანტიმენტალური ტრიოლეტი . | 114 |
| თეთრი საცოლო . . | 114 |
| **იოსებ გრიშაშვილი (1889—1965)** | |
| რა კარგი ხარ, რა კარგი! . | 116 |
| შენი ყელი . . . | 118 |

ქურდული ალერსი . 119
პატარას . . . 120
აპრილი თბილისში . 121
საათის ისრები . 122
ჩემი აღმართი . 123

მ ა რ ი ჯ ა ნ (1890—1978)

ლამნაშავე ძაღლის თვალებით 124

გ ა ლ ა ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე (1891—1959)

მერი . 126
თოელი . . . 128
ცამეტი წლის ხარ . 129
კაცლის ხე მთაწმინდაზე 130
ღვინოს დააბრალებენ 131
*** (გაგონდება თუ არა) 131
ვინ არის ეს ქალი? 132
მოვა... მაგრამ როდის? . 133
*** (წინანდალელი ნათელა) 134
რა დროს რომანსეროა . 135
ქარი ჰქრის... . . . 135
ხალხური მოტივებიდან . . 136
წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო" 137
უკანასკნელი მატარებელი 138

პ ა ო ლ ო ი ა შ ვ ი ლ ი (1892—1937)

ელენე დარიანის დღიურებიდან

ძახილი 140
პირამიდებში 141

ელენე დარიანი წერს უბრალოდ და აბნეულად . 142
დარიანული . . . . . 143

ტიციან ტაბიძე (1893—1937)

მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე . 145
ანანურთან . . . . . 146
თამუნია წერეთელს . . . 148
სენტიმენტალური მოგზაურობა . 149

კონსტანტინე გამსახურდია (1893—1975)

*** (ზღვისფერი გაქვს თვალები და...) . 150

კოლაუ ნადირაძე (1895)

შენ ჩემში ცოცხლობ . . 151
ორი ქოჩორა . . . 152

ნიკოლო მიწიშვილი (1896—1937)

სიყვარულს . . . 154

ილო მოსაშვილი (1896—1969)

არსენას ლექსი . . . 156
ძველი რვეულიდან . . 157

ტერენტი გრანელი (1897—1934)

გაზაფხულის საღამო . 159
ქალის აგონია . . . 160
ქალი მატარებელში . 161

გიორგი ლეონიძე (1898—1966)

ციცარი . . . . . 163
ნინოწმინდის ღამე . . . . 164

მყვირალობა . . 165
ყივჩაღის პაემანი . 167
მაშ, რა ეუყოთ პოეტებო 168
ტყუპი იაგუნდები . 170
ნინო ჭავჭავაძეს . 172

დავით გაჩეჩილაძე (1902—1974)

••• (შენი სიყვარულით გულნათენები) 174

სიმონ ჩიქოვანი (1903—1966)

მგზავრის სიმღერა . . . . . 176
პირველი მიძღვნა . . . . 178
მეორე მიძღვნა . . . . 178
გამოთხოვება და ომში წასვლა . 179
ამ ოც წელში გზა განვლიეთ წყვილად 180

ალიო მირცხულავა (1903—1971)

ერთხელ ქალი მიმავალი . 183
ნატვრა . . . . 184
სამეჯნურო . . 184

კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1905)

მერის . . . . 185

ნინო თარიშვილი (1906)

ჩემს ტოლებს 186

კარლო კალაძე (1907)

ჩემი გმირი 188
დელი-დელა . 189

მარიკა ბარათაშვილი (1908)

საპოვნელა 191

ირაკლი აბაშიძე (1909)

პირველი თოვლის სიმღერა . . . 192
ყველა სიმღერა . . . . 193
რუსთაველის ხმა ყრუ ტრამალებში . 195

გიორგი შატბერაშვილი (1910—1965)

საკალმასო 197
სამაია 198
ტივის ხე 200

ალექსანდრე გომიაშვილი (1911)

. გუდამაყარი 202

ანდრო თევზაძე (1912—1974)

თბილისი და წაღვერი 203

გაბრიელ ჯაბუშანური (1914—1969)

მშვიდობით 206
ერთგულება 207

გრიგოლ აბაშიძე (1914)

ზღვა და მერცხალი . 208
ოცნება უფლისწულისა 209
ჯიგთახათუნი . . 209
ორი ისარი . . 210
ატენში . . 211

ალექსანდრე საჯაია (1916—1944)

*** (განა იმისთვის ვეწამე ამდენს) 213
სვანური მოტივებიდან . . 214

რევაზ მარგიანი (1916)

მე უბით ვატარებ პატარა ბარათს 216
დერეფანზე ხორბალი მაქვს... . 218
მთის კალთაზე სახლი მედგას... . 219

ლადო ასათიანი (1917—1943)

ალბომიდან . 220
ოთხი უსათაურო 221
ყაყაჩო . . 224
ა. ვ. . 225

მირზა გელოვანი (1917—1944)

განშორება . 228
ო, მაპატიეთ . 229
ნუ მწერ... . . . 229
*** (მე მინდოდა იავნანა) 230
დამშვიდება . . 231

იოსებ ნონეშვილი (1918—1980)

*** (სად არ ვიყავ, სად არა) . . 232
ჩუქურთმისმკრელის ეპიტაფია . . . 234
*** (შენ არა გაქვს მეფის გვარი) . . . 236
შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა . . . . . 236
ორი მუნასიბი . . . . . 238

ზურაბ ლორთქიფანიძე (1919)

ხმა ხმას დაეძებს სივრცეებში უადამიანოდ... . 240

ლადო სულაბერიძე (1919)

სიზმარი . . 242

შალვა ფორჩხიძე (1919)

*** (მე ვარ და ჩემი შრიალა ჩრდილი) 244

ვახტანგ გორგანელი (1921)

გაზაფხულის მერცხალი ვარ 245

ზაქარია შერაზადიშვილი (1921)

შენ რომ თუნგი ჩაგივარდა ჭაში 246

მარი აბრამიშვილი (1922)

აი, სად შემხვდი 247

მურმან ლებანიძე (1922)

*** (მარეკები შლიდნენ ბანაკს) . . 249
ციცო . . . . . 250
*** (ოჯახის ქალმა დასტოვა ქმარი) . . . 251
*** (ხარ დიდი სანდრო ბოტიჩელის მადონა) . 251
*** (რომ გითხრა: „მსურხარ დასავით“... . . 252
*** (გაზაფხული შემოსულა, ლენ) . . 253

ეთერ სახვაძე (1923)

ფერიცვალება 255

ნანა გვარიშვილი (1924)

როცა გულს გთხოვ 256

ანა კალანდაძე (1924)

პაწაწინა რტო ვარ 257
თუთა . . . . 258
ბოშა ქალი . . . . 258
ისევ გახსენი გული ჩემი . . 259
*** (მე მივსდევ შენს ხმას) . . 259
მე მზეს ვუმღერებ . . . 260
ჭექდა მაზურკა . . . . 260
როგორ მინდა შენთან, ჩემო მაგნოლია! 261

ხუტა ბერულავა (1924)

მინდა შეგიმკო თმები გვირილით 263

ოთარ მამფორია (1924)

ნიბლია 264

ოთარ ჭელიძე (1924)

ათას ერთი ღამის წერილებიდან 265

სილოვან ნარიმანიძე (1925)

გახსოვს, ლისი?! 269

მიხეილ ქვლივიძე (1925)

*** (ათას საზრუნავს აყოლილმა) 270
ბალადა სიყვარულისა . . 270
ცოლს . . . . 271

ფრიდონ ხალვაში (1925)

რატომ არ მოდიოდი 272

ნოდარ გურეშიძე (1927)

ნაცნობი დუმილი . 273

არჩილ სულაკაური (1927)

ძველებური სიმღერა 274
ოთხივე მხრიდან 277

შოთა ჩანტლაძე (1927—1967)

*** (მახსოვს, იგრძენი ხეივანი) . 278

გივი ძნელაძე (1927)

*** (ერთი ქუჩის ერთ კუთხეში) 279
*** (მეხუთე დღეა) . . 280

თეიმურაზ ჯანგულაშვილი (1927)

სად არის ჩემი სიყვარული 281

ნაზი კილასონია (1928)

ნუკრია . . 284
უსათაუროები . 285

ნანა ღვინეფაძე (1928)

ახალი აღქმა 287
ზედაშე . 288

მუხრან მაჭავარიანი (1929)

უნდა იცოდე! . . . . . 289
ქალიშვილი, რომელსაც უყვარს ბალახი და
წვიმა . . . . . 290

*** (როს გაგაცილე) . . . . . 291
*** (შენი სიცოცხლე) . . . . . 291
*** (ვარ ცხრა მთას იქით) . . . . 292

შოთა ნიშნიანიძე (1929)

*** (ისეთი ვინმე რომ შემხვდებოდეს) . . 293
ამურთან გამოთხოვება . . . . . 294
*** (აღარ მაძინებდა მზერა ალმაცერი) . . 295

ზურაბ კუხიანიძე (1930)

პეპელა . . . 296

მორის ფოცხიშვილი (1930)

გახსენება . . . . . 297
ვინც ამ გოგოს გააცინებს . . 298
მე ის პატარა ნაკადული ვარ . . 299

მედეა კახიძე (1930)

ვისაც სიყვარული შეუძლია 300
მე როცა ვუყვარვარ ვისმე 301

ნოდარ ნარსია (1931)

რა გოგო იყო 303

ჯანსუღ ჩარკვიანი (1931)

კანარის ჩიტი . . . 305
პატარა გოგო დამეკარგა . 306
მზის ჩასვლისას . . . . 306
*** (მე რომ პატარა ბილიკს შევნატრი) 307
ბეთანია . . . . . 308

თამაზ ჭილაძე (1931)

*** (სულ ერთმა ჭიქამ) . . 310
*** (მაინც მახსოვხარ) . . 311
*** (აი, ხომ ხედავ) . . 311
*** (ცოტა ხანს კიდევ) . . 312

ანზორ აბულაშვილი (1932)

*** (ბოლოს ხომ უნდა მენახე სადმე) . 313

თამარ ერისთავი (1932)

*** (მე ჯერაც შენი ღიმილის შუქით) . 315
თუშეთის დღიურიდან . . . . 315

ანზორ სალუქვაძე (1932)

იასამანი . 317

ოთარ შალამბერიძე (1932)

თურმე საკუთარ თავს ვატყუებდი 318
შენ მეუბნები . . . 319

ვახტანგ ჯავახაძე (1932)

*** (ტრიალებდა, ტრიალებდა) . . 320
*** (უსიკვდილოდ, უეჭველად, უსათუოდ) 321
*** (კმარა! გულმა შეგიწყნარა) . . 322

ტარიელ ჭანტურია (1932)

ცეკვა კაფე „ამბასადორში“ . . . 323
ალერსი . . . . . 324
*** (შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე) 325

ზაურ ბოლქვაძე (1933)

ვიცი . . . . . 327

*** (ვნახე შენი საფლავი) . 328
მოდი, წამიყვანე . . . 328
როდის?! 329

გ ი ვ ი  გ ე გ ე ჭ კ ო რ ი (1933)

მეორე ბალადა . . 330
სერაფიტის დატირება 333

ო თ ა რ  ჭ ი ლ ა ძ ე (1933)

სიყვარული . . . . . 337
სიზმარი . . . . . 338
*** (მე ჩემს საყვარელ სიზმრებად ვთვლიდი) 339
*** (მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ) . 340
*** (მზად ვარ გისმინო და გემსახურო) . 342

ტ ა გ უ  მ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი (1934)

თამარიე გათხოვდა 343

ნ ო დ ა რ  ჯ ა ლ ა ღ ო ნ ი ა (1934)

*** (ვიცი, გაქრება ეგ ყველაფერი) 344

ხ უ ტ ა  გ ა გ უ ა (1935)

ბეჭედი . 345
მოლანდება 346

ე მ ზ ა რ  კ ვ ი ტ ა ი შ ვ ი ლ ი (1935)

*** (ვერ ამოვედი შენი ხარკიდან) 347
ერთმა ვიცი . . . . 348

რ ე ზ ო  ა მ ა შ უ კ ე ლ ი (1936)

მ ა რ ტ ო ო ბ ა . . . . 350
*** (მთელი ზამთარი ისე გავიდა) 351

ი ო რ ა მ ქ ე მ ე რ ტ ე ლ ი ძ ე (1936)

*** (იქნება მოხდეს) . . 354
ექსპრომტი შეყვარებულთათვის 354
ტყაში მაფა . . . 355

თ ა მ ა რ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (1937)

*** (მე შემოდგომის ვარდებში გხედავ) 357

მ ე რ ი ბ ა რ ნ ა ბ ი შ ვ ი ლ ი (1937)

*** (მე ხელს ყოველთვის მიშლიდა რაღაც) 358

ნ ე ლ ი გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე (1937)

*** („შენ არც კი იცი“...) 359

ჯ ე მ ა ლ ი ნ ჯ ი ა (1937)

ცეკვის დროს 360

თ ე ი მ ურ ა ზ ა ბ უ ლ ა ძ ე (1938)

*** (არ ვყვარებივარ ისე არავის) 361

გ ი ვ ი ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი (1938)

*** (სიყვარულო — უთვალავი წლის
მზეთუნახავო) . . 362

ი ზ ა ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე (1938)

*** (კარგა ხანია...) 364
*** (ნუ დამპირდები) 365

მ ა მ უ კ ა წ ი კ ლ ა უ რ ი (1938)

მე შენზე ვფიქრობ 367

მურმან ჯგუბურია (1938)
*** (მე მთელი ღამე პოემას ვწერდი) 369

ლია სტურუა (1939)
*** (მე ისევე ის ვარ) . . 371
*** (მან დაინახა შიშველი ქალი) 373

ბესიკ ხარანაული (1939)
თებერვალი. ივრის ჭალები . 375

დილარ ივარდავა (1940)
ბედნიერება . . 379

ბიძინა მინდაძე (1940)
ულამაზესი გოგო ქალაქის 380

ბელა შალვაშვილი (1940)
ჩუმი ძახილი 382

გრიგოლ ჯულუხიძე (1940)
ფასანაური 383

თედო ბექიშვილი (1941)
*** (ნუ გამიწყრები) 385

ვლადარ კერძევაძე (1942)
*** (ნუთუ ეს არის, რასაც ვეძებდით) 386

გურამ პეტრიაშვილი (1942)
*** (მართლა თუ სჯერათ ამ ასტრონომებს...) 388

*** (დარდის და ჭმუნვის...) . 388

ნაილი ნეკერიშვილი (1943)

*** (ჩვილი ბავშვია სიყვარული) 390

ნომადი ბართაია (1944)

საღამო გურიაში . 391

რენე კალანდია (1944)

თივისა და გოგოს ბალადა 392

ვანო ჩხიკვაძე (1947)

პირველთოვლობა . . . . 393

*** (შეაფრინდება პატარა სადგურს) 394

გურამ ასათიანი — როგორ უყვარდათ საქართველოში . . . . . 395

რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი
კორექტორი ლ. გორგოძე.
გამომშვები ნ. მანგაძე

სბ № 2189
გადაეცა წარმოებას 5.X.79.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.II.81.
საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×108 1/32.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 19,25.
პირ. საღ. გატ. 599,40.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 11,9.
უე 04016. ტირაჟი 30000. შეკვ. № 3403.
ფასი 1 ფან 40 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060,
კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060,
ул. Кутузова, 19